

$\frac{144}{1918} / 3$
w 3

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

პრომეთეა

144 / 3
1918

№ 3

1918



შინაარსი:

1. აკაკი პაპავა. „სოლოიდლორ“
2. ი. გრიშაშვილი ლია!
3. კ. გამსახურდია. ორი სონეტი.
4. ვ. ბარნოვი. ამქრის მშვენება.
5. კ. ჭიჭინაძე. ნარზანის სამეფოში.
6. ს. წეველი. თალიკო.
7. გ. ახვლედიანი. დასაბამი ნივთთა.
8. ე. თაყაიშვილი ოყურუმის ეკლესია. და მასში დასაბამი ნივთთა.
9. დ. უზნაძე. ორგანიზული მსოფლ-მხედველობა
10. ვარ. ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.

ბიბლიოთეკა



№ 3

1918

ჟურნალში მოთავსებული მასალის გადაბეჭდვა რედაქციის
 დაურთველად აკრძალულია.



გაზეთი 1964 წელს აქტიური

აკაკი პაპავა

„სოლეილდორ“.

(ფერწახული სტრიქონები)

მოთხრობა

(გაგრძელება*)

84561

ნეტაი ფული თუ მაქვს საკმაოდ? ვხსნი ჩემს უბის საფულეს და... ხო, ეს ხომ ის ბარათია... ჩემი თეთრი ლექსი, ჩემი სიყვარულის განცდა, უძილო ღამენი, აქ ხომ ყოველი სტრიქონი მუსიკა იყო ჩემთვის, ცრემლებით დავტვირთე ჩემი თეთრი ლექსი, თეთრის (არემლებით).

ეხლა შეგვიძლია დავხიოთ, რალა საჭიროა ამ ცვლქობის განმეორება ჩემთვის—გადამცემ აპარატისათვის!.

მაგრამ მაშინალურად ისევ უბეში ჩავიდე.

— ყველაფერი მზად გახლავთ, მეუბნება მსახური.

— ეტლი მოვიდა?

— გეახლათ.

— ჩალაგეთ ნივთები... მე ქუდ დახურული ჩამოვჯექ. ოთახს ვათვალიერებ. ჩემი მაგიდის საშრობ ქალაღხედ ბევრი სისულელეა დაშთენილი. სასაცილოა სიტყვა: „თიკო“... რა მოკლე სახელია... და მე ვხვებ ამ საშრობს.

— სხვა ხომ არა ვნებავთ, ბ-ნო? მეკითხება მსახური.

— არაფერი და ხელს მაგრა ვუჭერ „ჩემი სალაში ყველას, მაღლობა“ ფული ჩაგუდე.

— იცოცხლოს ბატონმა და იმედია არც ჩვენ დაგვივიწყებს.

— რასაკვირველია, ყველანი მომავონდებით... მიედივარ.

— ბ-ნო... ეს ყურდველი, თქვენი ნანადირევია, არ წაიღებთ?

*) იხილე „პრომეთე“ № 2.



— მართლა, ყურდგელი... და მე ჩემს სადარბაზო ბარათზე ვსწერ: „თქვენი დღესასწაულისათვის ეს ნანადირევი საცივად გამოგადგებათ. შეიძლება მონადირეც ვისმეს მოაგონდეს. გაგიმარჯოთ, ორთავეს“.

— ხვალ ამ ადრესით წაუღებ ყურდგელს და ბარათსაც გადასცემ.

— მესმის, ბ-ნო.

ეტლი ქეთოს კარებთან შევაჩერე. ბაღში შეველ. სიღამ შემამჩნია.

— ვინ არის?

— მე ვარ, სერგო... ერთის წუთით ქეთო ბაღში გამოვიდეს.

— ეხლავე, იყო პასუხი და იგი მოსხლტა ფანჯარას.

ქეთოს მაგრა დაფუჭირე ხელი, ზედ ვაკოცე და ნელა გავსწიეთ ხის სკამისაკენ. მყუდროდ ვისხედით ბნელაში.

უმნიშვნელო რამეებზე დავიწყეთ ბაასი.

უცებ საათს დავხედე და წამოვდექ.

— მიდიხართ კიდევ?

— დიახ... ყველა იმის შემდეგ რაც დღეს მოხდა, მე არ შემიძლო კიდევ არ მენახეთ დაუყოვნებლივ. და მე მოველ თქვენთან.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ.

— თქვენ სულ სხვა ხართ... არასოდეს არ გავიწყდებათ მადლობა; თქვენ არა ჰგევხართ დანარჩენ ქალებს.

მან დაირცხვინა და თავი ჩაჰკიდა.

თავი ოდნავ ავუწიე და მის ტუჩებს დავეწაფე.

— ნახვამდის! და ფეხს გავუჩქარე.

ისევ მოვბრუნდი, უბის საფულედან ჩემი თეთრი ლექსი ამოვიღე და საჩქაროდ ჩავუდე ხელში.

— ესეც თქვენ... თქვენ, ჩემო ერთად-ერთო. მე სხვა აღარაფერ მყავს.

ისევ ხელზე ვაკოცე და პასუხს არ დავუცადე. ალბად სთვლემდა მეეტლე. როცა ჩავჯექი, მარტო მაშინ შემამჩნია და ცხენებს გადაჰკრა.

აი! მისი ფანჯარაც, სინათლეც, ალბად ეხლა მოაგონდა ჩემი დეაწლი და მადლობის ბარათს სწერს. საჭირო არ არის, მონადირე



რეს არ სჭირია თქვენი მადლობა: „სანთელ-საკმეველი თავის ვზას“...

ნახვამდის. იქნებ მართლა შეგხვდეთ ოდესმე. ხეალ ან ზევ ქორწინების დღე უნდა დანიშნოთ... არ დაივიწყოთ...

8.

მას შემდეგ ბევრი ვეხეტე რუსეთში. ერთ ქალაქში რამდენიმე თვე ვიმსახურე კიდევ.

და ამ ახლო წარსულში დავებრუნდი ჩემს სამშობლოს. მან ძველებურად მიმილო...
და სამშობლო თურმე ახალ სიურპრიზს მიმზადებდა; ან შეიძლება მე თვითონ ვგრძნობდი ამას. ვგრძნობდი და არ ვიცი ტანჯვას განვიცდიდი თუ ნეტარებას?

დედის სიკვდილის შემდეგ ბიძაც გარდამეცვალა და ეხლა ყველანი ფიქრობდნენ, რომ ქალაქს თავს გაუანებებდი და მეურნეობას მივეყოფდი ხელს. ამბობდნენ, რომ მეტად დიდძალი ქონება გადმოვიდა ჩემზე. მაგრამ მე ზოგი განკარგულება მოვანდინე, საქმეში საიმედო ნათესავები ჩავაყენე, საზღვარ გარეთიდან გამოცდილი აგრონომი გამოვიწერე და ისევ ქალაქში დავბინავდი.

მე მიყვარს ჩემი სასტუმრო... აქ ყველანი პატივის ცემით მეპყრობიან. ნაცნობებიც ბლომად აღმომიჩნდნენ. ხშირად ვსტოვებ ჩემს ბინას და სასეირნოდ გამოვდივარ ხმაურ ქუჩებზე. და ეხლაც როცა სასტუმროდან გამოველ, სათვალეებიან ქალს შევხვდი. არ მაგონდება—სად გავიცან, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ყოველი ჩემი საიდუმლოება მისთვის ცხადია. „ვიცი, ვიცი!“ მეუბნება ყველაფერზე მრავალაზროვანად და თავს ჩაჰკიდებს. მე ვიცი, იქნებ მართლა იცის რაიმე.

მან დიდხანს დამიჭირა ხელი და მითხრა: „მამ თქვენ აქ ცხოვრობთ? უჩვეელია ბუხარიც გექნებათ და ნაკვერჩხლების წინ ოცნებობთ მასზე!. მე ძველებურად ვიცი.“

— ვიცნობ თქვენს ნილაბს. სიცილით ვერას დაფარავთ ჩემგან.

— მე არაფერი მაქვს დასაფარავი.

— ასე ფიქრობთ? რამდენიმედ თქვენს დანაშაულზე მეც მკითხონ.

— საბრალმდებლო ოქმიც შეგიდგენიათ, მგონი.
 — არც უმისობაა... გავიაროთ! მეუბნება იგი და ქვაფენილს აყყევით. ჩემთვის სულ ერთია, საცა უნდა წავიდე, თანაც ამ ქალის უზრუნველი ტიკტიკი მართობს.

— იცით, რომ ის ჩამოვიდა?

— ვინ ის?

— ვისზედაც თქვენ გიყვართ ოცნებობა ბუხართან.

— არ ვიცი.

— სამაგიეროდ მე ვიცი, რომ თქვენ იცით. ჩამოვიდა და დაგეძებთ... მე სამწუხაროდ არ ვიცოდი თქვენი ბინა.

— ვინც ეძიებს — კიდეც იპოვისო, უთქვამთ.

— თქვენი პოვნა არც ისე ადვილია.

— წარმოიდგინეთ, მე არავის ვეძიებ და არც მინდა ვინმე დამეძებდეს და ჩემს ბინას ქუჩა-ქუჩა ირკვევდეს.

— ვიცი, ვიცი როგორც არ გინდათ, თქვენი გულის ცემაც მესმის.

— „უ თუ“?, ვფიქრობ და სიწითლით ყურები მიხურს. მეტის ატანა შეუძლებელია, მუხლები სულ მთლად შეკვეთება... მეშინიან, მეშინიან, არაფერი მესმის სათვალეებიანის ბაასისა.

კმარა, გაჰყვიროს გული, იხსნება ჭრილობა და სისხლი ზღვად წამოვა, წითელ მარჯნებად დაიმსხვრევა ქუჩაზე და დაეფინება ეტლს, ტრამვაის, ავტომობილს.

ვილაც ნაცნობს მოვკარ თვალი, იქნებ მან მიხსნას ამ წუთებისაგან.

— უკაცრავად, ვაწყვეტილებ უღარდელ მობაასეს, ამ უმაწვითან ცოტა საჩქარო საქმე მაქვს. შემდეგ შეგხვდებით.

— ნახვამდის.. არ გინდათ რაიმე გადავსცე?

— არაფერი, მოფუჭერ პასუხად, ჩავიციე და გავეჭარე.

ჩემი შორეული ნათესავი აღმოჩნდა, რომელსაც ამ ხანებში ბევრჯერ შეგხვდი, მაგრამ თვალი ავარიდე.

— გრიშა... აღტაცებით მივაძახე მას და მოვეხვიე. სამჯერ მაგრა ჩავკოცნე. ალბად მის გაოცებას საზღვარი არ ელო. მაგრამ სიტყვის თქმა არ დავაცადე.

— სად დაიკარგე, არა გრცხვენია? ვაიგე, რომ აქ ვიყავ და არც კი მიკითხე. ასე უნდა ნათესავი, სისხლ-ხორცი?

— ღმერთმანი, სულ გკითხულობდი, გეძებდი — მოიბოღემა მან.



— სკრუპობ, ჩემო ძამია: „ვინც ეძიებს—კიდევ იპოვის“. შენ შემთხვევით გაიგე, რომ აქ ვიყავ და სრულიადაც არ ვაინტერესებულა ჩემი ნახვა.

მან ისევ მიჰყო ხელი ბოდიშს და განცვიფრების ხაზები მის სახეზე ჯერ არ წაშლილიყო. შეიძლება ფიქრობდა, რომ მე გავგიჟდი. ვინ იცის, იქნებ გიჟიც ვიყავ ამ დროს.

— შეეტლე!

— მიდიხართ? შემეკითხა გრიშა.

— როგორ თუ მივდივარ?! დღეს მინდა შენთან გვატაროდრო. აქ ერთ რაჭველს მშვენიერი, სუფთა რესტორანი გაუხსნია, წავიდეთ ცოტა ხნით, მინდა ერთად ვისაუბროთ, შენ აკი გიყვარდა კარგი ღვინო.

— უკაცრავად, მაგრამ...

— რის მაგრამ? შევაწყვეტინე და მაგრა ჩავსვიდე ხელი. არც დიდ წინააღმდეგობას მიწევდა და ეტლში ჩავსხედით. ცხენების ფაფარი გაიშალა და მზემ შიგ თბილი სხივები ჩაყარა. ქუდი მოვიხადე, ქარი თმას მიშლიდა...

— დაჰკა, დაჰკა! მივაცხენ მეტლეს და ისიც ეწხზე მოვიდა. ნათესავი მოხლე კი თავისთვის ხიხინებდა. კვირობდა, რად ვერ აღმოჩინა აქამდე გიჟი ნათესავი?

რა იცოდა ჩემი გულის ღხინი... რა იცოდა, რომ ის აქ იყო და დამეძებდა; ვერც გაიგებდა ვერასოდეს. მის მგლოტ თავში ასეთი აზრები ვერ მოიკალათებდნენ.

და როცა დაწითლებულნი, ღვინისაგან ატაცებულნი „ტურფას“ ვიმღეროდით, მე ვიცოდი ვინც უნდა ყოფილიყო მისი ტურფა... ჩასუქებული, სქელ ტუჩებიანი.

— მართლა მეძებდი, თუ არც გახსოვდი? შევეკითხე მას.

— რამდენს ვკითხე, ღმერთს გეფიცები... იცრუა მან.

— და აი, მიპოვე კიდევ წვინცხვეთ. მაშ გაუმარჯოს ამ შემთხვევით შეხვედრას... მოულოდნელს. ჩვენ ხომ დიდი ხანია დაეშორდით, გაგურბოდით ერთმანეთს... ან შეიძლებდა სჯობდა—არც გვენახა ერთი მეორე და ნათესავური ცეცხლი კვლავ არ დაგვენთო... იმას ახლა ჩემი სიტყვები ოდნავაც არ აოცებდნენ, მან იცოდა, რომ გიჟი ნათესავი ჰყავდა. და ჩვენ სალამომდე კარგად გამოვითვართ. არ მახსოვს, როგორ მოგროვდა ჩვენს სუფრაზე იმდენი ხალხი? ვინ ამბობდა ცეცხლიან სიტყვებს სიყვარულზე, ნათესაობაზე, შე-

ცრივ შეხვედრაზე; მე თუ ის ხალხი? ღმერთმანი, არ მახსოვს. ლამით ნათესავმა სასტუმრომდე მიმაცილა, გადამკოცნა და მდღეობით გამომეთხოვა.

საშინლად მიბრუნდა თავი; ელექტრონი ავანთე და წამოწოლას ვაპირებდი. ჩემს საწერ მაგიდაზე კონვერტს თვალი მოვკარ, გავსტერი და გადავიკითხე.

ექიმი ნიკო ხვალ საღამოთი მპატიყებდა ვახშმად. წავიდე თუ არა? რა იყო, რომ აქამდე არ გამოუჩენია ასეთი სიყვარული ჩემდამი ამ ცნობილ ექიმს? რა მოხდა ამ დღეებში ნეტავ ასეთი? ჩემი ნაცნობი სათვალეზიანი ქალი მომავგონდა. გამახსენდა მისი „ვიცი, ვიცი“ და გამეცინა.

ჯერ კიდევ ღროა, შემიძლიან ხვალ ვიფიქრო წასვლაზე და წამოვწყექ, ფიქრებმა წამიღეს: ოხ, რას მივსცემდი მოსვენებისთვის! ისევ წამოვდექ და ზარი დავრეკე... ლაქიამ მოუკაქუნა და შემოვიდა.

— არავინ ყოფილა?

— არა, ბატონო; ბარათი კი იყო თქვენი.

— ვიცი. სიჩუმე.

— სხვას არას ვვიბრძანებთ?

— აქ სისუფთავე არ არის! ვინმე რო მოვიდეს — შემრცხვებოდა

— რას ბრძანებთ, ბატონო.

— თეთრეული გამოსცვალონ.

— წუხელის გამოვაცვლევინე, ბატონო.

— მე გეუბნებით, საჭიროა... გაიტანონ ეს ნოხი, დაბერტყონ, ყველაფერი ხელახლა დაგავონ და ვარდის წყალი მოასხან აქ. იგი გოცებით ისმენდა ბრძანებას და თავს მიკრავდა. წასვლისას ხმა დაბლა მკითხა:

„იქნება ბატონს მეორე საწოლიც ნებაგს, თუ ვისმეს ელის?“

— არა, მე აქ არავის ვღებულობ. მყუდროება მიყვარს და სისუფთავე, ბევრაც რომ მეძიონ ვერავინ მიპოვის. გესმის, მე მწირი ვარ...

მან ჩემს მწირობაზე ჩაიციანა. მაკვირვებს — რა საბუთი ჰქონდა არ დაეჯერებინა.

იგი გავიდა ბრძანების მიხედვით განკარგულებათა ვასაცემად. მე ბუფეთში ჩავიარე და ყავასა და სასმელს მივუჯექ; საშინლად მიბრუნდა თავი. სიმებიანი ორკესტრის დირიჟორს ვერც კი ვსცნობ-

დი, თუმცა ბევრჯერ მქონია მასთან ბაასი... ყველაფერი ორად მე ჩვენებოდა. ერთი ნამდვილი და მეორე... მეორე ის, ვისაც მე დევლებდი და ვინც ჩემს მისამართს ჰკითხულობდა.

ლაქიას დაფუძახე.

— რას გვიბძანებთ?

— ჰო, ესტატე შენა? რა არის ახალი? აბა რა იცი?

— რა მოგახსენოთ: ყველაფერი ძველებურად გახლავთ.

— ვინ არის ის ქალი ოფიცერთან რომა ზის, იქ?

— რა მოგახსენოთ. ეს ოფიცერი პოზიციიდან ჩამოვიდა, ხელშია დაჭრილი, ქალი ორი დღის შემდეგ გეახლათ მასთან.

— მაშ, ელოდა ოფიცერი ამ ქალს?

— ალბად.

— კარგია ლოდინი... მეც ველი ჩემს ძმას, მაგრამ... ვინ იცის იქნებ ვერც კი ვნახო, თუმცა სალამოთი ჩემი კაბინეტი დავასუფთავებინე, მივალაგებინე მისთვის... მარტო მისთვის; ველოდები, მაგრამ ვინ იცის?

— გეახლებათ, ბატონო, რა თქმა უნდა, მოვა.

— მაშ მართლა მოვა? შენ ასე გგონია? ან რაში გვეკითხება ჩვენ მისი ამბავი? თუ არა სურს—ნუ მოვა. ჩვენ არავის არ ვატანთ ძალას... არავის ვეპატუებთ. თვითონ არ გვასვენებენ, დღე არ გაივლის, არ დაგვპატიჟონ.. სხვასთან... სასაცილოა, თუ ჩვენი ნახვა სურთ, ჩვენთან მოვიდნენ.

ახლა კი ვერაფერი გაიგო ესტატემ ჩემი და ნელ-ნელა ჩაიცი-ნა. მას დაუკაკუნეს მეორე სუფრიდან.

— ამ წუთას, მიუგო.

— დაიცა... აი, შენ ეს ფული, ნაწილი აიღე, დანარჩენი მუსიკისათვის მიეცი და სთხოვე „მოლოდინი“ დაუკრან, გესმის? ასე უთხარ „მოლოდინი“.

— მესმის, ბატონო, და მან ნელა დამიკრა თავი.

მე უფრო და უფრო ვითვრები. ტკბილი სასმლის ბოთლი იწურება. იმ ქალსაც შეუწითლდა ჭოყები; არ ვიცი ოფიცრის ბაასით თუ იმით, რასაც სვამს. სულ ერთია, მათ მოლოდინი გამართლებიათ მე ვაგსებ კიდევ ერთ ჭიქას ზევით ვდგები და მტკიცე ხმით მივმართავ ოფიცერს:

— მეოპარს, მამაც რაინდს გაუმარჯოს; გისურვებთ მალე განკურნებას, მე გავიგე დაჭრილი ყოფილხართ. იმედია, თქვენი ქრი-



ლობა აროდეს გაიხსნება. გაგიმარჯოთ! იგი წამოდგება და თავა-
ზიანად მადლობას მიხდის. კარგი ამბავია, ღმერთმანი. ჩემი კრი-
ლობა მესამე წელზე იხსნება... ქალი რაღაცას ეჭურჩულება. იცი-
ნიან. ჩემთვის სულ ერთია!

მუსიკა ელექტრონის სხივებში უყრის „მოლოდინის“ ჰანგებს.
კარგია. ნელა გამოვდივარ... ჩემი კაბინეტი საუცხოვოდ გამოიყუ-
რება. ფანჯარას ვაღებ, საყელოს ვიხსნი და გავსძახი: „მოდი, მო-
გელი“. თვითონვე მეცინება; გაუხდელი მიგწვები სოფაზე და ძილი
მეპარება.

9.

მზემ გავმოდევია. თვალები ამომღუნენტი მისმა სიცლქემ.
დილამდის მამ გაუხდელი ვიწექ და მეძინა? კარგია, თქვენმა. მზემ
ყველა ეს ჩემის ჯანმრთელობისათვის, ათასჯერ დაუროგებიავარ ექი-
მებს, რომ მშვიდ ცხოვრებას მივეყო ხელი, რომ სუსტი ვარ. ფან-
ჯარაც ღია დამრჩენია. სჩანს, სულ გავგოჯებულვარ გუშინ. რა მთხ-
და ასეთი? აი, რას ნიშნავს ძველი ნათესავის შემთხვევითი გადაყრა.
რა არ ჩამადენინა გუშინ იმ მოხელესთან შეხვედრამ...

თერთმეტი საათი იწყება. საჩქაროდ პირს ვიბან და გამოვდი-
ვარ. ჩემ სასტუმროს პირდაპირ ორი ქალი დასეირნობს. გრილა
ოდნავ, პალტო საჭიროა, მე უკან ებრუნდები და რესტორანში შეე-
დივარ. ქალღი მოვატანინე, ვსწერ: „ძმარა ნიკო! ბოდიშს ვიხდი
სალამოთი ალბად დრო არ მექნება თქვენთან შემოვიარო. გმად-
ლობით დიდად; როდისმე შემდეგ, დღეს ჩემს ძმას მოველი. კიდევ
ვიხდი ბოდიშს.“ ბარათს კომისიონერს ვატან. ვინ არიან ნეტა ის
ქალები, სასტუმროს წინ რომ სეირნობენ, რა ამოიჩინეს ეგ სასტუმ-
რო! ყველა ამას ატებს თავს. ნუ თუ არ შეიძლება, რომ ადამიანმა
ერთის წუთით მოისვენოს?. ნამდვილი ჯალათები არიან.

მე ნელა ჩამოვდივარ კიბეზე. ლაქია პალტოს მაგებებს.

— საჭირო არ არის.

— აკი მიბრძანეთ წელან.

— ეხლა გიბრძანებ უკან წაიღო.

გაიცინა და ისევ ზევით აიტანა; ის მეტად კეთილია.

მადლობა ღმართს, სასტუმროს წინ ის ქალები აღარ სეირნო-
ბენ. მამ, ეხლა მე არავინ მიცქერის. არც ვინმე მაწუხებს და შვიმი-



ძლია თვითონ ვისეირნო. ყავა? მე სრულიადაც არ მშია... ჯერ ადრეა. რამდენი რამ შეუმჩნეველი მრჩებოდა აქამდის ჩემი სასტუმროს წინ!.. ამ მაღაზიებში მართლაც შესანიშნავი ნივთები ყოფილა, ადაზიანს შეუძლია მთელი საათები იდგეს აქ და ათვალ-თვალოს ვე ძვირფასი სამკაულები. ვინმემ რო გაიაროს, იფიქრებს განგებ ვდგე-ვარ, ვილაცას ვუსცი, ველოდები. ამ ძვირფასი ნივთების ფასი კი არაფინჯიცის. ამ წყებაზე ბევრი შესანიშნავი მაღაზია ყოფილა, ჩვენი ქალაქი არც ისე ცუდია, რომ აქ მოსვლა არაფინ ინდომოს. აი, მე საქმე არა მაქვს და მაღაზიებს ვათვალთვალებ, საქმე არა მაქვს და ვსეირნობ, სამკაულებს ვირჩევ.

ორი ქალი ჩემსკენ მოდიან, ერთი მათგანი უსირცხვოდ იცინის.. ეს სიცილი და მედიდურობა სათვალეზიან ქალს მაგონებს. წუთით შეეხედე და სათვალეზზე ვიცან. ძალიან უყვარს ხეტიალი ამ დალოცვილს, ვინ არის ნეტა? სად გავიცანი? ნამდვილი ჭირია ვერაფრით მომიშორებია და მე შევდივარ მაღაზიაში სამკაულების ასარჩევად.

— რა გნებავთ?

— ბეჭედი ან ძეწკვი რაიმე.

— საათის ძეწკვი?

— დიახ, საათის.

და მე ვყიდულობ ძეწკვს, რომელიც არაფრად მინდა.

— მე ძალიან მომწონს თქვენი ნივთები. აშკარაა, გემოვნება აქვს მაღაზიის პატრონს. კარგია აქ ყველაფერი.

— მუშტრებისათვის არას ვიზოგავთ, ჩემო ბატონო.

სხვა სალაპარაკო არაფერი მაქვს. ვფიქრობ, მეტი გაჩერება უხერხულობას იწვევს, თავს ვუკრავ და ჩქარა გამოვდივარ.

— მოითმინეთ, ყმაწვილო, რას ფიცხობთ? დილა მშვიდობისა.

— აა! სალაში... მე მაგრა ვუჭერ ხელს სათვალეზიანს და სადღაც ვიცქირები.

— სად იყურებით, მანდეთ არაფინაა.

— თქვენ სულ ხუმრობის გუნებაზე ხართ... მე მინდა ერთ ნაცნობს რაიმე საჩუქარი ვუყიდო და ნივთებს ვათვალთვალებ.

— უკეთეს ნივთს თქვენ ვერსად იპოვით, წამოდით ჩემთან.

— სადა?

— აი ნახავთ... და მე მივყავარ ამ უცნაურ ქალს. ჩვენ ხილვულის მაღაზიაში შევდივართ.

— თიკო, ამ ყმაწვილს იცნობ? და მე დამაყენა პირისპირ მასთან. ყველაფერი დაირხა ჩემს წინ. ხილები თაბახებიდან ჩამოეშვენი და შრავალფერად დაეფინენ ჩემს წინ. მან წუთით დაიჭირა ჩემი ხელი და გამიღიმა... არ მახსოვს მისი სახე, ვერ ვხედავდი, თუ ვერ ვგრძნობდი რასმე—არ ვიცი.

— ოო! ჩემს ძველ მეგობარს! მომადხა ნიკომ და გადამეხვია. სათვალეებიანი გოგონა იცინის. ეტყობა მეტად კმაყოფილია. ან რა აქვს მას სადარდელი, თუ კი სათვალე სწორედ აძევს ცხვირზე!..

— თქვენ სულ დაიკარგეთ, ვერავინ გიპოვით... საყვედურით მომმართა მან და კიდევ ისარი დაასო ჩემს გულს.

ოდნავ შეირხა პასუხად ჩემი ტანი და წარბები ავსწიე.

— არც კი გვიკითხეთ... იქნებ მოვკვდით; მეგობრობაც ასეთი უნდა. და მან მომართა მეორე ისარი. გულმა თრთოლა დაიწყო.

— მე ვიცოდი, ცივის ხმით მივეც პასუხი, რომ თქვენ კარგად იყავით, ბედნიერი და კმაყოფილი დაქროდით ხან საზღვარ გარედ, ხან რუსეთში. მე არც ისე გულმავიწყი ვარ. ნიკოს წყალობით მე ვიცოდი თქვენი ამბები, თითქმის ყოველთვის. თქვენ მას ალბად ხშირად სწერდით და ნახულობდით, მაგრამ თვითონ კი ძუნწობდით, ძვირად მეტყოდით.

— არც ისე ხშირად როგორც თქვენ ფიქრობთ, ნიკოს კი უფრო ვახსოვდი თქვენზე.

— გაათავეთ? შეეკითხა სათვალეებიანი ნიკოს. გეყოფა, ყმაწვილო, ამდენი ვინა გყავს? ოჯახს ნუ დააქცევ.

— აი, ეს ერთი პარკიც და გავსწიოთ, მიუგო ნიკომ და დიდი ყვითელი საფულე გახსნა.

გამოსვლისას ნიკომ იღლიაშვ ხელი გამიყარა და მითხრა:

— თუ ხათრი გაქვს, არ დაიგვიანო დღეს.

— სამწუხაროდ, ვერ მოვალ.

— რათა? რას ამბობ?

— ისე შემხვდა საქმე... მეტად სასწრაფო.

— თუ ძმა იყო, დღეს ყველაფერი დასტოვე, ძალიან გთხოვ.

— თუ გინდა რომ საღამო ჩაეიშხამო, მაშინ შენი ნებაა.

— როგორ, არ მოდის? დაეკითხა სათვალეებიანი.

— დრო არა მაქვს, ქალბატონო.

— ვიცი, ვიცი თქვენი საქმეებიც, ეგ სირცხვილია. უეჭველად უნდა მოხვიდეთ, რას ამბობთ?..

— წერილიც გავუგზავნე დღეს ნიკოს, რომ არ შემიძლია სა-
 მწუხაროდ. თიკო შეჩერდა და პარკი ნიკოს გადასცა.

— მე გთხოვთ მოხვიდეთ, ცოტა ხნით მაინც... მომმართა მან
 ისეთის სევდიანის ხმით, რომ იარალი დამაყრევინა.

და როცა სიტყვას მართმევდა ნიკო და სათვალეებიანი ქალი
 მაფიცებდა, იგი სდუმდა, მაგრამ მე უკვე უძლური ვიყავ ამ დუმი-
 ლის წინაშე. ჩემი ბარათი მისმა თვალებმა დასწვეს.

როცა ბაღს მივუახლოვდით, სათვალეებიანი შესდგა და ნიკოს
 მიმართა:—წავიდეთ ჩვენ ეხლა საკანდიტეროში, კიდევ ბევრი საქმე
 გვაქვს, აი ეტლიც, ჩავჯდეთ. თინა შემდეგ მოვა. რა უცნაური და
 ეშმაკებია ეს ქალები...

ნიკოს ეს მაინცა და მაინც არ ესიამოვნა, მაგრამ ბედს და-
 მორჩილდა და ეტლში ჩაჯდა. ჩვენ მარტონი დავრჩით..

სიჩუმე. ისევ დიდის ხნით სიჩუმე.

— მოვიქანცე, თუ დრო გაქვთ, შევიდეთ ბაღში, მუსიკაც უკ-
 რავს. ცოტა ჩამოვჯდეთ სადმე.

— სიამოვნებით, მოგიგე და პაწია, ლამაზ ბაღში შევიარეთ.

— აი, აქ დაესხდეთ, მყუდროებაა... ხომ გიყვართ ძველებუ-
 რად მყუდრო ადგილები?

— ღელვა უმისოდაც ბევრია, იყო ჩემი პასუხი.

— მიამბეთ: სად იყავით ამ ხანებში, რა გადაგხდათ?

— ჩემი თავგადასავალი გინდათ? შევეკითხე მას და ხელები
 გულზე დავიკრიფე.

— დიახ.

— მოკლედ მას ხეტიალი ეწოდება: მრავალგან ვიყავ, სხვა და
 სხვა საქმეს მივყავ ხელი, ერთხელ მრეწველობაც კი მომიინდა, მა-
 გრამ ფეხი ვერსად მოვიმაგრე. ეს გამოცდილება ძვირად დამიჯდა,
 ძალიან ბევრი ფული ჩაყარე ქვა-ნახშირის საქმეში.

— ფულის მოგება გინდოდათ?

— რატომაც არა... ეხლა რომანტიკოსობის ხანამ განვლო და
 დროა ჩემს მომავალზე ვიფიქრო, უზრუნველყოფაზე.

— თჯახის უზრუნველყოფაზე?

— შეიძლება ამაზეც.

— მაშ მე გირჩევთ ერთ გზას; უეჭველად მოიგებთ.

— მაინც?

— შეირთეთ მდიდარი ქალი, მილიონის მემკვიდრე.

- თუ სადმე გეგულებათ და მასწავლით — დამავალბეთ.
- ვეცდები გიპოვოთ მისამართი ამ მოკლე ხანში.
- მაშ ერთი ცდაც დამრჩენია.
- და მე მგონია უტყუარიც.
- დიდად გმადლობთ.
- არაფრის. იმედია, მეც მომიგონებთ სიმდიდრის ჟამს, თუმცა ფულის სიყვარულს ვერაფერი უდგება.
- მე არაფრით შემიძლია სამაგიერო გადავიხადოთ, ვარდა იმისა, რომ დღეიდან ვეძიოთ თქვენთვისაც ფულიანი ყმაწვილი.
- მე უფრო გულიანი მინდა.
- თქვენი ქისა მძიმეა ოქროთი, როგორც სჩანს.
- ცარიელი უფრო ადვილი სატარებელია და მსუბუქი.
- აშკარაა მან გაიმარჯვა და მე მარტო ის მოვახერხე, რომ ჩავიბოთხიო.

- თქვენ დიდი ხანია თურმე აქა ხართ.
- თქვენ საიდან იცით? შემიკითხა იგი.
- თქვენმა ნაცნობმა ქალმა მითხრა, რომ რამდენიმე დღე დამეძებდით ქალაქში.
- ეგ სინამდვილის გადაჭარბებაა... მართლა თქვენს შესახებ მე მას ვკითხე, მაგრამ უფრო კი კარგ ექიმს დავეძებდი, რადგან ცუდად ვიყავ და სწორედ ამის გამო ჩამოველ.
- თქვენი ნიკო საუკეთესო ექიმად ითვლება მთელს ქალაქში.
- ამზობენ — სხვები სჯობიანო, მისი წამალი მე არ მიხდება.
- მე არ ვიცოდი როგორ გამეგო ეს სიტყვები.
- თქვენ ცოტად გამოკვილხართ, შემნიშნა მან, ჯიუტობის სიხალისე ისევ შეგრჩენიათ.

მუსიკამ ხელმეორედ დაიგრიალა, ძალიან მაღალი ტონები აიღო და ჩვენ უკვე არაფერი გვესმოდა ერთმანეთის.

მას შლიაბა მუხლებზე ედო, ქინძისთავი გადაუვარდა უცებ ავიღე და გადავეცი. მან მაღლობის ნიშნად, ხელი დამიჭირა. მე გონება დავკარგე... წიგნებში სწერენ ხშირად ასეთ ჟრუჟანტელზე. ორივე ხელით მეჭირა მისი ხელი და მინდოდა მისი თითები დამეკონცნა... მან ნაღვლიანად შემომხედა და მკითხა:

- გახსოვართ ისევ?
- სულ... მუდამ... ავაყოლე მუსიკის ჰანგებს.
- ოხ, რა ბედნიერი ვარ... მომესმა მუსიკაში გაბნეული ხმები.

— თქვენ? მომიგონებდით ოდესმე?

უფრო ძირს დახარა თავი და მხარზე დამადო. მესმის სიტყვები:

— თქვენ იყავით ჩემი ოცნება, ფიქრი... ამ ხანებში რა არ გადავიტანე? მაგრამ ვიცოდი, რომ სადღაც იყავით, სულს ითქვამდით, თვალებით შუქს აფრქვევდით... და მე მარტო ეს მყოფნიდა. მე ვფიქრობდი, რომ სრულიად დაგავიწყდით, მაგრამ ბედნიერი ვიყავი მარტო იმიტომ, რომ თქვენ სცოცხლობდით.

სულის თქმა სრულიად შემეკრა, თვალები დავხუჭე და მუსიკის თამამ ბგერაში გავშალე ჩემი სიყვარულის ხმები.

— „ჩემო, ჩემო ძვირფასო“... და მე მაგრა მეჭირა მისი ხელი, ჩემი საუნჯე. ისიც თავდავიწყებას მიეცა და ყურთან, სულ ახლოს, ჩამჩურჩულებდა საკვარულა ხმებს... მე მესმოდა და ვითვრებოდი. მზემ შეაყენა სხივთა ტორტმანი, სახე მოსვრიალ წალის მწუმენდელს, თითქოს შერცხვა და ჩუმად ჩაჰკიდა თავი, დაფარა სახე.

— მე არ ვფიქრობდი, თუ ოდესმე ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი. ამბობდა იგი, „ახ, რა რიგ მადლობელი ვარ იმ ტანჯვისათვისაც კი, რომელიც ამ წლებში მარტოხანით მარტოობით. მე შორს ვიყავ თქვენგან, მაგრამ მომიღოდა ამბები თქვენს შესახებ და ვნუგეშობდი, ყვავილები ნელა ივუჩქნებოდნენ ჩემს გულში... ჩემი მუსიკა, ჩემი სიმღერა ლოკვა იყო თქვენთვის აღკლანებულა... მაგრამ ვწიშობდი შეხვედრას... ვერ შესძლო სულმა ამდენი ღილევის ატანა...“ მე მეტი აღარაფერა მესმოდა, გავახილვე თვალები და ჩემს წინ დავინახე წარწერა: „სოლეილდორ“ — ოქროს მზე! რას ნიშნავს ეს სიტყვა რომელსამე აღმოსავლეთის ენაზე? შეიძლება იგი სიყვარულის ზღაპარია რომელსამე იმ ქვეყნებში, საიდანაც მზე ამოდის... იგი ძველებურად ჩამჩურჩულებდა ყურთან მუსიკის ხმაზე. მე თვალს ვეღარ ვაშორებ ამ წარწერას: „ყვავილების მალაზია „სოლეილდორ“ გმადლობ, გმადლობ ჩემო ძვირფასო, „სოლეილდორ“ შეიძლება შენ მარტოხანე!..

ნუ, ნუ დაივიწყებ ჩემო ძვირფასო სოლეილდორ, ამ ნეტარ წუთებს, ხომ ხედავ ამ საუნჯეს ჩემს მხარზე თვისი ქოჩორა თავი დაუხრია და ყურში სიყვარულის ხმებს ჩამჩურჩულებს. და მესმის ხმა მონიბლავი. აი, მე ოდნავ ვიხრები და ვკოცნი ჩემს საყვარელ თმებს, ხომ ხედავ ჩემო სოლეილდორ? ოდნავადაც კი ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენ ბაღში ვართ. რომ ირგვლივ ხალხი დადის. მუსიკა ათრობს გრძნობებს და აძინებს სიფხიზლეს. და იგი სწყდება... უკანასკნელი აკორდი

დაიმსხვრა და მყუდროებამ მოიცვა არე-მარე. მან თავი ასწია, ხელი გამომაცალა და ქუღარ დაიხურა. მისწყდა სულის მუსიკაც; სჩანს — ჩვენ საკმაოდ გამოვევრკვეით, სახე-მოსვრილ მეწადეს თეთრი კბილები უჩანს, ისიც დაგვცინის. მას შერცხვა და ხალხი აათვალთვალა. კვლავ სიცხადე, ვის შეუძლია შეაყენოს დროის მსვლელობა და დამიბრუნოს ის წუთები?

ჩემს წინ ისევ სჩანს წარწერა: „ყვავილების მალაზია... სოლოელდორ“... რას ნიშნავს ნეტა ეგ სიტყვა? აღმოსავლეთში?

სიჩუმე და საშინელი უხერხულობა. რალაცას ჯიბიდან ვიღებ და ხელში ვათამაშებ. ვილაც სუფთად ჩაცმული ნელის ნაბიჯით გაგვშორდა. მე დავეწიე, ქუდი მოვიხადე და ვუთხარ: — უკაცრავად. თვენ ეს საათის ძეწკვი დაგივარდათ...

— ეს ჩემი არ გახლავთ, მომიგო მან და არც კი შემხედა. ისევ ჩამოვჯექ. იგი სდუმს. ჩექმის მწმენდელს ვანიშნე, მოვიდა და ყუთი წინ დამიდგა. — არა, გაწმენდა არ მინდა. ეს ძეწკვი იმ კაცს დაეკარგა, მე ვიპოვე, შეგიძლია შენ წაიღო.

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო. გაბრუნდა და ნაჩუქარს თვალღიერება დაუწყო.

— თქვენ დიდის ხნით ჩამოდით? ვეკითხები მას.

— არა, დილით 11 საათზე მივდივარ.

— მოათავეთ ექიმებთან ვიზიტები?

— საკმაოდ, მგონი აწი არა მიშავს რა. მე ვნახე ჩემი ექიმი.

— მისი წამალი უებარია, ყველა ამას ამბობს მთელ ქალაქში, რომ ნიკო საუკეთესო ექიმი, მკვდრებსაც კი უდგამს სულსო“. ის ნახად იღიმებოდა ამ სიტყვებზე. ბოლოს შეკრთა და ამოიხენეშა. — მე, მგონია. მეტი არა გააქვს ჯერ სათქმელი. წავიდეთ.

— განა ჯერ ვსთქვით რაიმე? შევეკითხე გაკვირვებით. თქვენ რალაცას ამბობდით, მაგრამ მუსიკა ისე მიხშობდა სმენას, რომ არც ერთი სიტყვა არ მომისმენია.

მან წყენით ჩამხედა, ისევ ჩაიცინა: არც იყო საჭირო რომ მოგესმინათ, მე მუსიკა მეტად მიტაცებს და ოცნების სამეფოში მამკვიდრებს. ოცნებასთანავე მაქვს ბაასი.

— ამ ნიადაგზე ქ-ნო შეიძლება კურონიც მოხდეს.

— რა თქმა უნდა, შეიძლება ადამიანმა, რომლის მხარს დალლილობის გამო თავი ჩამოადეთ, თავის თავზე მიიღოს ყველა ეგ ასეთი კურონიზები მომხდარა კიდევ მრავლად ჩემს ცხოვრებაში.

—ის კაციც არ იყო ამდენად გულუბრყვილო. იგი ამ ხანებში იმ ძეწკვზე ფიქრობდა, რომელიც იპოვნა. ფიქრობდა-ოქროსი იყო, თუ არა; და რა დარწმუნდა, უბრალო იყო, გააჩუქა და წალის გამწმენდიც მისი მადლიერია.

—კარგია კეთილი საქმის დათესა.

—წავიდეთ, მოვუჭერ მეც და გავსწიეთ.

ჩემი თვალები ერთხელ კიდევ მოხვდნენ „სოლელიდორს“... იყავ ბენდიერად, ჩემო ყვავილოვანო „სოლელიდორ“ მე მოვალ.

10

—სალამო...

მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, წავიდოდი თუ არა?

ჩემი მეეტლე მეტად მკვირცხლი გამოდგა; მგონია მან ორჯერ შემომატარა მთელი ქალაქი გიჟურად. აი, ჩვენ უკვე ქალაქს გარედავართ, შემოდგომის ქარი ტანს მეხვევა.

—მიბრძანებთ დავბრუნდე?

—არა, შეაყენე იმ რესტორანის წინ.

მან ერთი კიდევ შემოჰკრა წითელ ცხენს და გააქანა.

მე შევედი რესტორანში.

—რას ინებებთ?

—ამ კაცს გაუმსაპინძლდით, ვეუბნები მეეტლის შესახებ.

მე გავდივარ ბაღში... ეს პაწია ბალი საესეა ყვავილებით; რამდენიმეს ვარჩევ და პატარა თაიგულს ვკრავ.

—საით მიბრძანებთ? მეკითხება ისევ მეეტლე.

—ქ-ის ქ. № 18. ცოტა შორს არის მაგრამ არა უშავს.

—ცხენები კი კარგი მყავს, ეხლავ გავჩნდებით.

მივედით. მე ფრთხილად ავდივარ კიბეზე და მესმის როიალის ხმა. „ის არის“-ვფიქრობ და მუხლები მისუსტდება. ზარის ხმაზე სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი კარებს მოაწყდნენ. სათვალებიანი ქალი და ნიკო ხელს მავლებენ და ზალაში მივყევარ. მრავალნი გავიცან. დავსხედით, საუბარი ამინდიდან დავიწყეთ... საზოგადოდ, შაბლონს მივყვები. მას ვერ ვხედავ და ყველაფერი მებნევა.

—სად არის თიკო? ეკითხება სათვალებიანი ნიკოს.

—ჩემს კაბინეტშია, წიგნებს არჩევს წასაღებად. მართლა, მომმართა მან, აი, ეხლა ვეტყვი, რო თქვენ მოდით. მას თქვენთვის რა-

ლაც სიურპრიზი აქვს გამზადებული.

— არა მგონია, რომ ჩემთვის...

— როგორ არა; აი ეხლავე გაიგებთ, თუმცა თვითონაც არ ვიცი ხასიათი ამ სიურპრიზისა.

და იგი გავიდა ზალიდან.

ჩემი გული საშინლად სცემდა, სათვალებიანი ქალი კი რაღაც შემთხვევაზე მიყვებოდა: მეტივეები წინა ღამით კლდეს დაჯახებოდნენ და 2 კაცი მოკლა და ერთი ქალიც, შემთხვევით მოარული ტიფზე.

— საცოდავი... ამოვიხვნიე მე თანაგრძნობის ნიშნად, მაგრამ სრულიად არ გამეყვებოდა ამ სიტყვების აზრი.

აი, გაიღო კარები და მოდის იგი, თან ვილაც მოჰყავს.

ორივენი იღიმებიან. ვინ არის ეს ქალი, ვნ სად მინახავს?

— აი, თქვენთვის მოულოდნელი შეხვედრა, მეუბნება იგი, თქვენ მგონია დიდი ხანია არ გინახავთ ქეთო.

— ქეთო... გავიმეორე მე და გავერკვიე; ეს ხომ ჩემი მეგობარი ქეთო იყო. როგორ გამოცვლილა, ეხლა იგი ბევრად სჯობნიდა წინანდელს. თითქოს რაღაც ახალგაზრდურად გარდაჰკარავდა მას.

— რამდენი ხანია თქვენ ერთმანეთის ბაასი არ მოგისმენიათ, დასძინა თიკომ. მე მგონია, საუკეთესო გზა ვიპოვნე, რომ თქვენ ჩვენს წრეში არ მოგწყენოდათ.

— თქვენ მართალს ბრძანებთ. მივუგე მას და ქეთოს სონას ამბებზე შევეკითხე, წარსულის მოგონებებზე გარდაველ.

კარგია წარსულის მოგონებანი: ჩემი ავადმყოფობა, ნადირობა. მშვენიერი საღამოები და უცებ უკვალოდ დაკარგვა.

ეხლა ქეთო აღარ მსჯის ჩემი ცელქობისათვის, მაგრამ იყო დრო, როცა მისთვის ძნელი შეიქმნა ყველა ამის ატანა, იგი ყველას ჩამოშორდა და მხოლოდ თიკო იყო მისი მეგობარი, მარტო მას ესმოდა ეს ტანჯვანი; მრავალი უძილო ღამე გაუტარებიათ ერთად ყოველ წვრილმანის მოგონებებით. და ქეთომ არაფერი არ დაუმალა თიკოს... განსაკუთრებით სონას გათხოვების შემდეგ შეიქმნა აუტანელი მისი ყოფნა. და აქაც მარტო თიკო შერჩა მას... იგი ყველაფერს ხვდებოდა და უნდოდა მგზავრობით და მუსიკით მისი გართობა. საზოგადოდ, ბევრი სანტიმენტალური ამბები გადმომცა ქეთომ. და ამბოლო დროს იგი პროვინციაში მსახურებდა, მეტად გაერთო შრომაში. ამ ორი დღის წინაღ მან დეპეშა მიიღო თიკოსაგან და ჩამოვიდა— არ იცოდა



საქმის ვითარება და გუშინ უთხრა თიკომ, რომ მე აქ ვიყავ და მისი ნახვა მწყუროდა. მართალია?

—ნუ თუ ეს ვისმესთვის საინტერესოა?

—მე ბოდიშს ვიხდი, არ მეგონა, თუ ამდენად უინტერესო იქმნებოდა თქვენთვის.

ისევ დაიგროვალა როიალმა და თიკოს თითები კლავიშებზე დასრიალებდნენ.

ჩვენ ორივენი მივეციით წარსულის მოგონებებს და ქეთოს თვალები ცრემლებით დაიტვირთა.

—კარგია, ამოიხენეშა მან. მას ხელზე დავადე ხელი და შეკრთა.

ასე ვისხედით დიდ ხანს და გამოვერკვიეთ, როცა თიკო მოგვიჯდა გვერდით.

—მგონია, უკმაყოფილონი არ დარჩებით ერთმანეთის შეხვედრით

—როგორც ყოველთვის, მოუჭერ მას სიტყვა. ქეთომ სირცხვილით თავი ჩაჰკიდა.

—ჩვენ წარსული მოვიგონეთ, დარცხვენითვე დასძინა ქეთომ.

სუფრაზე მივევიწვიეს, მე და ქეთო ერთად დავსხედით.

ნიკო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ჩემდამი.

—რა ამბავია, შენ უკმაყოფილო უნდა იყო, მიუტნება იგი რაღაც მოწყენას გამჩნევ.

—წინააღმდეგ, გააწყვეტინა თიკომ, „წარსულის მოგონებით სტკბება და ქეთოსთან ბაასში ერთობა.“

მე ნალვლიანის ღიმილით მივაჩერდი მას.

—ბატონებო, წამოიძახა მან, როცა ჩემი სადღეგრძელო დალიეს, „მე მინდა დაუკრა ამ სადღეგრძელოს გამო.“

—გთხოვთ, გთხოვთ! გაისმა ყოველ მხრით.

—მუსიკა უშუმანის გახლავთ, სიტყვები კი... ვისაც უძღვნეს, ის მიხვდება დასძინა მან და ქეთოს ეშმაკურად ჩაუცინა. როცა მისი სიმღერა გაისმა, საშინელი უხერხულება ვიგრძენ...

ეს ხომ ის სიტყვებია, ჩემი თეთრი ლექსი, რომელიც მას უძღვენ, მაგრამ არასოდეს მოვასმენინე. წასვლის წინ ქეთოს გადავეცე და მან თავის-თავზე მიიღო იგი. ეხლა მესმის მათი ინტიმური საღამოები; ალბად ამ ჩემს ლექსს, ქეთოზე მიძღვნილს, ყოველ მხრივ არჩევდნენ და ასკვნდნენ ჩემს სიყვარულზე.



სანამ სიმღერას დაამთავრებდა, მე გავდივარ და შემომაქვს პაწია თაიგული.

— თქვენთვის დავკრიფე ამ საღამოთი, ვეუბნები ქეთოს და წინ სუფრაზე ვუდებ. თიკომ თვალი შეგვასწრო.

წუთით მოსწყდა თავის ადგილს და მშვენიერი ბროლის ვაზა დაუდგა ქეთოს.

— მე არ მინდა დასჯენეს თქვენი თაიგული.

— გმადლობთ! იყო ჩემი პასუხი.

ალარატფერი მახოვს შემდეგ. ვისხედით.. მღეროდნენ, ვსვამდით.. ზოგნი ქალაღდის სათამაშო ოთახში გავიდნენ.

— თიკო, გთხოვთ, გთხოვთ! ახმაურდნენ ყოველ მხრიდან.

ბოლოს გასტეხეს მისი ჯიუტობა, იგი წამოღდა, თვალეზში ჩამხედა და როიალისაკენ გასწია.

მე ავდექ და ქალაღდის სათამაშო ოთახში გავედი.

— შეიძლება ჩაიროთ კიდეც ერთი პარტნიორი? ვსთხოვე ერთ სუფრასთან მსხდომთ.

— რატომ... დაბრძანდით!

მსახურმა სკამი მომიწია. პირველადვე ვიგებ.

— ეს ცუდი ნიშანია, სიცილით ვამბობ და უზრუნველ თამაშის ქსელში თანდათან ვებმები.

ოთახში პაპიროსის ბოლი სდგას. როიალის ხმა ჩვენამდის ახწევს და მე მინდა ყოველი ჰანგი დავიჭირო.

მთელის არსებით იქა ვარ, მასთან, მის ხმებში ვიბნევი, ვთვრები და აქ მაშინაღურად ვიძახი:

— გნებავთ კარტი? შვიდი, ცხრა... უზომოდ ვიგებ.

ეხლა აღარ ვიცი— ეს რისი ნიშანია.

— „ბ-ნო,“ გვთხოვს ნიკო, »მობრძანდით, ყავა მიირთვიოთ, თამაში შემდეგაც შეგიძლიანთ გააგრძელოთ.“

— ცოტა ხნით კიდეც, სთხოვენ პარტნიორები: იგი მხარზე ხელს მადებს და სიცილით მეუბნება:

— სჩანს მოგივია საკმაოდ. ადექ, გეყოფა... იქ ქალები გკითხულობენ. მოსწყინდათ უშენოთ.

მე ვსთხოვ მან გაართოს... განა ყოველთვის ასე გამიჭირს ზედიზედ განსაკუთრებით კარგად მიღის საქმე, ბლომდაც მოვიგე.

ცოტა ხნის შემდეგ მსახური შემოდის და ჩუმად მეუბნება:

— თქვენ გელოდებიან, ბატონო.

— არა უშავს... ერთ ხანს მეც ვალოდინო ვინმე.

— თიკო მიდის და ერთის წუთით გთხოვთ, რაღაც საქმე აქვს.

— სად არის?

— გასავალში გიცილით. უკვე ჩაცმულია წასასვლელად, ო, ეს ლაქები... წუთითაც არ მოგცემენ შვებას. მას არ შეიძლება არ ეშურებოდეს ჩემი გამარჯვება. უნდა ქალაქი ისევ შეტრიოდეს, მოგება სულ დაეკარგო.

რას იზამთ? ვდგები და მივდივარ გასავალისაკენ. ხალაში უკვე ცოტანი სხედან და ყავას სმენ. მაგათ რა გაეგებათ ქალაქის თამაშის ეშხი. ოცნება, მუსიკა და უსაქმური ლაღობა უყვართ. იქ კი, ვინც ქვეით გაუძღვება თამაშს, შეიძლება მთელი სიმდიდრე მოიგოს. ხეპრენი! ...

— რად დაიკარგეთ, არა გრცხვენიათ? მეუბნება საყვედურით შავ-ბალტიანი, თავ მოხურული ქალი.

— ძლივს გიცანით-ვეუბნები მას, რომ რაიმე ვუთხრა.

— ხვალ მივდივარ, ვინ იცის, როდის მომიხდება კიდევ თქვენი ნახვა... მე მინდა თქვენი ნახვა ხვალ... შექველად.

— ვეცდები.

— არა, მე მინდა შექველად მომცეთ სიტყვა.

— თუ რაიმე განსაკუთრებული საქმე არ შემხვდა.

— მე ვიჩქარი... იცით, მოლით ავრე მოვაწყობთ. 10 საათზე შემოვივლი თქვენთან, სასტუმროში, ვიცი საცა ცხოვრობთ, და იქიდან ერთად წავიდეთ სადგურზე. კარგი? გთხოვთ.

სიჩუმე.

— მაშ ასე, მე მოვალ დილით. ნახვამდის. და იგი უცებ მშორდება. ერთ ხანს გამოურკვევლად ვდგევარ და მესმის ეტლის ხმა. ვეძახი მსახურს.

— რას ინებებთ?

— საჩქაროდ ეტლი მომიყვანეთ. და მე გავდივარ ქალაქის სათამაშო ოთახში.

— უკაცრავად... მე საჩქაროდ უნდა გაიხლოთ.

პარტნიორები ნაწყენი რჩებიან. სჩანს ისინი კომპენსაციას ითხოვენ. მე ვსთხოვ ნიკოს და ჩემს ადგილას იგი ჯდება სათამაშოდ. მას უფლება აქვს ჩემი მოგება სულ დასტოვოს... როგორც უნდა.

— ეტლი მზად გახლავთ, მეუბნება მსახური.

მე ქეთოს მაგრა ვუჭერ ხელს და ვეუბნები: იმედია, ასეთ სიურპრიზებს არ მოაკლებთ ჩემს ობლობას. ჩვენ შევხვდებით. მან უმწეოდ ამოიხვნეშა. ეხლა აღარ სჯერა ჩემი.

—ანგარიში! ვუბრძანე სასტუმროში შესვლისთანავე, მე საჩქაროდ უნდა გავემგზავრო რამდენიმე დღით.

ერთ წუთს ნივთები ჩავალაგე და კარის კაცს ჩავაბარე შესანახად.

11

სახლების სახურავები დაფერილია მთვარით, ავტომობილები დაჰქრიაან.

—ასეთი უნდა იყოს მაისის ღამე! ვის შეუძლია მზვიდად იძინოს ასეთ ღამეში და საათის ზარი მოაწყოს, რომ დილით მატარებელმა არ გაუსწროს?

ტელეგრაფში შევდივარ, ლურჯ ქალღმერთს მსხვილის ასოებით ვსწერ:

„თიკო დილით მიემგზავრება, გთხოვთ უეჭველად გააცილოთ, საათის ზარი მომართეთ, არ დაიგვიანოთ. სერგო.“

ქუჩაში მივდივარ და ვფიქრობ-მიიღებს თუ არა ამ ღამითვე ნიკო დეპეშას. მიიღებს, სტუმრებს გამოეთხოვება, პარტნიორებს ისიც გულ-დაწყვეტილებს დასტოვებს და ეხლავ დაიძინებს. მან უნდა იცოდეს, რომ ღამის გატეხა მავნებელია, ვინც ღამით არ ისვენებს, ის ყოველთვის იგვიანებს მატარებელზე.

—ღამის დეპეშა, დეპეშა! ჩამწივის ყურში ბრმა გამყიდველი.

—ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენის ჯარისა.

ელექტრონით გალავლავებულ ვიტრინასთან შევდგები და ვკითხულობ: ჩვენმა შეუპოვარმა ჯარმა, მცირედი შეტაკების შემდეგ, ციხე №. აილო. ხელთ ჩავვივარდა 40,000 ტყვე, დიდი იარაღი და ნადავლი, მტერი სტიქიურად უკან იხევს. ჩვენი ნაწილები ფეხ და ფეხ მისდევენ.

მთავარსარდალი...

თითქოს პირველად ვიგოქენ ამ უმაგალითო ომის ტრიუმფი, მინდა წარვსდგე ამ გმირ სარდლის წინ და მხურვალე სიტყვა ვუთხრა, ჩვენი აღფრთოვანება და მადლობა მის არწივებს..

მივდივარ, ნიაზე ფარფატებს დეპეშის ფურცელი და გული ლალობს: ვიმარჯვებთ, საცაა გატყდება მტერი... სისხლი, სისხლი და გამარჯვების ყიჟინა. თქვენ კი იძინეთ კაცუნებო.. საათები მომართეთ, სამგზავროდ საგზალს ჩაალაგეთ, გზაში მოგშივათ.. მშიერის ჯარით ციხეს ვერ აიღებთ.

ამ შუალამისას კაფეში მუსიკა მაინც გრიალებს, ოფიცრები კე-
 კლუცებს ომის ეპიზოდებს უამბობენ, წყვილ-წყვილად გამოდიან და
 ავტომობილებით მიქროლავენ.

უნდა გაიგონ, ეხლავ უნდა გაიგონ, რომ მათისისხლი არწივებმა
 ერთი ასად აიღეს, რომ მათმა ძმებმა სამშობლო ასახელეს. შეუმსუ-
 ზუქდებად ქრილობა და კვლავ მოსწყურდებათ ძლევამოსილ ჯართან
 ყოფნა.

უეცრივ შევიჭვრ. ქუდი და დეპეშა ზევით ავაფრიალე და და-
 ვსძახე: „გაიხარეთ, მეგობრებო, ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა უდიდესი
 ციხე № აილო, მრავალი ტყვეები, ნადავლი; მტერი სტიქიურად უკან
 გარბის. გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ არმიას.“

ეფექტი არც თუ ისე დიდია, რამდენიმე მოკრძალებული ძახილი
 გაიმის: „გაუმარჯოს..“

აშკარაა, მათ გონება ვერ მოიკრიფეს, ვერ გაერკვიენ, ცოტა
 კიდევ და აქ დიდი ზეიმი გაიმართება, ერთმანეთს ჩაპკოცნიან ქალი
 და კაცი, მუსიკა გამარჯვების ხმებს მოაბნევს ყველა სუფრახე. მაგრამ
 ამას ვერ დაუჟციდი. ვილაჯოფიცერი, რომელსაც ცალი ხელი გულზე
 ჰკიდია, მწვდება და დეპეშას მაცლის. მე ყველას თავს ვუკრავ და
 გამოვდივარ მთვარით შეფერილ ქუჩახე.

მივდივარ ხიდისაკენ და ისევ უცებ მწვდება მკლავში ვილაჯ:

—ინებეთ დეპეშა—გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ოხ როგორ
 მიცემს ეხლა გული რომ იცოდეთ.“

ეს ხომ ის ოფიცერია სასტუმროში რო იჯდა ქალთან და ჩემის
 სადღეგრძელოთი გაოცდა.

მაგონდება იმ ქალის სიცილი და ბროლის კბილები. სად არის ნეტა
 ეხლა ის? იცის რამე?

მას დიდხანს უპყრია ჩემი ხელი, ძლიერ მიჭერს, თვალები
 დაფართოვებია და ცრემლები აწვება, სახე ნერვიულად უტოკავს.

— გცნობთ, მეუბნება ის, მე მახსოვს ამ დღეებში ჩვენი შეხვე-
 დრა, თქვენი სადღეგრძელო, უმაგალითო გულწრფელობა გმადლობთ,
 გმადლობთ, ჩვენ მზადა ვართ წავიდეთ, ისე მხნედ შევებათ მტერს,
 ოღონდ აქ თქვენს თანაგრძნობას, სიყვარულს ვპოვებდეთ. თქვენ ნამდ-
 ვილი მამულიშვილი ხართ. და სახე მისი არაჩვეულებრივ ბრწყინავს.

— რას ბრძანებთ, მხოლოდ თქვენა ხართ ჩვენი სიამაყე, არწი-
 ვები, ჩვენ აქ სოროებში ვცხოვრობთ, გარყვნილ და თბილ განცხრო-

მაში თქვენ აატორტმანეთ ჩვენი ცხოვრების ქაობი გაგიმარჯოთ სახელოვან მებრძოლთ.

— გმადლობთ, გმადლობთ და იგი ჩემს ხელს არ უშვებს თითები ძალზე მტკივა. მე დაეწვდი და მაგრა ჩავკოცნე.

— ეხ, რა კარგია!.. წამოიძახა მან და შეტრიალდა, თქვენ იქ ცხოვრობთ ისევე? შეგზვდებით. გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ნახვამდის და მან გასწია კაფესაკენ,

გული ზეიმობს, რამდენიმე კუკური გაიშალა და ხარბად აფრქვევს სურნელს ჩემს ძარღვებში, სისხლი გამალებით გარბის ჩემს ტანში. ჯიბეში რევოლველზე ხელი მიპყრია და ტაკტით ვსდგამ მტკიცე ნაბიჯებს, წინ, წინ. სხვებს კი სძინავს ამ დროს და საათი იცდის, რომ მარტო დანიშნულ დროზე მოედება ეს ხმა და ორ ფინჯან ყავას დალევენ.

სადგურზე არაეინ არის ორიოდ ზანტად მოარულ მსახურთა გარდა. ვაგონები ზანტად სდგანან და მშვიდად სძინავთ, ბევრი ტვირთი ზიდეს, ეხლა ისვენებენ.

— უკაცრავად, ვეუბნები დარაჯს, რომელიც ზანტის მთქნარებით შეჩერდა. №-ში მიმავალი მატარებელი სადა სდგას?

— მესამე ხაზზე, ჯერ იქ არაეინ არის, დილით ვავა.

— ვიცი, გმადლობთ.

და მე მივდივარ ამ დაღლილ ვაგონებთან. დილით მათ ისევ ახალი შრომა და ტვირთი მოელის. საბრალონი. გარედან მათაც ახვევია მთვარის შუქი, მაგრამ შიგ სანთლები ჩამქრალია. მე ავდივარ კიბეზე და ზურგით ვეყრდნობი კარებს.

— ჯიბიდან დეპეშას ვიღებ და კარის რაზაზე ვკიდებ.

გაიგოს მანაც დილით მაინც ეს ამბავი, ჩვენი სიამაყე.

რა ცივია ეს ვაგონი ამ ღამით, აქ მგზავრს გაჰყინავს, მე ხელთათმანს ვიხდი და ხელით ვეხები ამ ვაგონს, იგი თანდათან თბება; მხურვალე ლოყა მივაბჯინე მას და კვლავ ვათბობ.

— იძინე, იძინე, ჩემო ძვირფასო, შენ მოგქანცა ცხოვრებამ, დაწეწილია შენი ძარღვები და მუდამ შფოთავს შენი სული. შენც შეიხევი ზარის ხმაზე და კენესით გაუდგები გზას. მაგრამ მე მუდამ შენთან ვარ, აი შენს ცივ ტანს ამ შუალამისას ვეხები ცხელის ლოყით და ტუჩებით, რომ დიდხანს, დიდხანს აღარ დატოვოს ჩემმა სითბომ. აი, ჩემი ნაორთქლი აჩნდება შენს გულს, წანწკარა ცვრებად ჩამოდის... ეს ჩემი გულის ყვავილის ცრემლია. ჩემო ძვირფასო სოლეილ-

დორ! . იყავი მშვიდად დაიძინე. შორს მატარებელი ჰკივის; უნდა წა-
 კიდე... სად? სულ ერთია, ნახვამდის. შეინახე ჩემი სითბო დილამდის,
 მისთვის და დააცვარე თავზე ჩემი სუნთქვის ცვრები.

კარგია ასეთ ღამეში ხეტიალი, მიედივარ და ვინ იცის, სად,
 როდის შევდგები? მდინარის მხუთილი გაისმის, შორს ცეცხლი სჩანს.
 ალბად ვარსკვლავი თუ ჩამოვარდა წყლის ნაპირას ამ შუა-ღამისას.
 მე უნდა ვნახო ის ვარსკვლავი... წინ, წინ!..

ცეცხლთან რამდენიმე პირი შეჯგუფულა; ალბად, უცდიან-
 როდის მოიხარშება ის, რაც პაწია ქვაბშია. ერთს მაზარა გაუშლია
 და სძინავს

- თქვენი კაი გამარჯვება, ძმებო.
- ღმერთმა გაგიმარჯოთ, და იქვის თვალი ამაღლეს.
- მოვედი, რომ გახაროთ: ჩვენს ჯარს ბრწყინვალედ გაუმარჯ-
 ვია მტერზე, ციხე №-ი ეხლა ჩვენს ხელშია, მაშ...
- გამარჯვება ნუ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენცა და იმათაც.
- მალე თუ გათავდება ეს ომი, რასა სწერენ, თქვენი ჭირიმე?
- ეხლა სულ მალე...
- აი, ღმერთმა მოგხედოს შენაც.
- თქვენ ვინა ხართ? ვეკითხები
- ჩვენ მეტივეები გახლავართ.
- მიდიხართ?
- აი, როგორც ცოტათი ინათებს, დავიძრებით.
- საიდან გაგაქვთ?
- №-იდან, ზოგს აქ ვაძლევთ ფოდრაჩისა, ზოგიც კიდევ
 ზევით მიგვაქვს ხ-ში. თქვენ სად მიბრძანდებით ამ ღამეში?
- მეც ჩემი საქმე მაქვს. ლუკმა პურს დავეძებ.
- ავაშენათ ღმერთმა. ხელობის კაცი იქნებით, დაბრძანდით,
 აქა სჯობიან. ჩამოვჯექ.
- ხო ცოტა ხელობაც ვიცი. მაგალითად, საათებს ვაკავში-
 რებ, შემძლიაი ისეთი ზარა გავუკეთო, როცა გინდათ დარეკს
 და ვაგაღვიძებთ. ეს ძალიან საჭიროა, რომ თავის დროზე ადგეთ, თუ
 სადმე წასასვლელი ხართ.
- კარგი საქმეა, ავაშენოს ღმერთმა.
- ცოტა ფული გამომართვით ძმებო და დამსვით ტივზე, მეც
 მინდა ხ-ში ჩავიდე, იქნებ იქ მუშტარი ვიპოვო სახეირო.
- ჭირა რა სათქმელია, მაგრამ...

— რატომ არა, ვაწყვეტინებ.

— დიდის სიამოვნებით დაგსვამთ, მაგრამა თუ ზარიანი საათები არ გავა, ყრუ ხალხია, მაგისი თავიც არა აქვთ. და ისიც, რომ ტივით წამოსვლა თქვენთვის რა სახეიროა? ცხენს, ან ფაიტონს იშოვით.

— არა მე მუშტარი მყავს აქ. და მეტად დაღლილიცა ვარ. ცხენით და ეტლით მგზავრობა როდი შემიძლიან, ტივზე არხეინად წამოვწევი და როცა ჩავალთ, ჩავალთ.

— როგორც გენებოთ. აბა ჩვენ წინააღმდეგი რად ვიქნებით? დაემეგობრდით, მე მრავლად მოვუყევ ომის ამბები, მტრის ვერაგობა. როცა თევზი მოიხარშა, მძინარე მეტივე გააღვიძეს და ყველანი ვახშამს შევეჩქეცით.

ეხლა ჩვენ საერთო საქმე გვაქვს და გვიხარია, რომ ამინდი კარგი დაგვესწრო. როცა ღვინოც გადავკარით, მათ აგულიანებას შეუდექ: საცაა ინათებს 1—2 საათში, უმჯობესია ეხლავ დავიძრათ, დილა-ადრიათ იქ ვიქნებით. ორიოდ მეტივე კიდევ დავიყოლიე, მაგრამ ახლად გამოძინებული მეტად ჯიუტობდა.

მასთან საქმე სხვაფრივ არ გაკეთდება. მისი საღვთვრძელოც დავლიე და გადავჩურჩულე.

— ჩემთვის ძალიან საქირაა ეხლავ გავსწიოთ, დამეხმარეთ, აიღეთ ეს ფული“ და მას ჩუმად ჩავუდექ ქალაღის ფული. ჩაახვლა, ქეჩო მოიფხანა, პირჯვარი გადაისახა და წამოიწია.

— მაშ, გავსწიოთ, შევუდგეთ... კარგი, ნათელი ღამეა.

წამოვწექ ტივზე და ისიც დაიძრა. გზა მშვიდობისა...

შემიძლიან თავისუფლად ჩავეკონო ძილის დედოფალს. ეხლა ყველამ იცის ჩვენი ჯარის ძღვევამოსილების ამბები. მაგრამ არ ხერხდება დაძინება, ალბად ტივზე, საზოგადოდ, არავის სძინავს. ეგ ჩემგან ხომ არ არის დამოკიდებული... ვინც უთავბოლოდ გაყვირიან.

ნისლი თანდათან ვაიბნა და მზის ყურიც გამოჩნდა. ნაპირებზე პაწია სახლები ნელა იფშენეტენ თვალებს და ზანტად ამთქნარებენ—კარები იღება და ფეხშიშველა ქალები წყლისაკენ გარბიან.

საცაა საღვთრე მატარებელიც გაიღვიძებს, მალე მას შვე გაათბობს და კარებთან ჩემი დებეშის წინ ხალხი დაგროვდება, წაიკითხავენ და გამარჯვების სიმღერას დასძახებენ, მადლობას მომიძღვნიან მე ღამის გუშავს, რომ სხვებსავით საწოლს არ მივაშურე და მთელს ქალაქს მოვდე ეს ზეიმი.

ძილის დედოფალი გაფრინდა და მზეს ამოეფარა. თანდათან სითბო შემოგვეხვია. საათს დახედე: სდგას, დამვიწყებია მომართვა.

— მალე ჩავალთ? ვეკითხები მეტივეს.

— ეხლა მალე, ნელა მიპასუხებს და შავ ხელებს თეთრ წვერებზე გადისობს. ბევრი განუცდია მასაც ცხოვრებაში; ალბად, ამ ნაპირას ვინმე გოგონამ დაატყვევა მისი გული და ისიც ღრმა მოხუცებულობამდე სიმღერითა და ვედრებით ჩაუვლის აქ ქოხებს და სთხოვს დაუბრუნოს გული. ეშმაკია მოხუცი... მეტად გავს ჩემს ბებერ მსახურს. ალბად, მასაც ჩემი მეზობლის ქალი თუ უყვარდა და არ მშორდებოდა. მე კი გულუბრყვილოდ ვფიქრობდი ჩემი ერთგულებისათვის არ დამტოვია. თურმე სიყვარულის მონა ყოფილა და დატყვევებულ გულს უცდიდა... ჩემი ოჯახი მისთვის საფარი იყო სხვათა შორის...

მე საფულედან ორ წითელ ქალღალს ვიღებ და ვაძლევ მოხუც მეტივეს, იგი კეთილის ღიმილით მაჩერდება.

— აიღე, აიღე, მეგობარო.. საჩუქარი უყიდე მას და გაუგზავნე, როცა ხელმეორედ ამოიარო ქალაქიდან.

— ვისა ბატონო? რა საჩუქარი?..

— ვისაც გნებავდეს, ვინც შენთვის ძვირფასია და გიყვარს.

— ჩემი ცოლი ა წელიწადია გარდაიცვალა, შვილსონობას გადაყვა

— ნუ თუ ცოლის გარდა არავინ იქნება შენთვის ძვირფასი? აიღე და შემდეგ დაფიქრდი. მე მაზარის ჯიბაში ვუღებ ფულს და ვშორებები იმ ადგილს.

მივდივარ დიდ ხანს წინ, წინ..

ეხლა, ალბად, რეკენ ჩემი საათები. ხალხი იღვიძებს და მატარებელზე იჩქარის; საცაა ისიც ქშენას დაიწყებს, ეყოფა ამდენი ძილი ლიანდაგის ხაზზე ზანტად გაწოლილს; კმარა, მანაც გაიღვიძოს; ამ დილით მასთან მრავალნი მივლენ და მის გულში იპოვიან ბინას; მაშ რადა სდგას წყნარად?

მაგონდება ნიკოსთან შესავალ კარებში შავ მოსასხამიანი ქალი და მისი ვედრება, რომ სადგურზე გავაცილო. მეც აკი დავპირდი ან როგორ შეიძლებოდა უარის თქმა, იქნებ ადამიანი დახმარებას ითხოვს, მას ბევრი ნივთები აქვს, ადგილს ვერ იშოვის, მთელი ვზასულ ფეხზე უნდა იდგეს. ეს აუტანელია... შეიძლება მან ჩემის იმედით უკანასკნელ წუთამდე არავითარი თადარიგი დაიჭიროს. შეიძლე

ბა ის ელოდება ტივზე უზრუნველად წამოწოლილ კაცს და ბილეთის აღებასაც მისგან მოელის.

ეს ნამდვილი ბარბაროსობაა, როგორ შეიძლება ადამიანი აგრე დააიმედო და შემდეგ ტივი რ ხეტიალი დაიწყო?

არა, მე მივასწრებ მატარებელს, უნდა მივასწრო, რომ მან გზაზე ჩემს უზრდელობაზე არ ჩამოაგდოს ლაპარაკი, ვინ იცის, ზოგი ჩემი ნაცნობიც გადაეყაროს და მეც სამუდამოთ წმევირცხვენ თავს. აქამომდე პატიოსან კაცს მეძახდნენ, ჩემი სიტყვის წინაშე მუდამ ვიციოდი მოვალეობა. ეს რასა ჰგავს?

— მეგობარო, დააყენე, დააყენე ტივი. მე უნდა აქვე ჩამოვხტე.

— ესეც არის მიველით.

— არა, აქვე, აქ იწყება ხ—ი, მე იქით საქმე არა მაქვს.

— ცოტა კიდევ, მიველით შე კაი კაცო.

მე თავი შევიკავე, აქაც სირცხვილში ვარ, გამიგებენ, რომ მოვალეობას გამოვექეც და ეხლა სინდისმა ქენჯნა დამიწყო. მოხუცს განზე ვიხმობ.

— საუბედუროდ, სეტად საჭირო ქალაღდები დამრჩა ქალაქში ეხლავ, ამ წუთასვე უნდა უკან დავბრუნდე, თორემ ყველაფერი დამელუპება, ამ დილით მიდის ქალაქიდან ის კაცი, ვისაც ჩემი ქალაღდები ჩავბარე. მასწავლე ვის მავმართო, რომ ეხლავ ქალაქში წამიყვანოს, დამეხმარე ძია. ოხ, რა ზანტად ფიქრობენ მეტივეები, მთელი საუკუნე სდგას ჩუმაღ. ტივიც დაღვა.

— წამობრძანდით ჩემთან, მეუბნება იგი და შევეყვით ბილიკს. ერთ ქობში დააკაუნა და შევიდა, მე მოჭრიღ ხეზე ჩამოეჯექ, მთელი საუკუნე ვიციღი, კარი იღება და იხურება, ორი მაზარიანი ზანტად ადგამენ ფეხებს, დავიტანჯე, როღისღა? როღის? ეშვეღა... ახღგაზრღას, მაზარაში გახვეულს, ორი ცხენი მოჰყავს. მოხუცი მეტხოვება და კეთიღ გზას მისურვებს.

ჩვენ ცხენებს ვახტებით და გიჟურად ვავრბივართ, ცხენს ოფლი ასკღება, მზე ზურგზე მაჭერს... ჩქარა, ჩქარა, წინ... წინ... ისიცი ჩემს უკან მოაქენებს და ბუზღუნებს. ცხენი დაიღღება და დაღღება.

არა უშავს, მე მას არ დავაყენებ მოვკღავ...

ისეღ ქალაქში ვარ, ცხენი გადავეცი: აღბად კარგად დავასაღრჭე, რომ გიკვირვებით ჩამათვალღიერა და დამიკრა თავი. გიჟივით გავრბი ქუჩებზე. აი, ჩემი ნაცნობი პაწია ბალი. მის წინ ყვავიღებით სავსე „სოღიღღღღღი“, წუთით შევეღექ, ლამაზ ქალს გავუღღიმე და



ახლად მოკრეფილ ვარდებისაგან თაიგული შევუკვეთე; ჩქარა, ძალიან ვიჩქარი. იქნებ ამით მოვიწინაო ჩემი დანაშაული. ჩემო ძვირფასო „სოლეილდორ“, მიხსენ შენ სირცხვილისაგან.

ავტომობილში ვჯდები და კარის კაციც პაწია კონვერტს მწვდის.

— ამ დილით ქალი გახლდათ თქვენთან, გიკითხათ. ეს ბარათი დასწერა და თქვენთვის დამიტოვა.

— გმადლობთ.

— თქვენ დიდს ხნით მიბრძანდებით?

— არა, მე დღესვე მოვალ, საჭირო აღარ შეიქმნა ჩემი წასვლა.

— მაშ, ოთახს შეგინახავთ, ბატონო.

— უეჭველად... აბა, ვეუბნები შოფერს, გასწი სადგურისაკენ. მიგქრი წინ, წინ...

დადგა. აუარებელი ხალხია სადგურის წინ, ავტომობილები და ტრამვაის ვაგონები დაქრიან.

— №-ის მატარებელი სდგას? ვეკითხები მსახურს.

— ესეც არის გავიდა.

— რას ამბობთ №-ის მატარებელი!?

— 15 წუთის წინ გავიდა, მიპასუხა მწყრალად და გამშორდა. შეიძლება დასცინა ჩემს თაიგულს, ჩემს „სოლეილდორს“.

ვიდექ კარგა ხანს. გარედ ვიარე. მაშ ჩემი დებეშა წაიღო იმ მატარებელმა? ეხლა იქაური ხალხიც გაიგებს ყოველივეს. რა საშინლად მოვიქანცე, ძლივს ვდგევარ, მამძიმებს თაიგული. აქ რაღას ვუდგევარ? დროა დავიძინო, მოვისვენო, მოვისვენო... გაზეთებს ვკიდულობ, ამ დილით სატახტო ქალაქების გაზეთებს ვერსად შევიძინდი სადგურის გარეშე, კარგი ვქენ რო მოველ შემდეგ დაიტაცებდენ და ვეღარ ვიშოვიდი.

ნელა ჩამოვიდევარ კიბეზე, თაიგული მამძიმებს, ჩემს ავტომობილთან ეტლი სდგას; ყმაწვილი ვილაც ქალს ხელს ჰკიდებს მკლავში და აჯენს, იის ფერ კაბაში ლამაზია ქალი... ძილის დედოფალი აღბად ეს იქნება, თვალებიც კი მეხუჭება მის დანახვაზე. მივდივარ მათთან, ქუდს ვუხდი მოწიწებით და თაიგულს ვაწვდი განცვიფრებით საჩერებელს.

— თქვენთვის გადმომცეს ქალბატონო, ინებეთ...

— ვინა? და თვალები უფართოვდება.

— „სოლეილდორ“.

— ვინა? ხელახლა მეკითხება, მაგრამ ძალად ვაჩეჩებ ხელში თავს ვუკრავ და უცებ ვშორდები. ავტომობილში ვჯდები და უკან მოგქრი, უკან... უკან...

პატარა ბარათს ზედიზედ ვკითხულობ— არა მესმის. რა.

„აი ამიტომ მინდოდა წასვლის წინ თქვენი ნახვა... ოქროს ძეწკვი თქვენ რომ ბაღში იპოვეთ, ჩემის მეგობრის ყოფილა, სახსოვარია. იტანჯება და დაეძებს. ვუამბე და ძალიან მთხოვა. იქნებ უკან გამოართვათ ფეხის გამწმენდს, ფულს მისგან მიიღებთ. ნახვამდის, ამ დილით ტყვილა აჩქარებულხართ; მეტს ვეღარ იპოვეთ ისეთ ძეწკვს, არც დანარჩენები დასეირნობენ თქვენზე გვიან ბაღში.“

ავტომობილი სასტუმროსთან დადვა. უკან... უკან..

(შემდეგი იქნება)



II. ბრიჯაჟილი

ლია!

მე შენს სახელს შემოვევლე! ლია! ლია! ლია! ლია!
 ეს სახელი ჩემს ბაღში მზის ფოთლების შრიალია;
 ეს სახელი ისე ცეკვავს და შრიალებს... ისე... ისე...
 ვით პერანგის შარიშური და ყვავილთა სიკვამლე.
 შენში მგონად შემოვეგორდი! და შენ, ლიაგ, შენ, მეუფევე,
 ამიხსენი სად არ გზედავ? ამიხსენი სად არ სუფევე?
 როცა თოვლი მოჩუმჩუმებს და ნელინელ ბარდნის ტყე-ველს;
 თოვლის ფერფლი ლიას“ მღერის, ლიას ცელქს და შეურყეველს;
 როცა წვიმა წამოჟონავს და აცრემლებს მთებს თუ გორებს;
 მოწანწკარე წვიმის წვეთი შენს ნაზ სახელს იმეორებს;
 როცა ლურსმულ წარწერებით იჭედება ვარსკვლავითი;
 ცის გუმბათზე „ლია“ მოსიანს ნაპერწკლებით მონაკვეთი;
 ყველა სცოცხლობს შენს სახელთან, ყველა მენი ტრფიალია,
 მე შენს სახელს შემოვევლე! ლია! ლია! ლია! ლია!

და, შენ ასულს ისრაელსა დაგეუფლა დღეს ქალთველი —
 მაგრამ ღმერთი ხომ ერთი გვყავს, ღმერთი ყველას შემმართველი?
 და რა ღმერთი! სიყვარული. — ეს ცხოვრების აზრი, გონი, —
 ხომ პირველად თქვენგან არის მონათესი-მონაგონი?
 და სოლომონს, თქვენს მძლავრ მეფეს, სიყვარული რო მოსწყურდა,
 გადააწყდა ვილაც მწყემს ქალს და მწყემსურად ამიჯნურდა,
 დაუწერა „ქებათ-ქება“, გაავრცელა ურიასტანს

და აქებდა სულამიტის შავ ყვავილზე ნაკვეთ თეთრ ტანს;
 ან, სალომე არ იყო რომ, — ჯავრგადამხდელ, ტკბილ ზმორებით, —
 იოჰანეს მოკვეთილ თავს დაეკონა ამბორებით?
 თვით იუდა? იუდაც ხომ შურს მალავდა შურს ნელინელს,
 და, როს იგი შეეტოფოდა მრუმ მარიამ მაგდალინელს:
 მარიამს კი ქრისტეს ტრფობა ედებოდა გულს ნაკვერცხლად...
 ქალის გამო ქრისტე გასცეს სულ ოცდა-ათ რაღაც ვერცხლად!

მე კი გეტრფი სულ სხვა გვარად! მე კი გეტრფი სულ სხვა ჯურად!
 ე მინდა, რომ შენს მაჯებზე მე ამასხა სამაჯურად;
 ე მინდა, რომ ეგ ყრუ ღოცა ნაფერმკრთალი თბლის თოვლით;
 მხროლდ ლექსით ავაწითლო, პოეტურის ზრუნვა-მოვლით;
 მე მინდა, რომ როცა ჩემს ლექსს შენ იმღერებ მოძახილად:
 ლექსი ჩუმად მოგეპაროს და გაკოცოს ტუჩში ფრთხილად.
 მე მინდა, რომ ეგ ტუჩები.. ეგ ყურები.. ეგ სხეული..
 არ შევბლალო! და შეიქნეს მარად წმინდა-კურთხეული;
 როგორ გეტყვი: „იყავ ჩემი!“... ან „შევუღლდეთ ტოლად, ჯუფთად!“
 ვერ შევბლალა! უნდა დარჩე ეგრე წმინდად, ეგრე სუფთად,
 როგორ გეტყვი: შენს ნაწნავზე იკლიბაკობს ენების მტვერი.
 როგორ გეტყვი: ვინ ჩაგიწყო მკერდში ორი სეფისკვერი? —
 არა! არა! თვით ეს ლექსიც წმინდა ზარის წკრიალია...
 მე შენს სახელს შემოვფეღე... ლია... ლია... ლია... ლია...

ბორჯომი. 1917 წ.





კ. ჭიჭინაძე

ნარზანის სამეფო.

სონეტი.

მიყვარს ეს კუთხე საუკეთესო, ეს აგარაკი,
ბაღი, ხეები ისარივით ზე ამართული...
ნარზანის ახლოს სდგას ქალწული ფიქრში გართული,
ლამაზი, როგორც სამსხვერპლოს წინ თეთრი ზვარაკი.

ძლივს გავიცანი და დაუწყე მას ლაპარაკი;
წარბის აწევით იუცხოვა სიტყვა ქართული.
მანც გავაბით საუბარი ნაზი და რთული,—
უცხო ენაზე ჩვენგზორი უთხარ არაკი.

როცა ავსცილდით ყვითელ ბილიკს ფიჭვნარში ხვეულს.
ის ყოველ სიტყვას განცვიფრების ნიშანს უსვამდა
და თვალებიდან გარს აფრუკდა სიმკვირცხლეს ეულს:

წითელ ვარდს ვნებით დაჰყნოსავდა, ხელს გადუსვამდა...
ახ, აღბად იგი ზაფხულზე სულ ნარზანს თუ სვამდა,
მთელი ზაფხული თუ იბანდა ნარზნით სხეულს!..

კისლოვოდსკი: IX—17 წ.

სიმ. წეველი

თალიკო

სონეტი.

თინათინობდა სიკამკამე თეთრი ღამისა,
 არღის სურნელად იკმეოდა ლანდების ფარდა,
 ლალურ გიზებზე ვით ოდნავი რხევა ქამისა
 იღუმალობით მთის ზეფირი წამოშუშპარდა.

კისკას ღამეში ჩემი სულიც შეიღამისა,
 ოცნების ზამზე სიხალისე გამიმღუმარდა
 და როს მკოცნიდა აღსასრული ყოფნის წამისა
 ჩემ სულის ცაზე მისი სახე ამოცისკარდა.

მაშინ პირველად განვიცადე სული ქალისა
 სპეტაკ სახეზე სხივი ქონდა ჩამოთოვლილი
 ო, რა შევენოდა მარმარობა მკერდ-ფაქალისა

მზესაც არ ყავდა ცის ასული ისე მოვლილი.
 მე საოცნებოთ მიწოდებდა სადღაც შორეთი
 და აგზნებული მის წინ ლოცვებს ვიმეორებდი.



ამჟრის მუჰენება

(მოთხრობა)

(გაგრძელება*)

8

— აი ხელ-მხარი შეგარჩინოთ ღმერთმა! შორიდგანვე მომესმა ჩაქუჩების ხმაურობა და მიამა, გული გამელო, შეაქო პაატამ თავისი შავირდები.

და გაიძრო ტანისამოსი, აიკრა ფეშტამალი, ჩადგა გრდემლთან თავის ადგილას. ხალისიანად განაგრძო მძიმე შრომა. ნამდვილ სიამოვნებასა გრძნობდნენ ხვედა-ჩაქუჩა მწყობრ ტრიალში, მათ შეწყობილ ხმინობაში, გრდემლზედ ნაჭედ ახალ-ახალი რკინეულობის გადმოყრაში. ვანოს ხელში მძიმე ხვედა მანქანისებური ნირშეუშლელობით აზღვე-ჩასდევდა მკაცრად განსაზღვრულ კვალს ჰაერში და შეურყეველის ერთგვარობით უერთებდა თავის მძლავრ გრგვინვას მოცუკვავე ჩაქუჩთა რაკირუკს. თითონ ვანოს ფიქრები კი ისევ შორს იყვნენ ღუქნის მიდამოთაგან. მუშაობდა ვაჟაკი, მისი მარჯვენა შეუგნებლად უფარდებდა თვის მოძრაობას ოსტატის მოქმედებასა. მისი ფიქრები კი თავს დასტრიალებდნენ გულცივ ანიკოს, როგორც გრდემლს რკინის ნაფრქვევი ბჭყვრიალა. ხან წარმოუდგებოდა, რომ სამუდამოდ დაჰკარგა თავისი ანიკო, სხვას მიჰყვანდა ის უღირსს და უშნოს, ხოლო პატივმოყვარებით შებინდულ ქალს დიდებულად მიაჩნდა იგი წამყვანი. ბოლმა აწვებოდა ჭაბუკს უნელებელი და ჯავრით ძალა მიჰქონდა ძლიერ ხვედის ტარზედ. ხან წარმოუდგებოდა, რომ მის შუქურს მისკენ ებრუნა მდიმარე პირი ცხოველსმყოფელი, თვალეში ცეცხლი აღზნებოდა მის გასათბობად და უხვად აყრიდა ეშხის ნაპერწკლებს თან საამურად, თან დასაწველად ამ შემთხვევაში უზომო სიხარულთან ერთად დიდი შიშიც იპყრობდა კაჟივით მტკიცე გულს ვაჟაკურს.

*) იხ. „პრომეთე“ № 2.



— ვაი თუ ვერ შევძლო ისეთი უზრუნველი ცხოვრება მოეწყო ქალს, როგორის ღირსიც არის ის დალოცვილი. ხომ მარტო ჩემ მარჯვენას უნდა დავენდო და ჩაქუჩს, მარტო იმათ უნდა გამიკვერონ ცხოვრების ბილიკი შეიძლება კი ამ ხელობით ცხოვრება, მაგრამ ერთიც ვნახოთ საკმარისი არ გამოდგა ჯაფით შეტანილი პური და უკმაყოფილება დაემჩნა ლამაზს ან დაიტანჯა, უსიტყვოდ ტანჯვაც იცის ანიკომ! მაშინ ხომ მეც გამიმწარდება ლუკმა და გავმწარდები, ფიქრობდა ვანო.

და მომავალ ცხოვრების წინაშე თითქო მუხლი უთრთოდა წვივმაგარ ჯველს, უიმედოდ იღვედებოდა წელმაგარი ვაჟკაცი. გრძნობდა, რომ დიდი ცომი მოუნდებოდა მეტის მომთხოვნ ცოლს. არც ასი ლიტრა საფანელი ეყოფოდა და იხრებოდა მომავალ სიმძიმის ქვეშ. მაგრამ მხოლოდ ერთს წუთს, მარტო ერთ წამს! მისი მოქმედი ბუნება მაშინვე ხალისით ივსებოდა, იმედებით ლიცლიცებდა გულწრფელ აღთქმას აძლევდა ღმერთს, რომ ერთი ათად აქცევდა თავის მხნეობას, გრდემლს ზედ დაადნობდა თავის ძალღონეს ანიკოს კი არაფერს გაუჭირებდა თავის ცხოვრებაში.

— ოღონდ ერთი მადლი ქმენ. ოღონდ მაღირსე სიხარული ყვავილად დავრგო ის სამოთხის ვარდი ჩემ საწყალ კერას პირას და მაშინა ჰნახავ, ღირსია თუ არა ვანო შენის წყალობისა, შეჭლადღებდა ბიჭი გამჩენელს.

ასეთ ფიქრებში გაატარა ვანომ მთელი დრო მუშაობისა. მისი მარჯვენა ხომ არ არხევ-არყევდა შეჩვეულ მოძრაობას მძიმე იარაღისა და ჰანგ შეუშლელად გამოჰყვანდა გრდემლზედ ნაირ-ნაირი სახე რკინეული, იმავე დროს მისი ნაზი ფიქრები გარს ეხვეოდნენ იმ ნორჩ სულს, რომელი დაესახა მას თავის სულის დგმად, მფარველ ანგელოზად, ერთად-ერთ მაშვენებელ-გამხარებლად. ანიკოს გარეშე ველარ წარმოედგინა კაცს საკუთარი ოჯახი, ვერც გამრავლებაც ვერც თავისი თავი ქვეყნად მავალი. ვერ გაეგო, როგორ და უნდა მოეწყო იმას თავისი შემდეგი ყოფა ან რადღა უნდა ეზრუნა ცხოვრების უკეთეს მოგვარებაზედ, თუ კი ანიკო არ გაჰყვებოდა მას, არ მოისურვებდა, არ მოინდომებდა. უანიკოდ ვერ წარმოედგინა თავი დინჯ მოქალაქედ, ღირსეულად; შიში იპყრობდა მას, შიში თავის თავის წინაშე.

— ანიკოჯან! თუ ვერ გაჰხდები ჩემი, თუ არ ინებებ წამომყვამაშ რაღად უნდა ვიშრომ-ვიზრუნო და დოვლათი შევაქუჩო? ვი-

თვის-ღა? ან სახლ-კარი რაღად მენდომება, ან ჩემი თავი!? მთელი კვირა—უქმეში დუღუკის დარდიანი ხმები, ცრემლ მორეულნი რომ ირხვეიან წითელ ღვინით ალიცლებულ ჯიხებზედ. და ეს სულ ბოლომდინ, საფლავის კარამდინ! ცოდვა შენი იყოს, გულქვაგო, თუ უბედურად გადავეგ ოსტატი კაცი, თუ ღვინოში ჩავალრჩე ბეჩავი ჩემი გული. შენი ნდომით ესე სავესე ჩემი ჯველობა! ამბობდა ახალგაზრდა

და ენანებოდა თავისი თავი, ძალიან ეცოდებოდა. გამოსასვლელ გზას კი ვერსადა ჰხვდებოდა. სად იყო ხსნა, როცა მისგან თავის საბედოდ არჩეული ქალი სურვილის თვალით არ უყურებდა მას, ნდომის შეხედვით. თვალეები სხვებისაკენა ჰქონდა მას მიქცეული, სხვა ჯურა ხალხისაკენ: ისინი ეგონნენ მოციქულები იმ ბაჭონ-კაცებისა, უზრუნველ ცხოვრებას რომ ატარებენ ქვეყანაზედ სუფთას და სასიამოს. ხანდისხან მოაგონდებოდა ქალს ვანოც, მაგრამ თითქო შემთხვევით. იქნება ჩვეულების გამო: კაცი თითქმის იმათ სახლში იყო გაზდილი, ქალისავე გვერდით.

— ვებრალები კიდევ ხანდისხან. შეიძლება ამჩნევდეს ჩემ ტანჯვას, გრძნობდეს ჩემ ჯავრს. კეთილად შემომხედავს ხოლმე, თითქო სურვილით. ეჰ, შორიდან ნასროლი ნაპერწკალი რას გამათბობს? ახლო მინდა მისი ცეცხლივით თვალეები, სულ ახლო, რომ დამწვას სანეტაროდ. რასა ვგევარ?! ნავდებ რკინის ნატენსა ჰგავს ეხლა ჩემი სიყმი ჩაუანგულ-ჩაშავებულს. თუ გამიღიმებს, თუ იმისი თვალეებიდან ნაკვსი ცეცხლი შემომხეხვევა, როგორც ქურიდან ამოვარდნილი ალი გასაჭრდ რკინას, ვარდის ფერად შეწითლდება ჩემი ჯველობა, ვერცხლის ნატენივით თეთრად აპრიალდება და კიდევ ჩაადნება იმას, მთლად ენაცვლება. ახლა კი... ოდნავად ძლივს მიშუქებს ბნელად გაყინულს; გლახაკივით ნამცეცებსა ვკრეფ იმის ალერსიან სიტყვისას თუ შიხედვისას, გაიფიქრა ვანომ

და გააქნია თავი, მწარედ ჩაიღიმა, როცა ესე მაგრა მიბმული დაინახა თავისი თავი ანიკოს კალთაზედ, უიმედოდ მიჯაჭვილ-მიჭედლილი.

— უშნოდ გაები, ვანოჯან, მახეში, როგორც თევზი ბადეში! იბრძოლე, დაიხლაკნე. სად წახვალ?! გზა აღარსაით გაქვს, არც გასაქანი.

— რამ დაგიხურა, ბიჭო, გული და ლურსმებით დაგიჭედა? ერთი შენი სიმღერა ველარ გავიგონე ამ დალოცვილ ქურასთან. რას

იფიქრებენ მეზობლები ან რას იტყვის გრდემლის ანგელოზი? ეგონებათ, შავი რამ კვამლი ჩამოწოლილა უსტაბაშის დუქანშიო. შუბლი გახსენ შენებურად და გადიკასკასე ან შემოსძახე! შენიშნა გულნატკენმა პაატამ.

ამაოდ! სიმხიარულის ანგელოზს ფრთები გაეშალა და გაფრენაიყო ვანოს გულიდან, შორს გადაკარგულიყო. ზრუნვის ჭიას დაეხუდნა შიგ და ბრუნავდა იქ, ღრღნიდა დაუცხრომელად, ჰხვრელავდა. გათავდა მუშაობა. წავიდა ოსტატი. ვანომ მიაღვლოავლო თვალი დუქანს, მილაგა ყველაფერი, დაამზადა სახვალის სამუშაო, გააქრო ქურა; აუგდეს დარაბები; წასვლისას ორჯერ-სამჯერ ჩამოსწია კლიტე. დაუკეტელი ხომ არ დამრჩაო დუქანი. ბიჭები უჩუმრად ეხმარებოდნენ დუქანის მილაგებაში, თუ დარაბების აგდებ-დაწყობაში. თან იდუმალ უთვალთვალედნენ პატარა ოსტატს, რამე სიტყვას ხომ არ გადმოკვივდებს ან არ გაგვეხუმრებო. ვანო კი უჩუმრად აკეთებდა ყველაფერს, სახე შეუძრევლად, თითქო არც კი ამჩნევს მორჩილებსაო: იმისი თვალთა ხედვა შიგნით იყო მიქცეული, მისსავე გონებისაკენ, სადაც ანდამანტივით მიმზიდველ სურათებსა ჰხედავდა, საბედისწერო სახეებს. წინად კი ესე არ იყო, სამუშაოს აკრეფის დროს ისე არ გაუშვებდა, რომ არ გაეხალისებინა ისინი, საამოდ არ გაეფხიზლებინა: ზოგს კვიმატ სიტყვას გადაუგდებდა, სხვას დააჯავრებდა, ზოგს მუშუტს შეუღერებდა ან აიტაცებდა და ჰაერში თავს შემოივლებდა; ჯილებს ჩაუტყვიანებდა, ჯადოიანებსაც, ბიჭები ეტმასნებოდნენ, ჰკითხავდნენ. თავის დარდს უზიარებდნენ: იცოდნენ, გაქარვებაში დაეხმარებოდა გულკარგი,

9

ბუნებით მხიარული ბიჭი იყო მეთქი ვანო, მოღმიარე და დარდიმანი. არც ჩაფიქრება უყვარდა უბრალოდ თუ უშნოდ, უნიადავო რამ ოცნებობა. მუშაობის დროს შრომობდა დაუზარებლივ, შეღავათის დროს ისვენებდა მთელი თავისი ხალისიანი ბუნებით, სულით თუ ხორციით. როცა საერთო რამ საქმე შეაჩნდებოდათ ტოლსწორი, ერთი ორად იქცეოდა; თავის დღეში არ უღალატებდა. ყველამ იცოდა ეს და მოსწონდათ მოსიყვარულე ახალგაზრდა გულ ახდილი, სიმართლის გაბედვით მთქმელი, მტრობისა თუ მეგობრობის პირდაპირ მჩენი. რატომ არ უნდა ეთქვა პირდაპირ ან არ ემოქმედ-

ნა, როგორც აზრი ეტყოდა და გული უთქმინდა?! ცხოვრებისა არ ეშინოდა: მანამ თავისი მარჯვენა თან ახლდა, ლუკმის შოვნა არ გაუჭირდებოდა. საცხოვრებელი არ დაეკვეთებოდა. არც რამ დიდი მისწრაფებით იყო თითონ შეპყრობილ-ვატაცებული, რომ იმის მისაღწევად ბევრი ჩაფიქრება სჭირდებოდა, ხვანჯიანი რამ გეგმების შედგენა და მათი ფრთხილად შესრულება, თანისთანობით. ჰალალი ლუკმით კმაყოფილი ცხოვრობდა დღიურად, როგორც რომ მფრინველი უზრუნველი; იცინოდა, მღეროდა. სიამეს აწვევდა თავის გარშემო: ავს უმკლავდებოდა, სადამდისაც კი მაღლიანი მარჯვენა მიუწვდებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი წინად იყო, მანამანიკოსაგან უნებლიეთ ნასროლი ნაპერწკალი გაულევიდებოდა გულში ცეცხლად დამწველად როგორც მშრალ ნახშირში ჩავარდნილი ნაკვერჩხალი მგზნებარე. ამ ცეცხლმა ამოუბუფა მას უზრუნველობა, ჩაუნაფლა იმედი თავის თავისა, ფესვები გამოეწვა ქანდარს მისის გამბედაობისა და ძირიანად შეარხივ-შეარყია თითქმის დასაცემად. შეუდრკა ცხოვრებას გულკაჟი: ერთობ რთულად წარმოდგენენ მას მისი მოთხოვნილობები ძნელი მისაწდომად. ეს მაშინ მოხდა, როცა გასაზრა, რა კარგი ბუდე უნდა მოეწყო იმ უცხო მფრინველისთვის, რომ შესაფერად ეცხოვრებინა ის, თუ კი ეღირსებოდა მასზედ ზრუნვას, მისთვის შრომას, მის თავშემოვლებას. სადღა იყო ეხლა უწინდელი ვანო ხალისით სავსე, შუბლ გაშლილი, პირმოცინარე! ჩაფიქრებული ჯეელი და შეგვარჩენოდა ხელში, დაჯავთიანებული. ეხლაც შინ რომ მიდიოდა, წინადადებდა ბაიათებს როდი გასძახოდა ქუჩა-ქუჩა. მიმავალი შვილის ხმაურობას შორიდანვე გაიგებდა ხოლმე საწყალი მისი დედა და გული გაედებოდა სიამით. ეხლა თავდახრილი მიდიოდა ვანო, ნელის ნაბიჯით; ხელები ჩოხის კალთაში გამოეხვივნა, ფიქრს მისცემოდა ღრმას, უშუქარს, ძნელგადასაქანს. ისე უგემურად მიაბიჯებდა, თითქო ეზარებო შინ წასვლა, თავის კარზედ მოსვენება დალილ-დაქანცულს. იმასაც კი ვეღარ ამჩნევდა რომ გამოვლახედ არაფერი ეყიდნა და სახლში ხელკარიელი უკანვე დაბრუნებულა, რომ რამე მიეტანა ვახშმად. მაგრამ დაეზარა და შეალო კარი. სტუმარი დაჰხვდა სახლში, მამიდა სწვეოდა.

— საღამო მშვიდობისა, მამიდაჩემო! კარგია, მოგეონებივართ და გადმოსულხარ.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, ჩემო კარგო! მიესალმა დედა-
კაცი.

და აკოცა. მერმე ცოტა განზედ გადადგა, ახედ-დახედა მუშ-
ტრის თვალით და წარმოსთქვა ალტაცებით:

— აი მშვენიერი ვაჟაკი! ერთი ამის უღვაშს დახედეთ ხუ-
ჭუჭ-ხუჭუჭად ჩაგრებილს ან ამ შავ წვერს მერცხლის ბოლოს. თან-
დათანა ჰშვენდები, შვილო, ავი თვალით არ ინახები. საწყალ მამა-
შენს უნდა ჰღირსებოდა და ენახა შენი აღორძინება, რომ უდარ ე-
ლად ჩასულიყო საფლავში!

— დაბძანდი, მამიდაჯან! დაჯექი და ერთი შენებურად გვ ამ-
ბე ახალი ამბები. რათა ხანია შენთან ტკბილად აღარ მილაპარაკ-
ნია.

— აი მოვიკეცავ, გენაცვალე და ვიამბობ კიდევ. მერმე რა
ლამაზებისას გეტყვი! ნუ თუ გული არ გიგრძნობს, რომ კარგი მა-
ხარობელი ვარ თქვენი და სასიამოვნო ამბავი მომიტანია სწორედ
შენთვის?!

— რა, მამიდაჯან, რა ამბავი მოგიტანია?

— რაღა რა ამბავი, რომ გული მოგიტაცნია ი საწყალი გო-
გოსათვის, ბაღდადში გაგიხვევია და თან წამოგიღია. ისე მემამიტად
მკითხავს, თითქო არაფერი ესმის, მჭადიდან ნახშირს ვერ გამოიღე-
ბსო! შეიძლება, ბიჭო, მეტი უღმერთობა?! ქალი ეშხით გადაგირე-
ვია და ერთხელაც აღარ აივლი ფანჯრის წინ, რომ შენი შორიდან
დანახვით მაინც ინუგეშოს.

— ვინ ქალი, მამიდაჯან, ან რა გული მომიტაცნია?

— მართლა ვერ მიჰხვდი?! დედაშენსაც კი ძალიან შეებრალა
ის საწყალი, როცა ვუამბე, რა უცეცხლო ცეცხლით იწვის-იდაგვის
ამ დღე, ამ ღამე მაგრამ, ეჰ, კაცები გულცივები ხართ, ხულქავები:
თქვენ ხომ ქალის გრძნობებისას ვერაფერს გაიგებთ ვერასოდეს.
ჩემს თავზედა მაქვს ეს გამოცდილი და გული მეწვის.

— არა მგონია, გამოგეცადოს ვაჟკაცის გულგრილობა: თავის
დროზედ ხომ ნამდვილ კობტა იქნებოდი და ეშხიანი; გამიგონია,
მშვენიერი იყოვო,

— მაშ ეხლა აღარ ევარგვიარ რაღა, შენი თქმით, აბა ერთი
კარგად შემომხედე! უთხრა მოხუცმა

და წელში გასწორდა, ყელი მოიღერა.

— ჩემთვის ეხლაც ლამაზები ხართ და ძვირფასები ორნივენი

ედაცა და თქვენც. სხვა ვილა მყავს ამ ქვეყანაზე თქვენზედ კარგი და სასურველე.

— საქმეც ის არის, რომ მყავს და არც კი იცი! უთხრა მამილამ.

და თვალები მაცდურად გაუღიმა ძმისწულს. ვანომ შეხედა თავის დედას და იმის სახეზედაც სიამის შუქი შეამჩნია. იმედი ჩაესახა გულში: მამილა მართა ცოტა მაჭანკლობდა, მეზობლებში თუ შინაურებში არიგებდა ქალ-ვაჟს, თანაც კარგი ნაცნობი იყო პაატაანთი ხშირად დადიოდა იმათ სახლში და გაიფიქრა, იქნება რამე საიმედო უაბარეს იქიდან. ამ აზრს არავითარი ნიადაგი არ უჩანდა, არც რამ საბუთი. მაგრამ რადგან ეხლა ვაჟის ერთადერთი ეს იყო, ეგონა ყველა სხვაც ამაზედ ფიქრობდა, ყველა სხვასაც მარტო იმ ოჯახიდან წამოსული ამბავი ეგონა მისთვის სასიხარულო, პაატანთავან მოფრენილი კეთილი სიტყვა. მაინც აღარ ჩაეკითხა სტუმარს, თითქო ეშინოდა, რომ სხვას ვისმე დაასახელებდა ის, მის გულისთქმისათვის მთლად უცხოს, და გაუცროვებდა ფრთა ჭრელ იმედებს. არც უნდოდა მაშინვე ჩაეშალნა მოციქულის განზრახვა და დაეღონებინა, რადგან კარვად იცოდა, რომ ყველა ოჯახზედ, ვინც უნდა ყოფილიყო ის ანიკოს გარდა, მაშინვე ცივ უარს ეტყოდა: თუნდ მცირედი დახანება უარისა შეურაცხყოფა იქნებოდა მისი ღელვილი გრძნობისა და შერყევა ანიკოს სათუთ გულისა; ამას ვერ იკისრებდა ვანო, ვერ გაბედავდა. ამისთვის დასკვნა ჯერ ისეც სხვა რამეზედ ჩამოეგდო ლაპარაკი, ეძებდა საგანს საუბრისას. დედის კითხვამ მისცა მის სიტყვას ახალი სადენი.

— დღეს რატომ სადილი არ წააღებინე, შვილო, ან რატომ თითონ შენ არ გადმოხვედი პურის საქმელად?

— არ მეცალა, დედიჯან, დუქანს თავს ვერ დავანებებდი; სადილი ოსტატთანთ გამოეგზავნათ და მერმე რა მშვენიერი!

— აი შე ეშმაკო! კიდევ იმიტომა ხარ ეგრე გაყვინიზებული, რომ ყველანი შენ ვიალერსებენ, ვისაც კი გასათხოვარი ქალი უზის ოჯახში, შენიშნა მამილა მარიამ.

— დედი, ვახშმად გვაქვს რანე? ღვინო ხომ კიდევ არის?

— არის ყველაფერი ღვთისმოწყალება. შენი სადილიც ისეც ხელუხლებელი დგას. აი ჩაიც შეგინახეთ, ჩვენ კი წელანვე დავლიეთ.

— იცი, შვილო, თუ ჩემთვისა ზრუნავ, მადლობელი ვარ. ეხ-

ლავე გეტყვი, რაც სათქმელი მაქვს, ლამაზად მოვიაზროთ ყველაფერი, დავთქვათ სიტყვა და წავალ შინ. გამაცილე კი, გენაცვალე! თორემ აბა ბნელაში როგორ მივალწევ სახლამდინ. ჩაუროთ მართამ.

— რას აიბობ მამიდჯან?! ძლივს ჩაგივლევ ხელში და ველარ გაგიშვებ ამაღამ, მოიხადე ე ჩიხტა-კობი! იცი, ძალიან კარგი ხრამული ვნახე მიხას დუქანში, სულ ლურჯი მურწაა; გავალ, შემოვიტან და ერთი გულიანად ვივახშმოთ, შინაურულად. აი მაშინ მითხარი ყველაფერი დალაგებით, მაშინ დავკრათ განირი და დავკედოთ, რასაც კი კვერი დაეკერის. შინ ხომ იციან, სადა ხარ?

— იციან, ვანოანთა გადავივლი მეთქი, ვუთხარი. მეძნელება კი ლამე აქ დარჩენა: რა უნდა ქმნან სახლში უჩემოდ!?

— ნუ გეფიქრება! შენი ევა ეხლა დიდია, დროა დიასახლისობა გასწიოს ხანდისხან; კარგია იმისთვისაც: გამოიცდება მიუგო ვანოს დედამ

და თითონაც გულიანად შესთხოვა მართას იმ ლამეს მათთან დარჩენილიყო.

10

— ძალიანა ჰგავს ვანო საწყალ თავის მამას ტანი, პირის ყდა, მიხვრა-მოხვრა სულ ამისი აქვს; როცა იცინის, პირწაყარდნილი გრიგოლაა. ხასიათიც ისეთივე აქვს: თუ თავისი გონებით არ აწონდა ყველაფერი, სხვას ადვილად ვერ დაუჯერებს, ეუბნებოდა ვანო შამს უკან სტუმარი დიასახლისას.

— მუშაობაშიც თავის მამასავით მუყაითია და ერთგული: აი ხომ გვიან დაიძინა, რიყრაყზედ ისევ მზად იქნება დუქანში წასასვლელად. იმ საცოდავმაც ესე იცოდა, წუთს არ გააცდენდა უბრალოდ; შრომა კი მაინც ვერ უფასდებოდა, დღიურად ძლივს გამოდიოდა ოსტატი კაცი.

— ხელობა არა ჰქონდა თავისი შესაფერი.

სად ისეთი ცოცხალი ვაჟკაცი ძლიერი, სად მთელი დღე უძრავად სკამზედ ჯდომა და მახათით ტყავის ჩხვლეტა. ან რა გამოიჩინა უნდა ჰქონოდა უთანხო ხარაზს?! იმდენი ფულიც არა ჰქონდა, ტყავეულობა ერთბაშად ეყიდნა და იაფად შეეძინა საქონელი.

— მართალს ამბობ! აკი იმისთვის უნდოდა, შეილი სხვა ხელო-

ბაში გაეზარდა. მე ტყავის წვევა ჭიმვით კბილებში დამძვრა, ხეირი კი ვერა ვნახე; დეე ჩემმა ბიჭმა უფრო სარფა საქმეს მოჰკიდოს ხელიო, მავედრებდა ბოლოს დროს, ლაპარაკობდნენ დედაკაცები ჩუმის ხმით. ვანოს უკვე ეძინა ტახტის ბოლოს.

— ჩვენც ჩავწვეთ, ქალო, თორემ მაყალი მთლად ჩაინავლა და თითქო გაგრილდა ოთახი, უთხრა დიასახლისამ.

და კედელში დატანებულ ღრმა წალოდან დაიწყო ლოგინის გადმოლაგება. გაშალეს ქვეშაგები, მაყალი ძირს ჩადგეს; გასინჯეს რახა; თავები შეიკრეს; ახსენეს ღმერთი; ჩააჭრეს ლამპარი. ლოგინ-შიაც ლაპარაკობდნენ, კარგა ხანს არ დაეძინათ: ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ დარდებს თუ იმედებს. საუბარი ისევ ვანოსა და მის ყისმათის გარშემო ტრიალებდა. ვანოს დედას ძალიან ჰქვამდა დასჯდომოდა მამიდა მართალს მაქანკლობა, მთლად შეთანხმებულიყო მასთან. ჰკვირობდნენ დედაკაცები, ვაჟმა ცივად რად მიიღოვო შუამავლობა, რატომ არაფერი სიამოვნება არ დაემჩნია მას: იკვლევდნენ მიზეზებს იმის ქცევისას; ცდილობდნენ საშუალებები გამოეძებნათ, რომ მიებრუნებინათ ვაჟკაცის გული იმ მზითვიან ქალისაკენ და საქმე გაეჩარხათ.

— ღმერთია მოწყალე, მოვაგვარებთ როგორც იქნება. რახან ბიჭი მტკნარ უბრზედ არა დგა და ქალსაც ჩვენგან არაფერი აქვს დასაწუნი, იმედია, საქმე წაღმართ წატრიალდება და სასურველად დაბოლოვდება, წართქვა ბოლოს სტუმარმა.

და გადაბრუნდა, რამდენჯერმე დაამთქნარა, ხვრინა ამოუშვა. ვანოს დედას კი მაინც არ დაეძინა. დიდი საკითხი სწყდებოდა ეხლა მის შვილისათვის და ოჯახისათვის, ნათლად განსაჭვრეტი თუ ჩასაკვირველი და ძნელ ფიქრებს წაელო მოჭირნახულე დედა. მოაგონდა თავისი ქალობაც. ბედნიერი დრო, განუმეორებელი! თითონაც ხომ შორიდან უკვდებოდა გული გრიგოლასთვის, და როცა გაიგო იმასაც ყვეა რებივარო, ველარ მოითმინა, ხმელი ლელივით წამს აპრიალდა. ისე ძალიან გაიტაცა ის ვანოს მამამ, რომ გაბედა და თავის პირით გამოუცხადა დედას:

— ან გრიგოლას უნდა შემერთა ან სულაც აღარ გავთხოვდები!

თვალსა სჭრიდა მას ჩასპანდური ვაჟკაცის შეხედულობა. დედამას არ უნდოდა მიეცა ქალი ღარიბ ხარაზისათვის, მაგრამ ქალმა თავი გადაიკლა და თავისი გაიტანა. ღარიბად იცხოვრა ნაკლებულო-

ბაში დალია თავისი დღენი, მაგრამ სიამით კი ჰქონდა გული საველ ყოველთვის, სულ ბოლო დრომდის.

— ახ ნეტა ეცოცხლა ი საწყალს, თუნდაც ავადმყოფს! ნეტა პირში სული სდგომოდა და უფრო მეტ სისაწყლესაც სიამოვნებით ავიტანდი; ჭერი ხომ საკუთარი გვეფარა და არც თუ ისე გაგვიჭირდებოდა ადამიანური ცხოვრება, გაიფიქრა დედაკაცმა.

და ცხადად წარმოუდგა უკანასკნელი წამები თავისი ვაჟაკისა? როცა სიკვდილს ღრმად ჩაეჭარნა მისთვის ბრწყალები, მას კი თავი არ ემეტებოდა სასამაროდ. ისე დალია სული, უკანასკნელ ეამამდინ თვალი არ მოაშორა თავის თეკლეს, არც მისი ხელი გაუშვა ხელიდგან.

— ჩემს ვანოსაც თავისი მამის ბედი აქვს: მშვენიერ ქალს შეპყვარებია, შეძლებულ ოჯახის შვილს. ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ კარგი იღბალი მოსდგომია კარს. სხვა რაღა უნდა?! სახლის კარი უნდა გაუღოს ახალ სულს და ტახტზედ დასვას სახლის მაშუქად. ფიქრობდა მოყვარული დედა

და თან ყურს უგდებდა გულს, თავის გრძნეულ გულს, რომელიც ექვის თვალთ შებჭურებდა დედაკაცს და ანიშნებდა, რომ მეტი-მეტად არ აპყოლოდა ოცნებას, თავის სურვილი არ მიეჩნია უკვე ასრულებულ საწადელად. გული აგრძობინებდა მას, რომ ვანო სხვას ეჭირა ხელში, ძლიერ ჯადოქარს, და მისი დახსნა იმ გრძნეულის ხელიდან არც თუ ისე ადვილი იქნებოდა, როგორც ერთის შეხედვითა სჩანდა. ბიჭი თავაზიანად მოეპყრო მაჭანკალ მამიდას, გულდასმით გამოიჭიბა ყველაფერი, თქვა ცოდვა იქნებოდა მაგისტანა ქალის დაწუნება ან მის მზითვებზედ რამე ლაპარაკიო და ამით გაათავა, არც ჰო უთხრა და არც არა. მამიდამ ვერ გაიგო ვანოს სიჩუმისა თუ თავდაჭერილობის აზრი, დედამ კი უარი ამოიკითხა შვილის სიტყვებში, მეტადრე იმ მწარე ღიმილში, რომელმაც გადუქროლა მას ბაგეზედ ამ თითქო გულდასმით სმენისა თუ ყურადღების დროს. იცოდა შვილის ხასიათი, დარწმუნებული იყო, რომ იმას ვერ შეაცდენდნენ ვერაფერი მისაცემით, თუ კი ერთხელ დააღვებოდა თავის გულისაგან ნაკარნახებ გზას; ჰხედავდა, რომ იმ შეყვარებულ ქალისაგან დაწყებული საქმე ჯერ უიმედო იყო, ხოლო მამიდა მართას განზრახვა თითქმის ჩაშლილი. ის ენანებოდა ვანოს დედას, ედარდებოდა, რომ ბიჭი კარგ ბედს თვალს არიდებდა; ვის შეჰხვდებოდა შემდეგში, რა ჯიშისა და ხასიათის ადამიანს, ეს ღმერთმა იცოდა. ამ

საგონებელს წაელო დედაკაცი და ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს.

— სწორედ სხვა შეუყვარდა ამ საწყალს და თანაც უიმედო-იქნება ჯიშად მოუდით ტუნიანთ ვაჟკაცებს შეყვარებით შეუღლება. მაგის მამამაც ხომ სიყვარულით შეირთო. მე რომ ძალიან მომწონდა ის, იმასაც მზე ჩემზედ ამოსდიოდა. მთელი თავის სიცოცხლეში ისე შეველებოდა თავს, თითქო ფიფქისა ვყოფილიყავი და მცირე რამ შეჭირვება დამშლიდა, დამადნობდა. სულ ის დარდი სტანჯავდა, შესაფერი ყოფნა ვერ გაგიმართეო ცხოვრებაში, ესევე ფიქრი ჩაიტანა საფლავეში.

— ჩემთვის ყოველთვის სასიამო იყო მისი შეყვარებული თვალები, მაგრამ, ეჰ, თითქო არ უხდება ვაჟკაცს ესეთი გატაცება, თითქო აძაბუნებს მას. კაცი ტალივით მაგარი უნდა იყოს, რომ ფოლადის ჩამოკვრითაც ბრწყალი არ აეხლიჩოს, მხოლოდ ცეცხლი სცვივოდეს; შეყვარებული კი მოღუნებულია, სატრფოს მრუდე შეხედვაც კი სჩაგრავს მას, ართმევს ძალას მედგრად მოქმედებისას. ჩემს ოჯახშივე მაქვს ყველა ეს გამოცდილი, თითონ ჩემს თავზედ და იმისთვის ვაძაბობ ესე ვაბედვით, დასკვნა დედაკაცმა.

და შორიდან ჯავრი გადაჰხარა მძინარე ქაბუქს, რომ მფარველ ანგელოსს დაეხსნა ის გრძნეულთა ხელიდან და შეენახნა.

11

აქ დედის აზრები თუ გრძნობები ეწინააღმდეგებოდნენ ვანოს ფიქრებს: იმას კიდევ განეცადა სიყვარული, ეგემა ის იშვიათი ხილი, ცხოვრების ხეს რომ ასხია სამოთხეში რგულს, და მის ტკბილ-მწვავე წვენი მთვრალს სხვა აღარაფერი მოსწონდა მთელი ედემის ხეხილთაგანი თუ ყვავილთაგანი. ვანოს ბუნებრივად გაჭლევძებოდა ეს გრძნობა, წყნარად აღმოჩენილიყო იგი მის მახლობელობელსავე ნიადაგზედ და თანისთანობით გაზრდილიყო, ტურფად გაფურჩქნელიყო. ბაღლობიდანვე თან შეზრდოდა მას ის გრძნობა და ეხლა რომ ფიქრდებოდა, ვეღარ გაეგო, როდის შეიქმნა მისთვის ესე ცხადი ის მისწრაფება ან როდის შეიმოსა ძალა უძლეველი. ეგონებ მაშინვე დაწყობილიყო ეს სურვილი, როცა ვანო ჯერ დუქნის ბიჭივე იყო უბრალო და მიზღვე-მოზღვედა თავის ოსტატის ქალს შკოლაში თუ ნაცნობ-ნათესავეთან. მაშინ წაჰკიდებოდა ეს მიღტოლვა, როცა ზურგით გადაჰყვანდა-გადმოჰყვანდა ბაღლი ტალახით საესე ქუჩებზედ ბიჭს. ოსტატის ქალი ბატონის ქალად მიიჩნდა მაშინ თითქოს უფლის-

წულად და თვალს ადვილად ვერ შეადგამდა მას; ეხლა კი, როცა ვანო სანდომი ვაჟკაცი შეიქმნა ხელგამომავალი, ქალი და ის ერთმანეთზედ შორს აღარ იყვნენ თავიანთ მდგომარეობით და გონება ეტყოდა მას რომ ისიც ბუნებრივი იქნებოდა, თუ მამიდა მიეგზავნა პატაანთთვის შუამავლად, ანიკოს სათხოვენლად. მაგრამ გული ამის ნებას ვერ აძლევდა, კრთოდა გული, ეშინოდა ყველა სხვა შემთხვევაში უშიშს და გაუტყუნელს; სურვილის გამძილებასაც კი ვერა ჰბედავდა; ჯერ დედასაც კი არ გაჰნდომოდა ვაჟკაცი და სხვას როგორ გაუშვლავნებდა თავის დარდს ან როგორ დაჰსაქმებდა თუნდ მამიდას ამისთანა სათუთ და საფრთხილო საქმეში.

იმისთვისაც ვერა ჰბედავდა ვანო შუაჯაცის მიგზავნას, რომ ანიკო არ იყო სხვა მისი წრის ქალებსავით უფროსების მონა-მორჩილი, მსწრაფლ გამკონე მათი სიტყვისა; ძალიან ემჩნეოდა თვითნებობა, თითქმის ეინიანობა; უყვარდა თავის ნათქვამზედ ვაგლა, თუნდაც სახარელო ყოფილიყო მისთვის საქციელი. არც იმისი იმედი ჰქონდა ვაჟს, რომ ქალის პატრონები სიხარულით მიიღებდნენ მის სურვილს, მეტადრე ქალის დედა, რომელიც მაღლამაღლა იწვევდა თავს, ზევითა ტოტებს ეწვდებოდა ქალის იღბლის საქებნად თუ მოსახელად: თავმოყვარე დედაკაცი იყო და სცდილობდა მისი შვილი დაჰსნოდა ხელოსანთა მკიდრო ყოფა-ცხოვრებას, უფრო ფართედ გაეშალნა ფრთები, თავისუფლად გაენავარდნა ლაყვარდ სიერცეში. არც გასამტყუნარი იყო დედაკაცი! ვინ არ ეტებს თავისებისთვის უფრო საპატიო ყოფას, უზრუნველ ცხოვრებას დიდებულს?! ბუნებრივი იყო პატანთ მხრივ მეტის ძებნა.

არც თავის თავზედა ჰქონდა ვანოს გადაჭარბებული წარმოდგენა; იცოდა თავისი ადგილი თუ ფასი, გრძნობდა, რომ ანიკო დიდ ბედნიერებად ვერ მიიმჩნევდა თვის იღბლის მასთან შეკავშირებას, ეხლა ისიც უეკირდა შემკრთალს და დაკინების ბილიკზედ შემდგარს, რომ იმ ქალს, რომელსაც მამიდა ურჩევდა მას, თვალეში მოსვლოდა ჯეელი, გული შეჰვარდნოდა მასზედ და მოესურვებინა მისი თვისად დასახვა.

— რა სანუკვარიი მკედლის ქარგალი შეძლებული ოჯახიდგან გამოსულ ლამაზ ქალისათვის, ეუეუნა იქნება ის თუ ანიკო?! ფიქრობდა ვანო.

და არა ჰგმობდა ანიკოს თვისადმი გულცივობისათვის. ის კი უღრღნიდა გულს და უხუთავდა სუნთქვას, რომ არჩევანში სცდებოდ-



ნენ ანიკოცა და მისი დედაც: მის მეტოქედ უღირსი წაყენებინათ, ვილაც მირონა.

— გაუგიათ, სუფთა და შეძლებული ხალხი არსებობსო, ის კი აღარ იციან, რომ ბევრი მარტო გარეგანი სახით წააგავს განათლებულად მცხოვრებლებს, ხოლო თავისი ავლა-დიდებით და ცხოვრების შნოთი თუ პატიოსანად შეძენის უნარით დაბლა სდგანან მუშა ხალხზედ იქნება ის თუ სხვანაირად ჯანის გამრჯელი.

მართლა და რა მოქალაქობა უნდა მოგეთხოვნათ ვილაც ნაძირალა მოხელეებისათვის, რომელებსაც სიყმაწვილე ცულოტობაში და ფუქსავატობაში გაეტარებინათ და ბოლოს მშვიერი ლუკმის საშოვრად დასდგომოდნენ უშნო რამ სამსახურს. თითონ მათთვის საძაგელს, მოსაბეზრებელს?! რომელი ჭკვიანი ვაჟკაცი დაამყარებდა იმისთანა საცოდავ შრომაზედ თავის მომავალ იმედებს?! უმეტესს მათგანს დაკარგული ჰქონდა ადამიანური სიმართლის გრძნობა, გათახსირებულიყო ზნეობით და თვალი მოსატაცებდ და ეჭირა შიმშილით ნახეშ ნადირივით.

— ხომ უშინაარსოები არიან და ცუდად მოსაქმეები, მაგრამ მაინც არ იფიწყებენ თვითმოყვარეობას, თავიანთ გალალეული ოჯახებიდან გამოყოლილ უკადრისობას: ბატონ-კაცურად დაჰყურებდა ჩვენ როჭინახულე ოჯახებს და ურთიერთობა აქვთ იმათთან მარტო იმისთვის, რომ მადიანადა სჭამონ და სვან გულუხვ სუფოაზედ, თუ შემთხვევა მიეცემათ, ბატკანი რამ გაიტაცონ იქიდან და მერმე გულიანად იხარხარონ უბრალო ხალხის გულუბრყვილობაზედ ფიქრობდა ვანო.

ეს უკლავდა გულს. გრძნობისაგან განმახვილი მისი თვალი ხედავდა, რომ პაატანათ ახალი ნაცნობები სრულებითაც არ აფასებდნენ ნიკოს, როგორც ღირსეულს და ცხოვრებაში გამყოლ კარგ თანამგზავრს; მათ მიაჩნდათ ის ფუძე შერყეულ ქალად! რომლის ქუჩაში გამოყვანა თუნდ ყამიერ ლტოლვილების დასაკმაყოფილებლად არც თუ ისე ძნელია იყო. სხვასაც ძალიანა სწყინდა ახალგაზრდას: ის ნაცნობები. პაატას ოჯახში რომ სასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ, საპატიოდ თითქო არც კი კადრულობდნენ იმათ, სახლის ბურჯის მშრომელი მარჯვენა არ მიაჩნდათ თვის საღარდოდ. ისინი თითქო კიდევ ამალელებდნენ ანიკოსა, რომ თავს უყადრებდნენ მათ, მათთან კავშირს და ერთობას არ ერიდებოდნენ. ამას ყველას მკითხავივით ცხადადა ჰხედავდა ვანო, მაგრამ თქმა ვერ გაეჩენდა.



— არ დამიჯერებენ ქალები, მევე გამაწბილებენ, იწყენენ ჩემს ეჭვიანობას; იტყვიან, შური ალაპარაკებს ამ საცოდავსაო.

არა! სწორედ დრო იყო პატანთვის ზურგი შეექცია ვანოს და თავის საკუთარ გზას დასდგომოდა; სასარგებლოც იქნებოდა ეს მისთვის, მაგრამ, ახ, არ ეგებოდა ეს მისგან, არ შეიძლებოდა: გული ნებას არ აძლევდა დაეტოვებინა ანიკო და აპყლოდა თუნდ იმ კვალს ჭკვიანურს, რომელიც გაავლო მისმა მამიდამ ჟუჟუნანთ კარამდინ ერთიც: თუნდა გული ახსნილი ჰქონოდა, ვერ იქმნებოდა კარგი ვაჟ-კაცობა, თუ ამდღარ ოჯახს თავს მიანებებდა მაშინ, როცა ისეთნი შესტყუებოდნენ მას, რომლებსთვის ოსტატის კერის გათახსირება მარტო საკვებური საქმე იქნებოდა, საოხუჯოდ მოსაგონებელი. ამაში დარწმუნებული იყო ვანო. მაგრამ მაინც როდემდის უნდა სდგომოდა ოსტატის სახლს მიუპატიებელ დარაჯად თუ მეთვალყურედ? ქალს პირი უკულმა მიეღო მისგან, დედა კვერს უკრავდა ამაში და რალა იმედი უნდა ჰქონოდა იმათგან? არაფერი, სრულებით არაფერი!

— რა საწყალია ჩემი გული! არ მოსდევს გონებას, რაღაც ჯადო-ჯაჭვით არის ანიკოს კალთაზე მიბმული და სულმუდამ თავს დასტრიალებდა მას. ვანო, შე საწყალო! სინამ ანიკო თავისუფალია, მანამ ის არ გათხოვდება. შენ იმას იქით გზა არა გაქვს; ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამ სხვისაკენ, თუნდაც ზღაპრულ ეთერისაკენ. ხომ კარგადა ჰხედავ ამას და რალას იბრძვი: დაღუნე თავი, წახარე ქედი და იმუშავე; ჯავრი გულში ჩაიკალ, იდექ და ელოდე, რას გაიმეტებს შენთვის უბედო ბედი. რა შეგიძლიან სხვა, როცა რკინის ჯინჯილითა ხარ დაბმული და იმისი რგოლები ყოველ შენ ვაბრძოლებზედ უფრო მაგრდებიან და იკედებიან?! დაასკვნა ვანომ.

და დილით, როცა დუქნისაკენ გაემართა სახლიდან, გადაჭრით უთხრა შუამავალს:

— მამიდაჯან, მადლობა უთხარი ჟუჟუნას, რომ კარგი თვალით შემოუხედნია ჩემთვის. ძალიან მომწონხართქო; შენისთანა ჭკვიანი და ეშხიანი ქალი ანთებული ქურასავით გაათბობს და გაანათებსთქო ჩემს კერას, მაგრამ შენ მეტის ღირსი ხარ, უფრო კარგი ყისმათისა და გულით გისურვებ ბედნიერებასა თქო. სწორედ ესე უთხარი! დაავედრა ბიჭმა

და დაღონებული წავიდა დუქანში, გაუღიმა.

— ეს როგორი პასუხია ქა ეშხიანი ვაჟისგან?! თითქო რაღაცა დარდი დასწოლია გულზედ ლოდევით მძიმე. ყურადღება მიაქციე,

ქალო, მა ბიქს, კარგად მიაკვლიე და დაათვალიერე მაგის ასავალ-ჩასავალი. როგორღაც არ მომწონს მაგისი ქცევა, ველარც მიცვნია თავისი ქცეაზედ. ვისგანმე უნდა იყოს თვალნაკრავი, დამონებული, ეუბნებოდა მაშიდა მართა ვანოს დედას, როცა ემშვიდობებოდა შინ წასასვლელად.

12

დიოდა დაუდგრომელი ცხოვრება თავის სავალზედ და ერთგვარად მიაქანებდა იმათაც, ვისაც თავის სურვილთა სავანი მისანდომი შეჭმნოდა და იმედებით აღვსილიყო, იმისაც, ვისაც ნატერის თვალი ხელიდან გაჰშვებოდა და თანდათან დიდ მანძილზედ სტოვებდა მისკენ მსრბოლ სასოწარკვეთილს. ზამთარი დაენაცვლა შემოდგომას. დადგა გაზაფხული პირვარდიანი. ამ ხნის განმავლობაში ანიკო თანდათან მეტ თავისუფლებას პოულობდა, ძლიერ ხარობდა, თვისი ქცევა კადნიერების ზღუდემდინ მიაქანა. მამის თავდაჭერილ ოჯახში აღვირწასხმულობა და, რომელიც არ შეეფერებოდა თვის მარჯვენაზედ დაყრდნობილ ხელოსნის კერას; ვერ აიტანდა სახლი ამ გვარ ცხოვრებას. ქუჩა ქუჩა რომინი ახლად გაცნობილ ვაჟაკებთან, მეტადრე მთვარიან ღამეებში, შიგა და შიგ წარმოდგენებზედ სიარული, საიდანაც შუალამემდინ ველარ ბრუნდებოდა, ხოლო მოსვლისას უნებლიედ აღვიძებდა შრომით დამაშვრალთ; დილის ძილი ნებიერი; ახალი ნაცნობების შინ მოყვანა და ღრეობა გვიანობამდინ. არ აკვირდებოდა გალაღებული, რომ ესეთ ყოფნას ვერ იმშენვედა მჭედლის სახლი, რომელიც მამლის ყივლისას უნდა აშლილიყო, რომ სახლის უფროსი დროზედ გაესტუმრებინა სამუშაოდ და თითონაც ხელი გაემძრევა. ბაბაღე ხომ ქალის მომხრე იყო ყველაფერში, მაგრამ იმანაც იგრძნო, რა სამძიმოდ დააწვა მის ოჯახს ანიკოს ქცევა.

— ვფიქრობდი, ქალს გამოვზრდი, შემეშველემა მეთქი, ამან კი უფრო შემიმძიმა ყოფა. ვერ მეხმარება ვერც სარეცხში თუ საჭმლის მზადებაში, ვერც სახლის მოვლა-მოლაგებაში, ვერც ძველმანის დაკერებაში თუ გადაახლებაში. საქსოვ-საქარავი მარტო გასართობად, სუფთა საქმის ოდნავ შეხება! მოშველებას ვინა ჩივის, ოღონდ თითონ არ გამხდარიყო ჩემი სადევნ-სავლელი. ჩვენ ადამიანს ხომ არ გაუთენდება არასოდეს: მხოლოდ ჯაფისთვის არის ის ამ ქვეყნად გაჩენილი და უნდა იტანჯოს.

— შენივ ბრალია! შენ ზრდიდი უქნარას, ეხლა კი სჩივი.

— არათერს ცივი! ვამბობ მხოლოდ გულის გადასაყოლებლად. მე არა მიშავს რა, ავიტან, ოღონდ სახლში შემომტანი ჯანსაღად მყვანდეს. ყველაფერს მე თვითონ მოვაგვარებ. რა მიშავს? ვმადლობ გამჩენს, ნახევარის ღირსიც არა ვარ იმ ღვთის წყალობისა, რომელშიაც ვარ. ანიკოს კი, ჩემ აზიზმაზის ანიკოს სწორედ რომ შეჰშვენის უკეთესი ბედიც, სუფთა ცხოვრებაც. ქალბატონი ქალი გამიზრდია ნასწავლი და მაშ რა გგონიათ?! იტყოდა დედაკაცი.

და მაინც ჩაფიქრდებოდა. იმაზედა ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა, რომ უკეთეს ბედისათვის შეეხვედრებინა ქალი. საჭირო იყო ამისათვის სუფთა საზოგადოების გაცნობა, უფრო ღირსეული-ახალგაზრდობის სახლში მიღება. ამას ყველას სანთიანი ბინაც ესაჭიროებოდა, უკეთესი მოწყობილებაც. იმ ოთახში კი, სადაც ეხლა თითონა სცხოვრობდნენ პაატაანი და რომელიც სამზარეულოც იყო, სასტუმროც. სადაც ოჯახს ეძინა თუ ეღვიძა, რომელშიაც ყველაფერი თავზედ ეყარათ, იმ ერთადერთ ოთახში ვერა ხერხდებოდა სუფთა სტუმრების მიღება, მათთვის ხანდისხან მცირე მეჯლისის მართვა ბაბაღეს აზრად მოსდიოდა მდგმურისათვის მეორე ოთახი დაეცლევინებინა და გაეღო დახშული კარი, მაგრამ ვერა ჰბედავდა: ათი წელიწადი მეტი იყო თალაღა იმ სახლში სცხოვრობდა, გარეშეებს აღარც კი ახსოვდათ, რომ პაატაანთ მდგმური იყო ის, არა განაყოფი თუ მაზლის ცოლი და ძნელი იყო ამისთანა ადამიანის დათხოვნა, სისასტიკის ჩენას დაეგვანებოდა ეს საქციელი შეუფერებელს.

— გაჰკვირდება თალაღა, რომ ვუთხრა ოთახი დამიცალე, ჩემთვის მიხდა მეთქი. იტყვის, ნეტა რად უნდა ან ჩემზედ კარგს ვის უნდა მიაქირავოსო. არც თითონ პაატას უამება ეს: შეჩვეულ და შინაურებული ადამიანის დათხოვნა არ ევარგებაო. ქირის მოკლებაც საგრძნობელი შეიქმნება ჩვენთვის, როცა მარტო ერთი კაცის მარჯვენას შევეყურებთ, სხვა შემოსავალი კი არსაიდან არის ანიკოს დაუყენია ეს, მაგრამ ჯერ ისევ ბაღლია ის; იმასა ჰგონია, შემოსავალი თავის თავად გადმოსჩქეფსო წყაროსავით, იმისთვის მატანს ძალას. არ შეიძლება ეს, მეტისმეტი იქნება! ვისაც მოვწონვართ, ესეთები მოგვიწონოს, არ შეგვეფერის ვისიმე გულისათვის, თუნდ საპატიო მისაღვერებისათვის, სხვა ქურჭი წამოვიხსნათ მოუხერხებელ-შეუფერებელი.

მაინც შეიძლებოდა გადაედგა ბაბაღეს ეს ძნელი ნაბიჯიც,



ოდონდ ქალისათვის ყავლა მიეცა, ეჩვენებინა მოარშიყეთათვის, რომ შჩვარში გამოსაკრავი არ იყო ქალის მდგომარეობა; პატასაც დააჯერებდა ამაში, უნებლიედ დაითანხმებდა; თალალასაც არ მოეხატრებოდა: მდგმური რის მდგმურია, თუ სახლის პატრონი ვერ დაითხოვს მას, როცა მოინდომებს? ნაგრამ დედაკაცის განზრახვას ძლიერად ეღობება წინ მეზობლებისა და ნაცნობების მითქმა-მოთქმა.

— დახე როგორ გაზვიადდა, ჩვენი ბაბაღე, რაკი იმისი ქმარი უსტაბაზად ამოირჩიეს! კედლები განზედ გასწია, ფეხი გრძლად გაშალა, მეორე ოთახს უწია.

— რაც უნდა ძალიან გაიჭიმოს, მაინც მჭედლის ცოლია, უბრალო ხელოსანისა; თავადიშვილობა ჯერ არავის დაუმტკიცებია მაგისტრისთვის, არც ყმა-მამული. ტყუილად იწვევს მაღლაამღლა: ბოლოს მაინც ისევ ძირს დაეშვება, დასჭირდება თავის ქერქში ჩადგომა.

— კარგია, თუ ფრთხილად დაეშენენ ძირს და უეცრად არ ჩამოიშლვრნენ შიშფერებელ სიმაღლიდან ეგეცა, მაგის პრანჭია ქალიც. თავი მოაქვთ მწვანე კიტრივით! იტყოდნენ მეზობლები.

კარგად იცოდა ბაბაღემ, რომ მეტსაც იტყოდნენ. იქნება ტუჩის აკვრაც არ ეკმარებინათ და ზურგი შეექციათ. შეიძლებოდა: თვითმოყვარება ძლიერა ჰქონდა ყველა იმათგანს განვითარებული და თავის მოხრა ჭირივით ეჯავრებოდათ, მეტადრე უნდადაგო ამპარტაენობის წინაშე.

— მართლა და რალაცა ზვიადობა თუ განზედ ფრთების გაშლა შეუფერებელი იქნება ჩვენთვის. დარჩეს ესე! აკი გითხარი: თუ მოვწონვართ, რა კარგი და თუ არა, გზა მშვიდობისა დამილოცნია ყველასათვის, დასკვნა დედაკაცმა.

და პირმოლიმარე შევიდა თავის მდგმურთან, მიუალერსა დედაკაცს: უნდოდა მოენანა ის უშნო სურვილი თუ აზრი, რომელიც გაივლო მან თალალას შესახებ: უსიტყვოდ ბოდიშს იხდიდა იმასთან, თუმცა მისი ფიქრი არ იცოდა მდგმურმა, ვერც ოდეს მიზხედებოდა მას.

ამისთანა ზვიად აზრებით და სურვილებით გატაცებული დედაშვილი ყურადღებას აღარ აქცევდა არც ეშხით დამწვარ ვანოს, არც სხვა ხელოსან თუ წვრილმან მოვაჭრე ახალგაზრდობას,

რომელსაც შეეძლო თვალი სჭეროდა ქალზედ. არა კადრულობდნენ თავგასულნი იმათ, აღარც კი ფიქრობდნენ იმათზედ. თუ მაქანკალი მოუვიდოდათ იმათ მხრივ, შორს იჭერდნენ იმის სიტყვას, ტუჩსაც აპკრავდნენ; ქალი ხომ ხმასაც არა სცემდა და იღუმალ ქოქოლით ისტუმრებდა მიმავალს.

— გაუნათლებლები არიან და არ ესმით, რომ ეხლა ჩემთვის ერთობ ძნელია საქმე დავიჭირო მათთან, დაუახლოვდე მათ, კიდევ დაუკავშირდე. შეუძლებელია ეს ჩემთვის! მე მათი ცხოვრება აღარ მამწონს და ვერ შევეთვისები მას. ველარც ავიტან. ურჩევნიათ თავი დამანებონ, თავიანთი ყადარი მოძებნონ. ჯერ იმათი ქუჭყიანი ხელები რა და ღირს და ლობიანი ტანსაცმელი, ზედ რომ აზდის ყველა იმ მასალის სუნი, რომელზედაც ამდღე მუშაობენ! გაიფიქრებდა ქალი.

და პირს არ უჩვენებდა მისკენ მიმავალ ამისთანა ახალგაზრდობას. ვანო ამჩნევდა ამას ყველაფერს, ჰხედავდა გრძნობა გამახული ქალის ამგვარ იმლიკ მოძრაობას და თითონაც განზნებდა დგებოდა, ცდილობდა უშნოდ არ მოსდებოდა ფეხთ ქვეშ ან გზაზედ არ გადაჰხირებოდა უადგილოდ. ადვილი კი არ იყო მისთვის ეს: ძალიან მოსწონდა ანიკო, გულით უნდოდა თავისად დაესახა ის, სული ეტანჯებოდა, როცა ის გვრიტი არ ნებულობდა მასთან ტკბილად ღუღუნს. მაგრამ რას იზამდა?! ძალით ხომ ვერ მიახედებდა ქალს თავისკენ! უნდა ეთმინა, უნდა გულში ეტარებინა მწვავე ჯავრი. გახურებული შანთივით რომ უვლიდა მის ტვინს აუტანელი. დავიწყება კი აღარ შეეძლო ქალის სახისა არც ერს წუთს, იმისიტანი მარად ჟამს თვალი წინ ედგა ემზით მთვრალს: გახურებულ ქურიდან ავარდნილ ალში ბევრჯერ შეუნიშნავს მისი თვალები, უროს ქვეშ ბურჯლად გაშლილ ზოდზედ რანდენჯერ გამოკვერილა ანიკოს დანაქვითი სახე, ცხელ ტალღად რომ უვლიდა მოტრფილეს. ანიკო განუყრელი თანამგზავრი გახდა ქაბუკის ფიქრ-სურვილებისა, მაგრამ, ეჰ, ხელმოსაკიდი თანამავალი კი არ იყო ის, რომ მასთან ახლო ყოფით გული ეჯერებინა: შეუხებელი იყო, როგორც მორჩენება მუღმივი, მკლავი ვერ ეტდობოდა მას, ვით მწვავე ოშხივარს, ალსა მგზნებარეს. ვანოს რომ ანიკოს სახე სდევდა თან, იმ ჩვენებას ბევრჯერ ძალად მიჰყვანდა იგი ოსტატისას: უნებლიედ მიისწრაფებოდა ვაჟაკი ქალიანთა, უნდა დარწმუნებულიყო, რომ ის ისეთივე ხელშეუხებელი იყო მისთვის და ცივი, ვით მორჩენება.

სინამდვილეში ანიკო უფრო ცივიცა ჩანდა მისთვის და უდიერო: აჩრდილი რომ არა ჰშორდებოდა ჯეელს, ნამდვილი ანიკო იშვიათად ეკარებოდა მას, მხოლოდ ხანდისხან გაუღიმებდა ტკბილად, თუნდ მხოლოდ თვალებით, კიდევ კარგი, რომ რასმე დაავალებდა, სადმე გაჰზავნიდა. ამისაც მადლობელი იყო ვანო, რადგან ისიც შეიძლებოდა, ხმაც აღარ გაეცა ეშხით მთვრალისთვის, მოეშორებინა თავიდან, მთლად გაერიყნა. შენ არ იცი, რა კარგი იყო ანიკო, როცა თვალებში ჩაჰხედავდა ჯეელს დი ეტყოდა:

— ვანო, გენაცვა, წადი აფთიაქში და მომიტანე, რაც ამ ქალღელში სწერია: მე არა მცალიან, საკერავი ძალიან მეჩქარება.

იცი? ხანდისხან ხელსაც შეახებდა გულისპირზედ ან ქამარზედ და შესთხოვდა:

— ვანოჯან, ერთი გაისარჯე და შეშა შეუკეთე მა ლუმელს; თითები გამეყინა, ყაისნალი ველარ დამიჭერია!

— გავისარჯო?! ჯანსაც გავიგდებინებ შენთვის! ჯოჯოხეთში ჩავალ, ანიკოჯან, და იქიდან ამოგიტან ნაკვერჩხლებს, რომ გაგათბო. გგონია, შემეშინდება თუნდ ტარტაროზისა?? ოღონდ გასიამოვნო და დეე დაიწვას ჩემი საწყალი თავი! იტყოდა გულში.

და ყურმოჭრილ მონასავით წაესწრაფებოდა ქალის სურვილის ასასრულებლად. უბერავდა ლუმელს ცალ მუხლზედ დამდგარი და თან ფიქრობდა:

— ვაჰ, ნეტავ ერთი შემეძლოს ეგ შეშა თითები ჩემს უბეში დაგიტბო, ჩემ მკერდზედ! იცი, რა ცხელია ეს ჩემი გული შენთვის, შე ჩემო მკვლელო?! ქურაა სავსე გაღვივებული!

ქალი ბალღობიდან იყო მეთქი ვანოს მორბედობას შეჩვეული და ეხლაც ბუნებრივად მიაჩნდა მისი დასაქმება, თითქო ისევ ღუქნის ბიჭთან აქვსო საქმე და არა უკვე მოწიფულ ვაჟკაცთან, რომელიც დღედღეზედ უნდა დაელოცნათ ოსტატად. ვანოც ისევე ემორჩილებოდა ქალს, როგორც წინად. ან როგორ ეტყოდა რაზედმე უარს ოსტატის ქალს, თავის გულის თაიგულს?! ოსტატად დალოცვის შემდეგაც ისევე დარჩებოდა ანიკოსათვის მორბედად, როგორც იყო უწინ თუ ეხლა: შეუშართებელს რამ ძალას მიჰყვანდა მის ქობის საკოცნელად ვაჟკაცი შებოროკილ-შებოჭილი. მერმე ვინ ემორჩილებოდა ანიკოს ასე უთქმელად?! ვანო თავმომწონე, ტოლ-სწორს რომ უნებლიედ პატივცემას აგრძნობინებდა თავისადმი, ის ამაყი ახალგაზრდა, რომელს ჯერ არვის წინ მოეხარნა თავი, არც თუ სახე-

ლოვან ოსტატების წინ თითონ ამქრობაში! მხოლოდ ის ეძნელებოდა ჯველს და ეჯავრებოდა, თუ ანიკო წერილს გაატანდა ვისთან: იჭვი ებადებოდა, ვაი თუ საარშიყო წერილი იყოსო მოტრფიალესთან მიწერილი.

— არა, ანიკოჯან, წიგნს ნუ გამატან! გესმის? ამხანაგ ქალთან რომა სწერ, მე რა ვიცი, თუ საეშმაკო არ არის ეს შენი წერილი და იმ ქალმა კიდევ სხვას უნდა გადასცეს, შენ რომ გეტმანება იმას. არა, ნურც ესე დამამდაბლებ, თორემ ვეღარ შევძლებ: ჩატყდება მოთმინების ბოგირი, ჩემი მორჩილების ლარიც ჩაწყდება.

— ეჰ, კარგი, ვანო, დაჩუმდი! ვის ატყუებ?! განა არ იცი, თუნდ პირდაპირ გითხრას ანიკომ, ეს წერილი მირონას მიუტაო, წახვალ და მიართმევ; კბილთა ღრჭენით დაიძვრი, მაგრამ მაინც წახვალ, მაშ უარს ეტყვი რაღა შენს ანიკოს, უჯათხედ დაუდგები?! თქვი: მონა ვარ შენი, შენხედ მლოცველი, შენგნით გულმკვდარი, შენთვის ცოცხალი! თქვი და გაათავე ჩასჩურჩულა ვიღამაც ყურში.

ამ იღუმალ ხმაზედ მწარედ გაელიმა ვაჟკაცს, შუბლზედ ხელი გადისვა, რომ გამორკვეულიყო ბურანიდან თუ საკვირველ სიზმართა ბურუსიდან; გადიგდო ჩოხის კალთა მხარზედ და შემოსძახა დუქნისაკენ მიმავალმა:

„კვიპაროზს მივიგავს წელი, ტუჩები გაქვს შაქრით სველი; მონსავით კარზედ გელი, გამო, მზეო...“



კოწია გამსახურდია

ორი სონეტი

კვინკლოსიდან „მე-XX საუკუნე“

1. გრაფ ცეპელინს.

შენ ფრთათა რხევას ყურს უგდებენ საუკუნენი
 შეუძლებელის გაარღვიე წრე ჯალღონური
 შთამომავლობას დაუტოვე ძვირფასი ძღვენი
 „Teufels Maschine“—აღმაფრენა სწორედ მგოსნური.
 ჯერ ასე ახლოს არ ვხლებივართ ჩვენ ცის პლანეტებს
 დემონის ფრთები შენ შეასხი ფაუსტს იტგნეულს.
 ვიტყვი: შეძლება კაცთა მოდგმის გადაამეტებს
 კაცისა ნატვრას, მეოცნებეთ ფანტაზმას სნეულს.

მივდივართ ჰაუ, საუკუნეც, სულ ზევით, ზევით,
 გააპე ქარი, ზეფირის ზღვა ფრთებისა რხევით
 მთის არწივები გადმოდევნე და შეაშინე,
 თუმც მიწის ჭიებს ვერასოდეს ვერ გავექცევით
 მზის ეტლს მივჰყვებით, მზეს დავიჭერთ, მზეს გავექცევით
 „Teufels Maschine“! ფრთა გაშალე, „Teufels Maschine“!

2. ემილ ვერჰარენს.

ვერჰარენ! ორთქლის მანქანების სამეფოს მწირო,
 ელექტრონის და ცეპელინის მახარობელო.
 შენ ჩანგს მორჩილობს ოკეანე ხმათა უძირო
 კაპიტალის და ინდუსტრიის აწ სამფლობელო!
 გიყვარდა რკინის და ფოლადის ელემენტები,
 როსკივ ქალების, აპაშების მრუში თვალები.
 ცეცხლში ნაშობი სალამანდრა ცეცხლად ენთები

სიცოცხლეს უმღერ სიკვდილისგან განაწვალები.
 არ არსებობდა შენთვის „მრუში“ და „საძაგელი.“
 ცრემლით დაშრეტილს სიყვარულის კვესით ანთებდი,
 აპოლოს ხელით ანთებული შავი ფაკელი,
 ცოდვილ ქალაქებს სხივმოსილი დაჰქათათებდი.
 ვერჰარენ—კერპი კოჟრიანი, შავი ხელების.
 ბნელს ჩაესვენა მეტეორი საშინელების:

1917 წლის აგვისტო.

ლოზანა.



გ. ახვლედიანი

ღასაზამი ნივთთა

(რიგ-ვედა, ჰიმნი X, 129)

- ა. მასშინა არა იყო რა: არცა ყოფნა და არც არყოფნა.
 არ იყო სიერცე, არც სააქაო, არც საიქაო...
 რით იფარვოდა ყოველივე, ან რა იძვროდა?
 ვინ ფლობდა წყალსა და უფსკრულ სიღრმეთ?
- ბ. არ იყო მაშინ არც სიკვდილი, არც უკვდავება.
 არ იყო დღისა და ღამის სხვადასხვაობა.
 მხოლოდ სუნთქავდა თავისთავად
ერთი, უჩხვეი ქარ-ნიავეთაგან;
 არარა იყო თვინიერ მისა, სხვა მის გარეშე.
- გ. იყო წყვდიადი. წყვდიადი იყო წყვდიადითვე
 გარემოცული.
 უცნობ წყლად იყო. უსახო წყლად ეს ყოველივე.
 ოდეს არარას გარსერტყმოდა არარაობა,
 მუნ წარმოიშვი სითბოსგან **ერთი**.
- დ. მაშინ პირველად განჩნდა სურვილი,
 რომელ პირველი თესლი იყო აზროვნობისა.
 ბრძენთ გულისხმაჰყვეს და გულის ზრახვით აღმოაჩინეს
 არსის არარსთან ნათესაობა.
- ე. გასწრვივად იყო მათი ჭიმი გადაჭიმული.—
 უმეტეს დაბლა, თუ იყო ზევით?
 იყვნენ შემქმენნი და დიადნი.
 მაშინ მუნ იყო ქვე ხალვათობა, ზემისწრაფება.
- ვ. ვინ იცის ნამდვილ, ვის ძალუძს ახსნას,
 ვითარმედ იშვა ქმნილება იგი?

ღმერთნი ქმნილებას აქეთ არიან.

ვინ იტყვის: სიდან, ვით წარმოიშვა თვითვე? საიდან?

ზ. ვინც ზესკნელთაგან უჭკრეტდა **შექმნას**,

—თვითონ წარმოიშვა იგი, თუ არა—

მას უნდ სკოდნოდა, ვითარ წარმოსდგა ქმნილება იგი.—

თვითონ მან, ალბად, არა უწყისრა.

ქართული მწერლობისათვის სრულიად უცნობია დღემდე უმდიდრესი ძველი-ინდური ლიტერატურა. იგი უშრეტი წყაროა ხელოვნებისა და ფილოსოფიისა. სხვათა შორის განთქმულია **ვედა-თა** ოთხი კრებული (sahita) შინაარსის მხრივ წმრმოადგენს ქურუმთა მიერ მსხვერპლის დროს წარმოსატქმელ საგალობელ ჰიმნებს. მათ შორის უშესანიშნავეს კრებულად ითვლება რიგ-ვედა Rig-vēda როგორც სიძველით, აგრედვე ღირსებითაც.

ვკადნიერდები და ვაწვდი მკითხველ საზოგადოებას რიგ-ვედადან ქართულად გადმოღებულ. ფრიად ღრმა შინაარსის ჰიმნს „დასაბამი ნივთთა.“ ჩემი შრომის უმთავრესი ნაკლი სახელმძღვანელო წყაროა ხელმოუწვდომლობით აიხსნება: ზოგან, ალბად, ტექსტს ვშორდები.

ინდურად რიგ-ვედა ნიშნავს „ჰიმნთა ცოდნა“-ს; ო, canrg „ლექსი, ჰიმნი“; vēda „ცოდნა“; შეად. ავესტური vaeda ბერძნ. oide გუთური walt ძვ.-სლავური vědъ რუს. вѣдаты). შეიცავს 1028 ჰიმნს, ათ წიგნად mandata შეკრებილს (ჩვენგან გადმოღებული ჰიმნი მეათე წიგნიდანაა). მათ შორის უძველესი ჰიმნები შეთხზულია (ალბად ზეპირად) არა უადრეს ოცი საუკუნისა ქრისტემდე. მეათე წიგნის ჰიმნები სხებთან შედარებით ნაკლებ ძველია.

იმ ენას, რომელზედაც ვედები შეთხზულია, უწოდებენ ძველი-ინდურის **ვედურ დიალექტს**. ამავე დიალექტზე არსებობს ვედათა მრავალი კომენტარიები brāhmana ძველი-ინდურის მეორე დიალექტს წარმოადგენს ეგრედ წოდებული **ენა სანსკრიტი** saṅskṛita „დამუშავებული, ხელოვნური“), ვედურზე უფრო ახალი. სანსკრიტულად არის შექმნილი ორი შესანიშნავი ეპოსი: რამაჯანა და შაჰაბჰარატა Rāmāyana, mahābhārata ცნობილია აგრედვე მრავალი მოთხრობა, დრამა.

(მაგ. ვანთქმული შაკუნტალა,) არაკთა (პანჩატანტრა) და კანონთა-
კრებული (მანუ-ს კანონები) და ბევრი სხვა...

ვედათა სრულა თარგმანი თითქმის არც ერთ ევროპულ ენაზე
არ არსებობს. ყველაზე მეტად შესწავლილია ვედა ინგლისურ ენაზე
Benfey, Whitney, Iolly, Iacobi და სხვა); შემდეგ გერმანულზე (Stenzler,
Autrech, Prassmann); ფრანგულზე ნაკლებ (Chéry, Ludvig).*)

იხილეთ იუსეპე



*) რედაქტორის შენიშვნა. ლათინურ ასოების უსრულობის და
ნაკლებობის გამო სტამბამ ვერ შესძლო ღედნის მართლწერის დაცვა.

ექვთიმე თაყაიშვილი

ოყურეშის აკლესია და მასში დაცული ნივთები

სოფელი **ოყურეში** მდებარეობს ცხენის-წყლის ხეობაში, ხონს და ცაგერს შუა. ჩვენ გავემგზავრეთ ოყურეშიში ცაგერიდან. გზა ცხენის-წყლის აყრილ ქალებს მიჰყვება, მანამ ხეობა არ ვიწროვდება. ცაგერიდან ოყურეშიამდის იქნება ოცი ვერსი. სოფელი გაშენებულია ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირზე, ხვამლის მთაგრეხილის კალთებზე. ხვამლის ქედი ყოფს რიონის და ცხენისწყლის აუზებს ერთი მეორისაგან. გზა ჯერ ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მიდის. სოფელ **ზუბთან** ძველი ციხის ნანგრევების ქვეშ ხილია ცხენის-წყალზე. ხიდის გაღმა იწყება ოყურეშიში მისავალი გზა. ოყურეშითან ახლო სოფელი **იპიტარა** მდებარეობს; გაღმით, ცხენის-წყლის მარჯვენა ნაპირზე, მოსჩანან სოფლები: **ისუნდარი** და **მახური**. ბუნება მდიდარია, მდებარეობა ლამაზი. შუა სოფელში მალღობზე აშენებულია პატარა თლილის ქვის ეკლესია, უგუმბათო, წმიდის გიორგის სახელზე; საკურთხეველი გარედ არის გამოწეული ხუთ გვერდად. ირგვლივ დერეფანი ახლავს ხის სვეტებზე დამყარებული. კარები აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. თანჯრები ვიწრო, სამი აღმოსავლეთით და თითო სხვა მხარეებზე. გალავანი ქვისა აქვს ეზოში დიდრონი მუხის და ცაცხვის ხეებია. სამრეკლო ახალია, კარგი თლილის ქვით ნაშენი, ძველს ქართულს გეგმაზედ, სამ სართულიანი. ქვემო სართული კუროს თავების ქანდაკებებით არის შემკობილი. ეკლესია აშენებულია 1788 წელს **გიორგი ბატონიშვილის** მიერ, **ოტია დადიანის ძისა**. ამის შესახებ დასავლეთის კარის ზემოდ შიგნით მხედრული წარწერა მოიპოვება:

„მხნეო მხედარო შვიდ წილ უძლეველ
ო წმიდაო გიორგი, მე უღირსი, მცირედ ღვაწლი
სა დამდები ეკლესისა შენისა აღშენებისთვის, დადიანის ოტიას ძე ბა-

ტონისშვილი გიორგი გევედრები, რათა მეოხ მექმნე მიუღლით ძი
თ და ასულით აქაცა და მერმესა მას საუკუნესაცა, წელსა ქრ
ისტეს აქეთ ჩლპს: ქკს უოვ: იენის ივ:“

კანკელი ახალია, ხისა, და გაკეთებულია ეკლესიის საფასით
1864 წელს, რომლის შესახებ სწერია:

„ჩყად-სა წელსა იენისის კბ-სა აღემართა კანკელი ესე ამავე
ეკლესიას საკუთრებისაგან“

აღსავლის კარები ძველი კანკელისა უფრო ლამაზი იქვე კედ-
ლზე ჰკიდია და აგრეთვე რკინის მშვილდი.

ხატები და ნივთები ოყურეშის ეკლესიისა

ოყურეშის ეკლესია რამდენჯერმე გაუცარცავთ. უკანასკნელი
გაცარცვა მომხდარა ზამთარში 1910 წელს. ჩვენ ვიყავით იქ ზაფ-
ხულში ამავე წლისა. ამ გაცარცვის დროს სრულიად გაუხადგურე-
ბიათ წმიდა გიორგის ხატი, ვერცხლით მოჭედილი, რომლის სიმაღ-
ლე ყოფილა 2 ნახევარი არშინი საბედნიეროდ ავაზაკებს ველარ მოუ-
სწრიათ მეორე დიდი წმიდა გიორგის ხატის გაცარცვა, რომელსაც
„ხვამლის წმიდა გიორგის“ ეძახიან. ამ ხატისთვის მარტო გაჭედი-
ლი ვერცხლის შარავანდელი მოუცლიათ, ძვირფასი ქვებით შემკო-
ბილი. ამავე დროს დაუზიანებიათ პირისახე წმიდა გიორგისა, რო-
მელიც გიჰსით ყოფილა ნაკეთები და ზედ გადაკრული ჰქონებია მი-
ხაკისფერი მინანქარი. ეს ხატი დიდად საყურადღებო ნაშთია ქარ-
თული ხელოვნებისა. ხატი ვერცხლისაა, ნაჭედი, ოქროთ დაფერი-
ლი. სიმაღლით ორი არშინი და თორმეტი ვერშოკი, განით ერთი
არშინი და 9 ვერშოკი. ხატი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ზემო
ნაწილზე კამარას ქვეშ გამობერვით განჭედილია ეგრედ წოდებულის
„დედესოს“ სურათი, ესე იგი შუაში წარმოდგენილია ტახტზედ მჯდო-
მარე მაცხოვარი, რომელსაც მარცხენა ხელში სახარება უჭირავს,
მარჯვენა ხელით ჯვარსა სწერს. მარცხნივ და მარჯვნივ მაცხოვარს
უდგანან მავედრებელნი: „დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი“.
ამ სურათების სახელების წარწერანი ბერძნულია. კამარას გარედ
მარჯვნივ და მარცხნივ დგანან: „წმიდაჲ პეტრე“ და „წმიდაჲ პავ-
ლე“. პეტრე გასადებით არის წარმოდგენილი, პავლე ეტრატით,
რომელზედაც ბერძნული წარწერა არის. კამარას თავზედ ჯვარცმუ-
ლი ქრისტეა გამოსახული წელს ზევით, მარჯვნივ და მარცხნივ:
ჯვარცმულისა მედალიონებში მახარობლებია: „წმიდაჲ მათე“ და „წმი-
დაჲ მარკოზ“, ხოლო კუთხეებში მთავარანგელოზები მთელის ტანით:

„მიქელ და გაბრიელ“. ქრისტეს ქვემოდ პატარა მინანქრიანი ჯვარცმა არის მოთავსებული წინამდგომებითურთ, ესე იგი ღვთისმშობელით და იოანე მახარობელით. მაგრამ ღვთისმშობლის სურათი უკვე მოუძრიათ და მარტო ნიშნილა ჩანს. ეს პატარა ჯვარცმა ბიზანტიური რიგის მინანქრით არის გაკეთებული. ასეთია საერთო სურათი ხატის ზემო ნაწილისა, რომელიც მშვენიერი სანახავია და უნდა ეკუთვნოდეს კლასიკურ ხანას ქართული ხელოვნებისა—მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეს. ქვემო ნაწილზე, უფრო დიდზე რასაკვირელია, წარმოდგენილია გამობერვით-განჭედილი დიდი სურათი ახოვანი წმიდა გიორგისა მთელის ნანით, ფეხზედ მდგომარე. მარჯვენა ელში წმიდა გიორგისა შუბი უჭირავს, მარცხენა დადებული აქვს ფარზედ. წელზედ ჩამოკიდებული აქვს დიდი მახვილი ტანისამოსი რომაელთა, სამხედრო. პირისახე და ხელები თავისუფალი ნაჭედი-საგან გიპრისა არის, რომელზედაც მიხაკის ფერი ნაჭერია გადაკრული, მაგრამ, როგორც მოვიხსენეთ, პირისახიდან მინანქარი ჩამოცვივებულია, ხოლო ხელებზე კი დარჩენილი. მარჯვენა წმიდა გიორგისა სირგმელის ყურიდან მაკუროთხეველი უფლის ხელი მოსჩანს წმიდა გიორგის მიმართ. წარწერა სახელისა ხუცური ასომთავრულია მოგრძო ლამაზი ასოებით.

არშიები ხატისა მოჩუქურთმულია ხლართულებით სიმრგვლეთა და ბალახთა სახეების შეზავებით. ქვემო არშიაზე წარწერა აქვს ორ სტრიქონად ხუცურა ასომთავრულით, რომელსაც გადაბმული-ასოების ხასიათი აქვს. ეს წარწერა გარჩეული აქვთ მარი ბროსეს*) და ალ. ხახანაშვილს** პირველი მიაწერს მას იმერეთის მეფეს ბაგრატ მესამეს (1510—1548) ხოლო მეორე აფხაზთა და ქართველთა მეფეს ბაგრატ მესამეს (978—1014) ჩვენ საგანგებოდ გავე მგზავრეთ ოყურეშში, რომ ეს წარწერა გამოგვერკვია და გადმოგველო ამ საყურადღებო ხატის ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ეხლა ხელთა გვაქვს. წარწერის გარჩევამ დაგვარწმუნა, რომ ბროსეს უფრო კარგად გადმოუღია წარწერა, რომელიც არც ისე ადვილი წასაკითხავი არის, ხოლო ა. ხახანაშვილის მიერ გამოცემულს ტექსტში ბევრი შეცდომებია, ქრონიკონი შეცდომით არის

* Raff. 9, f. 26—30

** Материалы по Арх. Кавк. в. 10. стр. 32, приложение. ხახანაშვილისთვის წარწერა მიუწოდებია ბლადოჩინს გერსამიას.

აღნიშნულ და ინდაქტორანი სულ გამოშვებულია. პატივთა გახსნით წარწერას ასე ეკითხულობთ:

1. „წ. ჩუენ ღმრთივ გვრგვინოსანმან მეფეთ მეფემან **ბაგრატ** და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან **ელენე** ხატი ესე წმიდის გიორგის ხოლმისა მოჭედილ იყო პირველთა მეფეთაგან, მერმე ქტრდთ ეძარცვეს. მოვიკითხეთ და რაც ვპ.

2, ოვით მისი ნალეწი. სხუაჲ ჩუენითა ვერცხლითა და ოქროთა და საფასითა მოვჭედეთ წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა და ძმათა * ჩუენთა და ძეთა ჩუენთა და საოხად სულთა ჩუენთა და დავასუტნეთ წმიდისა გიორგის ტაძარსა შინა ქრონიკონსა **სკდ**, ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისსა **კვ**.“

ამ წარწერაში არ არის მოხსენებული თუ რომელ მოქცევას ეკუთვნის ქრონიკონი, მცვამეტეს თუ მეთოთხმეტეს. თუ მცვამეტეს მივაკუთვნებთ 224 ქრონიკონი უდრის 1004 წელს, ესე იგი ქართველთა და აფხაზთა მეფის **ბაგრატ მესამის დროს**. თუ მეთოთხმეტე მოქცევას მივაკუთვნებთ, ქრონიკონი უდრის 1536 წელს, ე. ი. იმერეთის მეფის **ბაგრატ მესამის დროს**. ჩვენის აზრით წარწერა ეკუთვნის იმერეთის მეფეს **ბაგრატ მესამეს**. ამ ბაგრატს ჰყავდა ცოლი, რომელსაც ერქვა ელენე. ეს ბაგრატი გამეფდა 1510 წელს და ამიტომ წარწერაში ნაჩვენებია 26 ინდიკტიონი უდრის იმავე 1536 წელს, რომელსაც უჩვენებს ქრონიკონი $1510 + 26 = 1536$. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ მართო ქრონიკონზე და ინდიკტიონზე მიდგა საქმე, იმ შემთხვევაში ეს თარიღები ბაგრატ მესამეს, აფხაზთა და ქართველთა მეფესაც კარგად მიუდგება: 226 ქრონიკონი მეცამეტე მოქცევისა უდრის 1004 წელს და ვინაითგან ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატი გამეფდა აფხაზეთში 978 წელს** ამიტომ 26 ინდიკტიონი, მათე 1004 წელს უჩვენებს $978 + 26 = 1004$ ძაკრამ აქ ბაკრატ არ ჰყოლია მეუღლე სახელით ელენე. ამას გარდა თვით უძველესი ნაწილი ხატისა, ზემო ნაწილი, თუმცა ძველია, მაგრამ მეთორმეტე საუ-

* დედანში სწერია შემოკლებულად: ძთა შესიძლოა ნიშნავდეს: ძალთა. ბროსეს ეს სიტყვა გამოშვებული აქვს. ხანანაშვილის ტექსტში სწერია; ერთა, მაგრამ შემდეგი სიტყვა „ძეთა“ გამოშვებულია.

** იხილე ჩვენი: ევრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, ძველი საქართველო, ტომი მეორე. გვ. 28

უნებე უადრესი ყოველ შენიხევაში არ არს. სანახევროდ გრეხილიანი ხასიათი წარწერისა და თვით წარწერის ენაც უფრო შეეფერება მეთექვსმეტე საუკუნეს. ამიტომ წარწერა უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფეს ბაგრატ მესამეს, რომელსაც ეს ხატი განუახლებია ქვემო ნაწილი ხატისა წმიდა გიორგის სურათით და არშით უნდა ეკუთვნოდეს მის დროს, ხოლო ზემო ნაწილი უნდა იყოს ძველი არა უგვიანეს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისა.

ხატი წინად კუთვნებია **ხოლმის** ანუ **ხვამლის** ეკლესიას, რომელიც აშენებული ყოფილა ხვამლის მთაზედ, მაგრამ ეხლა ეს ეკლესია დანგრეულია. იქ ნაპოვნი წარწერებიანი ქვები ჩვენ ჩამოვითანეთ წასაკითხავად და გასარჩევად სოფელს ნაყურალეშში, როდესაც ოყურეშიდან ცაგერსავე დავბრუნდით.

2. მეორე სრულიად გაძარცვულის წმიდის გიორგის ხატიდან გადარჩენილია ეხლა მხოლოდ ფიცარი ვერცხლის არშით, ფიცარზე იყო ნატეხები გიჰსისა მიხაკის ფერი, რომელიც სარჩულად დებია ნაქედ ხატს, ვერცხლისა მოყვითლულს, როგორც ბროსე შენიშნავს თვით ხატი მოტანილი უნდა იყოს აგრეთვე ხვამლიდან და როგორც ეტყობა, ისეთი ნახელავი ყოფილა, როგორც პირველი წმიდის გიორგის ხატი, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს შეკეთებული და განახლებული. არშია ბალახის მზგავსი სურათებით არის მოჩუქრომებული და შიგ ჯვრები უზის. ბოლო დროის ხელობაა, როგორც მხედრული წარწერა უჩვენებს ქვემო აშიაზე შუაში სამ სტრიქონიანი:

1. ივრელივ. განმაახლებელი: წისა (=წმიდისა) ამის, ხატისა. ც.
2. აგერელ მიტროპოლიტი. იოანე. დადიანის ძე. მოიხსენე

უფალო

3. ქესით (=ქრისტესით) ჩყიდ. 1814, იანვარს, კპ. 28

ამ წარწერის ზემოდ ბროსეს უნახავს ასეთი წარწერა:

წმიდაო გიორგი, შეიწყალე ბასილი ცგ: (=ცაგარელი).

ცაგერელი მიტროპოლიტი **იოანე** იყო ძე **დადიანი კაცია** მეორესი ქყონდილად აკურთხეს 1792 წელს, გადაიცვალა 8 დეკემბერს 1823 წელს, 46 წლისა. დამარხულია ცაგერის ეკლესიაში, სადაც ჩვენ ვნახეთ მისი ეპიტაფია საფლავის ქვაზედ. ამავე ცაგერელ მიტროპოლიტს უნდა იხსენიებდეს ცნობა, რომელიც ჩვენ დავსტამბეთ ხობის ეკლესიის სიძველეთა განხილვასთან („არქელოგიური მოგზაურობა ნი და შენიშვნანი,“ წიგნი მეორე გვერდი 162) ამ ცნო-

ბიდან სჩანს, რომ იოანე დაბადებულია 1777 წელს. მიტროპოლიტად-უკურობებიან 1800 წელს.

3. ოყურეშში ყოფილა კიდევ მესამე წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა, რომელშიაც გადმოცემით დაცული ყოფილა ლურსმანი, რომლითაც წმიდა გიორგი მიუჭედიან ურემზედ წამების დროს. ეს ხატი წინანდელ გაცარცვის დროს წაულიათ, მაგრამ ერთი ნაწილი განაცარცვი ვერცხლის ნაჭერისა უნახავთ ტყეში გადამალული და დაუბრუნებით ეკლესიისათვის. ამ ვერცხლის ნაჭერზე ზემოდ გამო-სახულია ჯვარი, აქეთ-იქით კარებია. ხატი სამ ნაწილედ იყოფილა ორი კართით, მეორე გვერდზე მხედრული წარწერა აქვს თორ-მეტ სტრიქონიანი. ნიშნებს დედნისა არ ვიცით:

- 1 ქ. ევა, შენ წმიდისა და ერთ არსისა სამებისა მხნეო ახო-
- 2 ვანო, შეიდწილ უძლეველო მხედარო, წმიდაო გიორგი ოყურ
- 3 ეშისაო, ჩვენ ცვა-ფარვათა თქვენთ მონდობილმან და მო-
- 4 სავმან სიწმიდისა თქვენისამან. ძემან ხელმწიფისა დაღია-
- 5 ნის **კაცისამან** ღ მპყრობელმან სრულიად ოდიშ-აფხაზ-ლეჩხუ-
- 6 მ-სვანეთისამან, დაღიანმან **გრიგოლ**, და თანა მეცხედრემან
ჩვენმა
- 7 ნ, საქართველოსა და კახეთის მეფის ასულმან, დედოფალმან
ნი
- 8 **ნამ**, და პირმზომან ძემან ჩვენმან **ლევან** შევამკვეთ და მო-
ვაჭედინეთ სამ-
- 9 კვალი და რკინა იგი, რომლითაც ურემსა ზედა დამსკვალულ
იყავ, სახსრად
- 10 და საოხად სულთა ჩვენთათვის და ამა სოფელსა წარსამარ-
თებელად. და შე.
- 11 იწირე მცირე ესე მწვლილი. ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას**
ოთხმო-

12 ცდა თოთხმეტს, მარტის ოცდაათს

გრიგოლ დაღიანის ცოლი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ასული, რომელიც ჩვენს წყაროებში ნი-ნოდ ანუ ნინად იხსენიება. ის მისთხოვდა გრიგოლ დაღიანს 1791 წელს. გადაიცვალა პეტროგრადში 30 მაისს 1847 წელს, 75 წლისა, და დამარხულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

4. პატარა ხატი ვერცხლისა წმიდა პეტრესი, სიმაღლით 19 და განით 14 სანტიმეტრი. წმიდა პეტრეს წელ ზევითი გამოხატულობა



შუაშია და აწერია ხუცურად: „წაპეტრე,“ მარჯვენა ხელით პეტრე აკურთხებს, მარცხენაში გრავნილი ეტრათი უჭირავს. მარცხენა აშიაზე სამი სურათია წელს ზევითი ღვთისმშობელისა ჩვილელი. მარჯვენა აშიაზე სამი სურათია ჯვარცმისა და ერთიც ჯვარცმის სურათი არის შუაში ზემოდ. ჯვარცმულის ორივე მხარეს წინამდგომნი არიან ღვთისმშობელი და იოანე მახარობელი. ხელობა ხატისა დაბალია. ქვემოდა აშიაზე შუაში უშნო მხედრულით აწერია:

ქ. ღმერთო; შეიწყა-
ლე; იანი: და: რანდ-
ლიანი: უცოც-
ხლ(ე) ძენი: მისნი.

ხატი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს.

5. ასეთივე ხელობის და ზომის პატარა წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა. წმიდა გიორგი ფეხზე მდგომარეა შუბით და ფარით. არშიებზე სამი სურათია ჯვარცმისა და ორი ღვთისმშობლისა ჩვილელი, მაგრამ უკანასკნელი ორი სურათი დაფარულია ვერცხლის ნაქერით, რომელსაც დაუფარავს მხედრული უშნო წარწერა. მოსჩანან მხოლოდ ასონი: „ცხ“ და „იგი.“

6. საცეცხლური ვერცხლისა ქართულის ხელობისა. წარწერა არა აქვს.

7. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

„დადიანი გრიგოლ დედოფალი ნინა.“

ესენი ის პირნი არიან, რომელნიც ზემოდ წმიდა გიორგის სამსჯვალის ხატის წარწერაზე არიან მოხსენებულნი.

8. სანაწილე ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

„წმიდაო გიორგი ოყურეშისა, შეიწყალე მოურავი ყრუაშვილი ხოსია.“

9. სანაწილე კიდობნის მსგავსი, ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

„მთავარ მოწამეო გიორგი, შეიწყალე მოურავი ყრუაშვილი ხოსია.“

აქ მოხსენებული დადიანის მოურავი ყრუაშვილი ხოსია გარდაცვლილა 1816 წელს 37 წლისა და დამარხულია ეკლესიის გალავანში და მის მაღალ ამართულს საფლავის ქვას ვრცელი წარწერა აქვს მხედრული:

1. საფლავსა ამას შინა მდებარე მოურავი ყრუაშვილი



2. ხოსია ბეჟანისძე, რომელ აღვესრულე წლისა კიზ,
 3. ყოველთა აღმომკითხველთა ამისთა შენდობას გვე
 4. ედრები, რათა თქვენცა მნდობილ იქმნეთ ქრისტეს
 5. მიერ. და აწ ვევედრები მოწყალებასა თქვენსა, რათა
 6. არა შესძრათ ლოდი ესე და საფლავი, რომელსა შინა მდება
 7. რე არს საწყალობელი და უჟამოდ აღსრულებული გვამი ჩემი
 8. ვიდრე სოფლისა დასასრულანდე. რ უკეთუ არა ისმინოთ ვედრე
 9. ბა ჩემი და ინებოთ შეძერად ლოდისა ანუ საფლავისა ამის
 - 10 ჩემისა, იქმნეს კაცი იგი შეჩვენებულ და წყეულ
 11. წმიდისა სამებისაგან სულით და ხორციით, და მოსვლასა მას
 12. საშინელსა განსჯანი ქრისტესი და მეოხება ყოვლად
- წმიდისა ღვთისმშობელისა
13. მათ ზედა წყევად და შეჩვენებად ყავნ. ხოლო რომელმან დაამ
 14. ტკიცოს ჩემი ესე ვედრება, კურთხეულ იყავნ უფ-
 15. ლისა მიერ. ქრისტეს აქათ ჩყივ — 1816 „ივნისის 29.“

ქვემოთ კიდევ სწერია:

„საფლავი ესე და თავით ამისა* აკობაძის საზღვრიანათ მოვი-
ყიდე მამარდაშვილის გაბილასაგან და აკობაძის გიგოლიასაგან და
არავის აქვს ცილობა ჩემდა მომართ,“

—საფლავზე დადებულია რკინის დიდი გასაღები შემდეგის წა-
რწერით:

„მოურავი ყრუაშვილი ხოსია ყოველთა გვეედრები ეს ჩემი სა-
ფლავი არავინ დაარღვიოთ, მე ესე გაფიცებთ, დამრღვევი ამისა შე-
ჩვენებულ (არს) სულით და ხორციით ამინ.“

მეორე დიდი წარწერა მოიპოვება ლევან დადიან-ს მოურავის
გრიგორი მანდარიას საფლავის ქვაზედ:

1. ,,ქ: ეჰა, მხილველნო და აღმომკითხველნო ლოდსა ამას ზედა, მე
მა-

1. თის უგანათლებულესობის დადანიის ლეონის სამფლობელოს
ყმა


3. მოურავი მანდარია გრიგოლი მათის ბრძანებით წარვლენი
ლი ვიქმენ ორ

4. გულთა აფხაზთა ზედა და თოფთა მიერ მოვიკალ ორმოც-
და ათისა

*ბროსე კითხულობს ამირსა, მაგრამ ამავე ფორმასაც უჩვენებს



5. წლისა განმღვევლმან. დაუტევე საწუთრო ესე და საყვარელი
 6. მეუღლე და თვისი ჩემი და დავეფალ იწროსა სათლავსა შინა
 7. მინდობილი და მავედრებელი ყოვლად უძლეველისა დიდის
 მოწ
8. ამის გიორგის ტაძრისა გარე, რათა მეოხ მექნას წინაშე
 9. ქრისტესა. გვედრები ყოველთა მხილველთა და აღმომკითხვე-
 ლთა შე-
10. ნდობას მიბრძანებდეთ. და აწ ვევედრები მოწყალებასა
 თქვენსა ვიდრე
11. სოფლისა აღსასრულამდე არა შესძრათ ლოდი ესე მდებარე
 12. გუამსა ჩემსა. და უკეთუ ვინმემ ხელყოს შეძრვად ამისა, სიტ
 13. ყვა მივოს წინაშე ქრისტესა და ჩემდა ნაცვლად
 14. განიკითხოს და სასჯელი მიეხადოს. წელს ქრისტეს აქეთ
 ჩყლგ—1833. თვესა თებერვალს კე —25.



დ. უზნაძე.

ორგანიული მსოფლმხედველობა.

(ვლ. სოლოვიოვი)

I

ჩვენი ხანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი დიფერენციაციის ხანა არის.

ცხოვრება იზრდება, ღრმავდება და ფართოვდება, და ეგ ზრდა ცხოვრების სულიერისა და სოციალური შინაარსისა დაუშრეტელ წყაროდ იქცევა, საიდანაც გადმოსჩქეფს დღელის უცნობი, თავისუფალი ფანტაზიისათვისაც კი წარმოუდგენელის ძლიერებით აღჭურვილი ნაკადი, რომელიც ცხოვრების ზღუდედაუდებელ ველს ათასი და ათიათასი მხრით სერავს.

უკიდურეს წერტილამდე შრომა ნაწილდება ამიტომაცაა რომ ყოველი თითოეული წევრი საზოგადოებისა იძულებული ხდება გარდაუვალ ფარგლებით შემოზღუდოს თავისი მოქმედების ასპარეზი. ეს ასპარეზი რაც დრო გადის, მით უფრო ვიწროვდება, ხოლო მისი ზღუდენი მალღებებიან და მაგრდებიან. რად ხდება ეს? საკმარისია ოდნავ ჩაუკვირდეთ საკითხს. თქვენ მიხედვით, რომ იშვიათი სიმდიდრე აწინდელი ცხოვრების შინაარსისა თავის წიაღთა შორის თავისი შინაარსის შესაფერი ორგანიზაციის აუცილებელს მოთხოვნილებას ატარებს. ეს უკანასკნელი კი დღეს დღეობით მხოლოდ ერთს საშუალებას აღიარებს მიზან შეწონილად და ეგ საშუალება არის რომაელთა მიერ შემოღებული პრინციპი: *divide et impera* არის.

ასეთია პირველი დამახასიათებელი თვისება ჩვენი საუკუნისა. მაგრამ ჩვენ აქვე გვხვდება მისი არსის მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მხარე.

ჩვენი ცხოვრების ცალკე მიმდინარეობათა განვითარება განვითარება იმავე დროს მთელი ცხოვრებისა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ცხოვრება ორგანიზმია და მისი სხვა-და-სხვა მხარე ორგანიულად ესისხლხორცება ერთი მეორეს. ამიტომ, რასაკვირველია,

დასერილი ცხოვრების თუნდ ერთ მხარეზე გაბატონება ყველა დანარჩენის გათვალისწინებას მოითხოვს.

ამნაირად ფაქტი ცხოვრების დიფერენციაციისა მისი ორგანიული სინთეტიზაციისადმი საჭიროებას ბადებს. ასეთია ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იბადება და იზრდება.

ცხადია, რომ ასეთი აშკარა წინააღმდეგობა ჩვენი ცხოვრების შუაგულში გამეფებული, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მეცნიერული განვითარებისათვის და კერძოდ ფილოსოფიისათვის. და მართლაც, ადამიანის შემეცნებითი ზრდის ისტორიაში, ჩვენ მრავალ მიმდინარეობას ვხვდებით, რომელსაც მიზნად ამ წინააღმდეგობის გადაჭრა აქვს დასახული. პოზიტივიზმი, მაგალითად, რას წარმოადგენს, თუ არ ამოძახილს ამ წინააღმდეგობის შესუსტებისადმი ლტოლვილებისას შემეცნებითი ველზე! სოციალიზმს კი იგივე მიზანი დაუსახავს, მხოლოდ სულ სხვა სფეროში: მას სურს სოციალურს ნიადაგზე აღმოცენებულ წინააღმდეგობას საკუთარი გზით შემოუაროს.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. უკვე დასახელებული წინააღმდეგობით გამსჭვალულ მიმდინარეობას ჩვენს ცხოვრებაში პარალელურად მეორე სულ სხვა სახის მიმდინარეობა სდევს თან; და ეგ მიმდინარეობაც ჩვენი ცხოვრების რადიკალური წინააღმდეგობისა და მისგანვე გაერთიანებისადმი წარმოშობილის ლტოლვილების შედევს წარმოადგენს. რა სახის არის ჩვენი მისწრაფება ცხოვრების სინთეზისადმი? ჩვენ გათიშული ცხოვრების ფარგლებში ვრჩებით და იქ ისეთ მომენტს ვეძებთ, რომლისაგან მთელი ცხოვრების გაერთიანება არის შესაძლებელი; მაგრამ ამის კი არ ვკითხულობთ: შეუძლია კი ერთმა, ცხოვრების კერძო ნაწილმა გაერთიანების ვალდებულება დაიკისროს? ვის გაუკვირდება ამის შემდეგ, თუ ამან გამოიწვია სრულებით უთანაბრო ამაღლება ცხოვრების ზოგიერთ მხარეთა და მიმდინარეობათა! მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ ურთიერთობათა მოწესრიგებას უნდა უკუყვებოდ მთელი წინააღმდეგობა, რომელიც ბუდობს სოციალურს ნიადაგზე, მას უნდა ეთამაშნა როლი მთელი ცხოვრების გამაერთიანებელი ძალისა. მაგრამ ეს განა შესაძლებელია? ეკონომიური ურთიერთობანი ხომ სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენენ და არა მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას.—მსოფლმხედველობაში წამოჭრილ წინააღმდეგობის მოსპობა ზოგჯერ იმით უნდათ, რომ მთელი ცხოვრების ქვაკუთხედად მის ერთერთ მხარეს ირჩევენ და მისი ამგვარი უთანაბრო განდიდებათ

ცხოვრების პრობლემის გადაჭრას გვპირდებიან. ამ ნიადაგზედ ჩაისახა ეთიციზმი, ესთეტიციზმი, ინტელექტუალიზმი და სხვა. მაგრამ ჩვენ დღეს მათს მსხნელ ძალაში ეჭვი შეგვაქვს და მათი თითქმის აღარათფერი არ გვწამს. რატომ? მიტომ რომ ვიცით მათი გენეზისი და მათი როლი: ადამიანის ცხოვრება ადამიანის განვითარების ერთ-ერთ მხარეში ვერ იპოვის თავის გვირგვინს.

II

ფილოსოფია განყენებული მეცნიერებაა, მაგრამ სწორედ ეს განყენებული ხასიათი ფილოსოფიისა ჰქმნის მასში ისეთს თვისებას, რომელიც მას ფრიად კონკრეტულ ცოდნის დარგად ხდის, რომელიც მას ისეთი გრძნობიერებით აღჭურვილის საზოგადოებრივი სულიერი მდგომარეობის მაჩვენებლად აქცევს, რომ მას ამ მხრივ ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა დარგი მეცნიერებისა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ყველაზე უწინარეს თავისი გამოხატულება სწორედ ფილოსოფიაში იპოვა ადამიანის სულის იმ გაორებამ, რომელმაც განსაკუთრებით ჩვენს დროში იჩინა თავი. წარმოიშვა ძლიერი, ლტოლვილება, რომელიც შემეცნების დიფერენციაციას, გამოხატულს მეცნიერულ შრომის განაწილებაში, მით უღებდა ბოლოს, რომ **ზოგად ცნებათა** მეოხებით დაქააქსულ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა და შემეცნებათა ჰარმონიულ გაერთიანებას სცდილობდა. განსაკუთრებული გარკვეულობით ეგ ლტოლვილება იმ სინთეტიურ ფილოსოფიაში გამოიხატა, რომელსაც დასაბამი ცნობილმა ინგლისელმა **სპენსერმა** მისცა. მაგრამ ეს ცდა ადამიანის დამაკმაყოფილებელ სინთეზის დამკვიდრებისა შემეცნებითი დარგში თავიდანვე უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს. მართლაც, თვით ამოსასვლელი პუნქტი სპენსერის სინთეტიური ფილოსოფიისა სრული უნაყოფობის ნიშანს თავისავე წიაღში ატარებს. იგი დამკვიდრებულია შეურიგებელს შინაგან წინააღმდეგობაზე და ეგ წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ სპენსერის სინთეტიური ფილოსოფია დიფერენციაციის ჰარმონიულად დაგვირგვინებას მეცნიერების საშუალებით ლამობს. მაგრამ როგორ შეიძლება მეცნიერებამ ასეთი როლი შეასრულოს, როდესაც იგი თვითეულ შედეგია შემეცნებითი ცხოვრების დიფერენციაციისა, თვით მხოლოდ შესაძლო ელემენტია იმ დაკარგული ჰარმონიისა, რომლისაკენაც მიისწრაფის სინთეტიური ფილოსოფია, და არა გვირგვინი ან ყოვლის შემცველი შემეცნებითი კატეგორია. იგი პროდუქტია შემეცნებითი ცხოვრების

დაქსაქსვისა, — მაშ როგორ შეიძლება იგი ამ ცხოვრების სინთეზს წარმოადგენდეს.

სპენსერის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება მაინც არ სცხრება და სინთეტიური ჰარმონიის დამაკვიდრებელ ნავთსაყუდელს მაინც მოუსვენრად ეძებს. **ელჟარდ ჰარტმანმა** მეორე ცდა წამოაყენა ასეთი სინთეზის დამაკვიდრებისა. მაგრამ არც ეგ ცდა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩითვალოს. რაში მდგომარეობს იგი? რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება, — აი ის სამი მიმდინარეობა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, რომელიც მთელს მის შინაარსს სწურავს. ეგ სამი მიმდინარეობაა, რომ ჩვენს ხანაში თავის კიდევებს გადასცილდნენ და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულება მიიღებს. მათი შერიგება აუცილებელი პრობლემაა ჩვენი ხანისა, და ჰარტმანიც სცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას. მას სურს ფილოსოფია რელიგიას შეურიგოს და ორივე მეცნიერებას დაუკავშიროს, მას სურს სინთეტიურად შეაზავოს ეგ სამი მხარე ადამიანის სულიერი ცხოვრებაში. მაგრამ არც მისი ცდაა შესაწყნარებელი. მიზეზი ის „კინემატოგრაფიული აზროვნებაა,“ რომელიც მთელს თანამედროვე ფილოსოფიას ახასიათებს.

ვლადიმირ სოლოვიოვი სწორედ ჰარტმანის ფილოსოფიურ ცდას ირჩევს პირველ საფეხურად, რომელზედაც მას სურს სულიერი ცხოვრების ჰარმონიულ სინთეზამდე ამაღლდეს. სოლოვიოვის აზროვნების და ცხოვრების მიზანი სწორედ ასეთი სინთეზის დამაკვიდრება იყო. იგიც გრძნობს ჩვენი ცხოვრების შუაგულში გამეფებულ დისსოციაციას და წინააღმდეგობის და მისი სრული აღგვისაკენ მიისწრაფის. საუკეთესო ამოსასვლელს პუნქტად, როგორც ვსთქვით, იგი ჰარტმანის ცდას აღიარებს, მაგრამ მას ნათლადა აქვს წარმოდგენილი ყველა სუსტი მხარე ჰარტმანის ფილოსოფიისა. იგი ამიტომ ვერ ჩაითვლება ჰარტმანის მოწაფედ, სწორედ ისე, როგორც წარმოდგენილია მისი მატერიალისტად ან მხოლოდ ჩვეულებრივ იდეალისტად ჩათვლა. მეორე მხრივ, მისი ფილოსოფიური სისტემისათვის არ არის უცხო არც ერთი ფილოსოფიური მიმართულების ელემენტი: არც მატერიალიზმი, არც იდეალიზმი, არც პოზიტივიზმი და არც სხვა რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც კი ოდესმე თავი უჩენია ფილოსოფიის განვითარების მრავალ საუკუნეიან ისტორიაში. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ფილოსოფიის ისტორიას, მას უსათუოდ ეცოდინება, რომ ლეიბნიცის აზროვნებას ერთი დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. ეგ თვისება მასში მდგომარეობდა, რომ ეს იშვიათი უნივერსალური

ნიჭით აღჭურვილი მოაზრე ყოველს უმნიშვნელო ფილოსოფიურ მიმართულებაშიც კი ერთს რაიმე მნიშვნელოვან მომენტს პოულობდა და ასეთ მომენტთაგან თავისებურსა და წარმტაც ფილოსოფიურ სისტემას ჰქმნიდა, სისტემას, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მთელი თავისი მნიშვნელობა. ვლადიმირ სოლოვიოვიც სწორედ ასეთი აზროვნების ტიპურ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. ისე როგორც ლეიბნიცი, სოლოვიოვიც ისწრაფის ანალიტიკური თვალთვალის განხილვის ყველა ისტორიულად მოცემული ფილოსოფიური მოძღვრება, მის მრავალ მხარეთა შორის საღი ელემენტები ამოარჩიოს და ამ უკანასკნელთ თავისი მსოფლმხედველობის უმაღლესი სინთეზის ზღუდეთა შორის შესაფერი ადგილი მიუჩინოს. ჩვენ აქ მიზნად არა გვაქვს სოლოვიოვის ფილოსოფიის ყოველმხრივი და დასრულებული დახასიათება მივაწოდოთ მკითხველს. ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთს მომენტს მივაქციოთ ყურადღება, — სახელდობრ: რა რიგად და რა სახით უწყევს სოლოვიოვის ფილოსოფია ანგარიშს ჩვენი დროის ცოდნისა და არსებობის დარგში დამკვიდრებულს დისოციაციის პროცესს. ასეთი ზოგადი ექსკურსია სოლოვიოვის ფილოსოფიურ სისტემაში საუკეთესოდ აღადგენს ჩვენს წინაშე ფილოსოფოსის აზროვნების ნიშნობლივ ხასიათს და მის კულტურულ-ისტორიულსა და კერძოდ ფილოსოფიურ მნიშვნელობას.

III

ყველა ფილოსოფიურ პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი სხვათა შორის უჭირავს პრობლემას ცხოვრების აზრისა და მიზნის შესახებ. ამიტომაცაა, სოლოვიოვი ამ პრობლემას ყოველი ფილოსოფიის პირველ პრობლემად სთვლის. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მას და თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანას მის ახსნას უმსახურებს. ეს გარემოება ნათელსა ჰფენს სოლოვიოვის აზროვნების მთავარ მიმართულებას, — იგი ხასიათდება პრაქტიკული ინტერესით, რომელიც მთელ მის აზროვნებას ერთ მოტივს ეთიურ მოტივს აძლევს და მის გამოკვლევათ ამ მოტივის გარშემო ატრიალებს.

საიდგან იბადება ეს პრობლემა? ყველასთვის ცხადია, რომ თანამედროვე კაცობრიობა რაღაც გამორკვეული შორს ლტოლვის მსხვერპლი შექმნილა. იგი ვერ კმაყოფილდება არსებულით და ამიტომ თავისი არსებობის ზღუდეთა იქით ლამობს საკუთარი სულის კმაყოფილების ცოდნას. აი სწორედ ეგ უკმაყოფილებაა, რომ აღამიანს ასე დაჟინებით უყენებს წინ საკითხს იმის შესახებ, თუ რა-

მოდენად აზრიანია მისი ცხოვრება. მაგრამ ეგ საკითხი აუცილებლად ერთს დებულებას გულისხმობს: იგი მოითხოვს ცხოვრების **განვითარების** ფაქტად აღიარებას. მართლაც, განა უაზრობა არ იქმნებოდა ის დაუდგრომელი ძიება ცხოვრების აზრისა, რომელიც თანამედროვე კაცობრიობას ახასიათებს, რომ ცხოვრება არ ვითარდებოდეს, რომ იგი წინ არ მიიწევდეს და, ვით ჯარა, მხოლოდ ერთს წერტილს გარშემო უტრიალებდეს? ამიტომ ჰფიქრობს სოლოვიოვი, პრობლემა ცხოვრების აზრიანობის შესახებ აუცილებლად განვითარების ცნების ჭეშმარიტ გაგებას—ჰგულისხმობსო

გერმანიის კლასიკური ფილოსოფოსის საუკეთესო წარმომადგენელმა, იდეალისტმა **ჰეგელმა**, განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლა განვითარების პროცესი და იგი სამ ხანას დაუქვემდებარა: პირველი ხანა არის ხანა განუყოფელი არსებობისა; მას სცვლის ხანა სრული წინააღმდეგობისა, ასე რომ ამ პირველ ორ ხანას შორის გარდაუვალი უფსკრული ითხრება. მაგრამ შემდეგ დგება მესამე ხანა, რომელიც თავის რთულ შინაარსში პირველს ორ მოწინააღმდეგე ხანას ორგანიულად აერთებს,—იგი არის ხანა ჰარმონიული სინთეზისა. განვითარების ასეთს მიმდინარეობას მან დიალექტიკა უწოდა და იგი ამგვარად სამ მომენტთან მიმდინარეობად დასახა: **თეზისი** იცვლება **ანტითეზისით** და ბოლოს მყარდება **სინთეზისი**.

დაახლოებით იგივეა განვითარების თეორია ინგლისელ ფილოსოფოსის **სპენსერისა**. მისი **კონცენტრაცია**, **დიფერენციაცია** და **დეტერმინაცია** არსებითად განმეორებაა, მხოლოდ სხვა სახით, ჰეგელის თეზის-ანტითეზის-სინთეზისა.

ვლადიმერ სოლოვიოვი ამ ორ ფილოსოფოსს ემხრობა და ისტორიულ განვითარებას იგიც სამი მომენტის თვალსაზრისით იხილავს. ამისდამიხედვით იგი ნათლად სჭვრეტს ყოველ განვითარების უკანასკნელს მიზანს, და ეგ მიზანი, მისი შეხედულებით, სპენსერის დეტერმინაციაა, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღთა შორის წამოჭრილს დაქსაქსევას, ადამიანის **ცხოვრების ძალების** შუღლსა და მტრობას ჰარმონიული სინთეზის ზღუდეთა შორის ბოლო ედება. მაგრამ აქ იბადება საკითხი: როგორ უნდა გვესმოდეს ეგ ადამიანის ცხოვრების ძალნი, რომელთა სინთეტიკური გაერთიანებაც ჩვენი განვითარების მიზანს უნდა წარმოადგენდეს? ექვს გარეშეა, რომ იმ ძალათა ძებნა ჩვენ თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოგვიხდება და მათი განსახიერების პოვნა მხოლოდ ამ ცხოვრების ფორმებში შეგვეძლება. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმანი კი, როგორც ჰგონია სოლო-

ვიოეს, ბოლოს და ბოლოს დაფუძნებულნი არიან ადამიანის ბუნების ნიშნობლივ თვისებათა საძირკველზე. აქედან აშკარაა, რომ ჩვენთვის აუცილებელი ხდება ადამიანის ბუნების ზოგადი ანალიზი მაინც.

ადამიანის ბუნება სამი მხრით სახიერდება წარმოდგენა, გრძნობა და მოქმედი ნება-აი ის სამი სახე ჩვენი არსებობისა, რომლითაც მსოფლიოს ადამიანის არსებითი ბუნება ევლინება. ეგ სამი სახე ადამიანის ბუნებისა ორ გვარს ფარგლებში სახიერდება: ინდივიდუალურში და სოციალურში. მათი სოციალურს ფარგლებში განსახიერება სარჩულად უდევს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის ფორმათ. მათი სოციალურს ფარგლებში გაშლილი მოქმედება ობიექტიურს სახეს იღებს და ეგ ობიექტიური სახეა სწორედ ის, რაც საზოგადოებრივი არსებობის ფორმებს წარმოადგენს. ამგვარად მხოლოდ იმოდენადაა შესაძლებელი წარმოვიდგინოთ ნება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის ფორმა, რამოდენათაც მას მიზნად საერთო, სოციალური მომენტი დაუსახავს; იმოდენადაა შესაძლებელი აზროვნების ცხოვრების ფორმათა პრინციპად აღიარება, რამოდენათაც იგი ობიექტიური კეშმატივებისაკენ მიისწრაფის. გრძნობაც მხოლოდ მაშინ გასწევს ცხოვრების ფორმათა პრინციპობას, როდესაც მის შინაარსად ობიექტიური მშვენიერება იქცევა.

სოლოვიოვის ღრმა რწმენით, ჩვენი ბუნების მხარეთა ასეთი სოციალური, ობიექტიური მოქმედება ფაქტია, და მთელი ცხოვრება ყოველი საზოგადოებრივი ერთეულისა სწორედ ამ მოქმედებაზეა აგებული. პირველი, უმნიშვნელოვანესი პრინციპი ამ სამ ფაქტორთა შორის არის, სოლოვიოვის აზრით, ნება. იგი საზოგადოებრივს ცხოვრებაში სამ გვარად სახიერდება:

1. ის მიზანი, რომელიც უნდა განახორციელოს ნებამ, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმამ, არის ობიექტიური სიკეთე. ეს უკანასკნელი კი აუცილებელ პირობად სუბიექტთა არსებობას მოითხოვს. სუბიექტთა არსებობა კი დამოკიდებულია გარეშე ბუნებაზე, რომელსაც ყოველი არსი მიმართავს თავის არსებობის საშუალებათა მოსაპოებლად, ამ ნიადაგზე წარმოიშვება ათასგვარი დამოკიდებულება და ურთიერთობა ადამიანსა და გარეშე ბუნებას შორის. ამ დამოკიდებულებათ, ამ ურთიერთობათ განწესიერება, ორგანიზაცია ეკირვება, და ის ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც მიზნად ამ განწესიერებას ისახავს, არის ეკონომიური საზოგადოება. ამგვარად, პირველი სახე, რომელსაც იღებს ნება, როგორც ფორმა

სოციალური ცხოვრებისა, არის ეკონომიური საზოგადოება. იგი პირველი ობიექტივიზაციაა ნებისა.

2. ადამიანის ცხოვრება მარტო ეკონომიური არსებობით არ განისაზღვრება. ადამიანს მარტო მატერიალური უზრუნველყოფა კი არ აკმაყოფილებს, მას სურს აგრეთვე იმ ურთიერთობათა განწესებაც, რომელიც იბადება საზოგადოდ ადამიანთა შორის. ამ ურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებლობა კი ადამიანის სოციალური ცხოვრების მეორე ფორმას წარმოშვებს, რომელსაც მიზნად საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზაცია აქვს დასახული. ეს მეორე ფორმა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა არის ის, რასაც ჩვენ **პოლიტიკურს საზოგადოებას** ანუ **სახელმწიფოს** ვუწოდებთ. — სახელმწიფო ამგვარად საზოგადოებრივი ნებისყოფის მეორე ობიექტივიზაციაა.

3. ადამიანს მარტო მატერიალური, მარტო უფლებრივი კეთილდღეობა ვერ დააკმაყოფილებს. მას სურს აგრეთვე როგორმე აბსოლუტურ არსებობაშიაც ჰქონდეს ნაწილი, — მას სურს აგრეთვე მთელს უნივერსუმთანაც როგორმე **გრძნობით** შეკავშირდეს, მას სურს ტრანსცენდენტულთან ერთად იარსებოს, — ერთი სიტყვით, მას აქვს რელიგიოზური მოთხოვნილებაც და მისი სურვილი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენაც არის მიმართული. ამ ნიადაგზე ჩნდება საზოგადოებრივი ცხოვრების მესამე ფორმა: სულიერი საზოგადოება ანუ **ეკლესია**. ეკლესია ამგვარად მესამე ფორმაა საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იგი მესამე საფეხურია ნების ობიექტივიზაციისა.

სოლოვიოვი სამივე ამ ფორმას ერთიერთმანეთს უკავშირებს და პოულობს, რომ უმთავრესი მნიშვნელობა უკანასკნელს ფორმას. „ეკლესიას“ ეკუთვნის. იგი, მისი აზრით, ასე ვსთქვათ, მიზანია მთელი საზოგადოებრივი არსებობისა, იგი აზრის მიმართულების მიმნიჭებელი მომენტია სოციალურს ცხოვრებაში, მაშინ როდესაც ეკონომიური საზოგადოება და მეურნეობა მხოლოდ გარეგანი საფუძველია, ხოლო სახელმწიფო მისი განხორციელების საშუალებაა. ჩვენ რომ განვითარების თვალსაზრისით განვიხილოთ ყველა ეს სამი ფორმა საზოგადოებრივი არსებობა სა, იმ შემთხვევაში ჩვენ გადასაჭრელი გვექნება საკითხი მათი ურთიერთობისა როგორც თვით განვითარების პროცესში ისე მის უკანასკნელ საფეხურზე. ეგ საკითხი — საკითხია ჩვენი საზოგადოებრივი იდეალის შესახებ და ამიტომ მისი გათვალისწინება აუცილებელია სოლოვიოვის მსოფლმხედველობის სურათის შესავსებად.

ის მიზანი, რომლისაკენაც მთელი განვითარება მიისწრაფის, დაქაჩსულ ძალთა სინთეტიური შეერთება, — ანუ დეტერმინაცია არის. ასე ფიქრობს სოლოვიოვი. აქედან თავის თავად გამომდინარეობს სოციალური იდეალის საკითხის გადაჭრა. მართლაც, თუ იდეალი განვითარებისა სინთეზია, იმ შემთხვევაში აშკარაა ის ურთიერთობაც, რომელიც უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ ფორმათა შორის ცხოვრების განვითარების უკანასკნელს საფეხურზედ. ეგ ურთიერთობა სინთეტიური უნდა იყოს, ყველა ის სამი ფორმა ერთი სინთეტიური ორგანიზმის თანასწორ უფლებიან წევრს უნდა წარმოადგენდეს. არ უნდა არსებობდეს მათ შორის მტრობა და შური, თითოეული მათგანი ავტონომიურად უნდა განაგებდეს ყველა იმ საქმეს, რომელიც მისი მოქმედების ასპარეზს ეკუთვნის და უთანაბრო პრეტენზიას მათ შორის არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მთლად ავტონომიური თავის საკუთარ ამოცანათა ფარგლებში, ყოველი მათგანი შემადგენელ ნაწილად უნდა შედიოდეს მის მალა მდგომ ფორმაში, თავისი საკუთარი ნების საფუძველს მხოლოდ ამ უკანასკნელში უნდა ჰპოულობდეს განხორციელებულს, მხოლოდ ამ უკანასკნელიდან უნდა აღებდეს თავის მოქმედებათა მიზანს და აზრს და ამგვარად მხოლოდ მასში ხედავდეს თავის ნამდვილს არსებობის ფორმას. ასეთი სინთეტიური ორგანიზმის სათავეში წარმოუდგენელია სხვა რამ არსებობის ფორმა იდგეს თუ არ **ეკლესია**, როგორც ერთად ერთი ცხოვრების ფორმა, რომელსაც მარტიოდ-მარტო შეუძლია ანგარიში გაუწიოს ადამიანის სულის უმწვერვალეს მოთხოვნილებას, მის რელიგიურს ლტოლვას და რომელიც ამგვარად შეიძლებს უმაღლესი მიზანი და აბსოლუტური ნორმა მისცეს ყველა სხვა ცხოვრების ფორმას.

ასეთია აზრთა მსგელობა სოლოვიოვისა. ამ გზით იგი იმ სოციალურ იდეალის აღიარებამდე მივიდა, რომელსაც შემდეგ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა.

ეს იდეალი, სოლოვიოვის აზრით, განყენებული მსჯელობის ან ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, კაცობრიობის ცხოვრების უღმობელი ლოდიკის კანონთა შედეგია. იგი არ არის უტოპია; მისი განხორციელება ისევე აუცილებელია, როგორც რეალიზაცია განვითარების პროცესის მესამე საფეხურისა.

კაცობრიობის განვითარების მესამე საფეხურია „სრულყოფილი საზოგადოება“ — ან „თავისუფალი თეოკრატია“ — ან სახელი ამ იდეალურის წესწყობილებისა.

სანამ ცხოვრების იმ ფორმის გათვალისწინებას შეუდგებოდეთ რომელიც ადამიანის ფსიქიური არსებობის მეორე ფაქტორის, წარმოდგენის ზეგავლენით მუშავდება, საჭირო იქნება ჯერ მესამე ფაქტორი განვიხილოთ. როგორც ვიცით ეს მესამე ფაქტორი, სოლოვიოვის აზრით, **გრძნობაა**. მაგრამ გრძნობა არა ინდივიდუალური, არამედ გრძნობა, როგორც ობიექტიური. ზოგადი მოვლენა, გრძნობა, რომელიც მიმართულია ობიექტიურისაკენ ე. ი. გრძნობა, როგორც **პრინციპი ობიექტიური შემოქმედებისა**. ტენზიკა, მხატვრული ხელოვნება და მისტიკა, — აი ის სამი სახე სოციალური შემოქმედებისა, რომელიც თავისებურ განხორცელებას აძლევს ობიექტიური გრძნობის საგანს: **აბსოლუტურს მშვენიერებას**. დღეს ყველა ეს სამი სახე შემოქმედებისა საფუძვლით გამოთიშულია ერთი-ერთმანეთისაგან და მათი სრული დამოუკიდებლობა და ერთმანეთის უყურადღებობა ჩვენი დროის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

თუ მესამე და უკანასკნელი ხანა განვითარებისა — მართლა ხანაა ჰარმონიული სინთეზისა, იმ შემთხვევაში ამ სამი ფორმის ურთიერთ დაშორებულებამაც განსაკუთრებული სახე უნდა მიიღოს: გათიშვამ და დისოციაციამ ადგილი სინთეტიურ ჰარმონიასა და სისტემატიურ მთლიანობას უნდა დაუთმოს. მაგრამ ამ სინთეტიურს სისტემაში ერთ-ერთი ფორმა აუცილებლად უნდა თამაშობდეს უმთავრეს როლს, ამ ჰარმონიულს არსებობაში პრიორიტეტი ერთ-ერთს უსათუოდ უნდა ჰქონდეს მინიჭებული. მაგრამ რომელს?

ამ საკითხის გადაჭრა ადვილია თუ გავიხსენებთ, რომ **მისტიკა**, — ეს მესამე სახე შემოქმედებითი მოღვაწეობისა, — **შემოქმედებითი დამოკიდებულებაა გრძნობის ტრანსცენდენტალურს სინამდვილესთან**. მაგრამ გრძნობას იმოდენად შეუძლია დამოკიდებულება ჰქონდეს ტრანსცენდენტალურ სინამდვილესთან, რამოდენათაც ეს უკანასკნელი **აბსოლუტურს მშვენიერებას** წარმოადგენს. მთელი შემოქმედება მიმართულია ამ აბსოლუტური მშვენიერებისაკენ; მისკენ მილტვის ტენზიკა, მის განხორცელებას ესწრაფის მხატვრული ხელოვნება, — მაგრამ პირდაპირი დამოკიდებულება მასთან მარტო **მისტიკასა** აქვს. აქედან აშკარაა, რომ ყველა იმ სამ სახეთა შორის, რომლითაც შემოქმედება გვევლინება, ნამდვილი პირველობის უფლება მხოლოდ მისტიკას აქვს; მხოლოდ მას შეუძლია აზრი და მიზანი მისცეს მთელს შემოქმედებითს სისტემას, მხოლოდ მას შეუძლია სათა-

ვეში უდგეს განვითარების მესამე საფეხურზედ განხორციელებულს სინთეზს, რომელზეც პირველად დაიმსხვრევა დაქსაქვა შემოქმედებითი სახეებისა და მათ შორის აუმღვრეველი ჰარმონია განხორციელებდა. ტექნიკასა და მხატვრულ ხელოვნებას მხოლოდ ქვემდებარე როლი რჩებათ, თუმცა თავისუფლება მათი. მოქმედებისა საკუთარს ასპარეზზედ მაინც უზრუნველყოფილი რჩება—ასეთი არის შემოქმედებითი-მხატვრული იდეალი სოლოვიოვისა. „დასრულებული შემოქმედება“ ან „თავისუფალი თეურგია,“—აი სახელი ამ იდეალისა.

ადამიანის აზროვნება არის ის მესამე ფაქტორი, რომელიც თავისებურს გამოხატულებას აძლევს ქაზოგადობრივი ცხოვრების დანარჩენ ფორმათ. აზროვნება, რამოდენაააც იგი აბსოლუტური ქეშმარიტების აღდგენისაკენ მიილტვის, შესაძლებელია მხოლოდ სამი მიმართულებით მოქმედებდეს: 1) შესაძლებელია აზროვნებას მხოლოდ ფაქტიური ცოდნის შექმნა ჰქონდეს მიზნად დასახული, იმ ფაქტიური ცოდნისა, რომელიც წარმოიშვება გარეშე და შინაგანი ბუნების ცხოვრების დაკვირვებით და განცლით. 2) მაგრამ იგივე აზროვნება შესაძლებელია სულ სხვა მხრით მიილტვოდეს: შესაძლებელი ამისი მიზანი ფაქტიურს ან მატერიალურ შემეცნებაში კი არ ისახებოდეს, არამედ მისი განხორციელება ცოდნის **ფორმალურს** მხარეში ან მის ლოგიკურს დასრულებაში გამოიხატებოდეს. 3) აზროვნებას შესაძლებელია მესამე მიმართულებაც ჰქონდეს. ეგ მესამე მიმართულება მასში მდგომარეობს, რომ ადამიანის აზროვნების მიზანი და საგანი მარტო შემეცნების ფაქტიურისა და ფორმალურ მხარით კი არ შემოიფარგლება, იგი **აბსოლუტური შინაარსისაკენაც** მიისწრაფის. ერთი სიტყვით, ადამიანის აზროვნების მიმართულება სამგვარია: იგი ან მატერიალური, ფაქტიური ქეშმარიტების ძეხნით კმაყოფილდება ან ფორმალურს, ლოგიკურ ქეშმარიტებას ეძებს და ან აბსოლუტური, დასრულებული სინამდვილის აღდგენისაკენ აქვს მიმართება. პირველი გზით ადამიანის აზროვნება დადებითი **მეცნიერებას** ჰქმნის, მეორეს ნიადაგზედ აღმოცენდება განყენებული **ფილოსოფია** და მესამე კი დასაბამს აძლევს **თეოლოგიას**. პოზიტიურს მეცნიერებაში ცენტრალური ადგილი **ფაქტს** უკავია; ფილოსოფიაში—ზოგად იდეას, და თეოლოგიაში—**აბსოლუტურ არსს**. ამის დამიხედვით ყოველი ცოდნის მატერიალურ ნიადაგს დადებითი მეცნიერება გვაწვდის; იდეალურ ფორმას ფი-

ლოსოფია გვანიჭებს, ხოლო აბსოლუტურ შინაარსსა და უმწვერვალეს მიზანს თეოლოგია გვაძლევს. სოლოვიოვის ღრმა რწმენით, როგორც ხედავთ, მხოლოდ თეოლოგიას შეუძლია აზრი და მნიშვნელობა მინიჭოს როგორც ფილოსოფიის განყენებულ იდეათ, ისე მეცნიერების მუხჯ ფაქტებსაც. უთეოლოგიოდ ფილოსოფიის იდეები უშინაარსო, ცალიერი ფორმების მქონე არაფერი იქმნებოდნენ, ხოლო მეცნიერების ფაქტები ინდიფერენტ მასალის მნიშვნელობას ვერ გასცილებოდნენ.

დღესდღეობით რომ ყველა ამ ცოდნის დარგს შორის სრული უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება არსებობს, ცხადია. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ჭეშმარიტება ჩვენთვის რაღაც მუდამ ახლოს მდგომს, მაგრამ ამავე დროს მუდამ თვალ მიუწვდომელს საგანს შეადგენს. მის აღსადგენად საჭირო უნდა იყოს მთლიანი აზროვნების მოქმედება და არა მხოლოდ მეცნიერება ან მხოლოდ ფილოსოფია და თეოლოგია. ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ იქმნება ადამიანის ხელში, როდესაც ეს სამი მხარე ადამიანის აზროვნების მოქმედებისა ერთად შეკავშირდება და როდესაც მათ შორის სოლიდარული დამოკიდებულება განხორციელდება.

(გაგრძელება იქნება.)



ვარლამ ჩერქეზიშვილი.

საქართველოს პეტიცია

საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰაავაში 1907 წ.

(თარგმანი ი. ვიფშაძისა).

I

რამ გამოიწვია და ვის მიერ იქნა წარდგენილი პეტიცია?

რუსის დამსჯელი რაზმების სიმხეცემა და ძალმამრობამ გურია-სა, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც 1905—6 წ. ზამთარს ყველა პატიოსანი ადამიანის გულში განურჩევლად პარტიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. საყოველთაო, სურვილი იყო გამოქვეყნებულიყო და განათლებულ კაცობრიობას დაენახა სამარცხვინო და საზიზღარი ფაქტები ქალაქებისა და სოფლების გადაწვისა (ოზურგეთი, ნავომარი, აკეთი, ზესთაფონი და სხ.), მცხოვრებლების აწიოკება-ამოწყვეტისა და დედაკაცების გაუპატიურებისა, მეც ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებულმა რასაკვირველია ჩემს მოვალეობად ჩავთვალე ამ საზოგადოებრივ მისწრაფების განხორციელებისათვის ხელი შემეწყო.

მართალია ჩემს ჩამოსვლამდისაც „Times“-ის საკუთარი კორესპონდენტი ვილლარი*¹ შეეხო რუსის ადმინისტრაციის სიმხეცეს, მაგრამ იმან ინახულა გურია ტოლმაჩოვისა, ალიხანოვისა და სხვათა სისხლის მოღვაწეობის უწინარეს. სხვა კორესპონდენტებმა ამერიკელმა დორლანდმა და ბრაუნმა აღწერეს ზესთაფონისა და ქუთაისის გადაწვა, მაგრამ არც ამათ ჰქონდათ იმ დროს სწორი ცნობები თუ რა სიმხეცის ქვეშ იმყოფებოდა სოფლები. ეს გულის-შემზარავი და-

* ვილლარი საქართველოში მოვიდა 1905 წ. შემოდგომაზე და თან ჰქონდა ჩემს მიერ მიცემული სარეკომენდაციო წერილები ი. ჭავჭავაძესა, გ. ზდანოვიჩსა და მიხაკო წერეთელთან. იმან გამოსცა ერთი კარგი წიგნი „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ (Fire and Sword in Caucasus).

წვრილებითი ცნობები შემდეგ იქნა შეკრებილი და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული ა. გ. ჯაბადარის მიერ.*

ამ ცნობების მიხედვით მე და ჩემმა მეუღლემ სტატიები გაეგზავნეთ შეერთებული შტატების პრესისათვის „Chicago Daily News“ (300,000 ცალი იბეჭდება) საშუალებით და ინგლისურისათვის კი „Daily Chronicle“ — საშუალებით. მაგრამ ჩვენის შეხედულებით მართო სტატიები და კორესპონდენციები არა ემართა. რუსის მთავრობის სიმხეცეთა წინააღმდეგ საჭირო იყო კარგად მოწყობილი პროტესტი დასავლეთ ევროპაში. ამისათვის ჩვენ წინადადება მივეცით ჩვენს ტფილისელ მეგობრებს გაეგზავნათ ქართველ ქალთა ადრესი-პროტესტი ინგლისელ ქალებისათვის და ეთხოვათ მათთვის დაცვა-დანხარება ჩვენი წინადადება შეწყნარებულ იქნა. ქართველ ქალთა ხელმოწერილი ადრესი**) ინგლისელ ქალებისადმი გადაეცა ლონდონს ჩვენს მეგობრებს M-rs N. Dryhursts (დრაიჰორსტი) Coedion-Uavin (გამოჩენილი კობლონის ქალს). იმათ ეს ადრესი და სიმხეცის ფაქტები სხვადასხვა პარტიის და პოლიტიკურ ასოციაციის ორგანოებში გამოაქვეყნეს და ამასთანავე მოწოდებით მიმართეს ინგლისელ ქალებს, მოსთხოვონ მთავრობას რომ სამინისტრომ ინგლისელ ქალთა პროტესტი გამოუცხადოს რუსის მთავრობას რუსის ადმინისტრაციის ბარბაროსობის გამო საქართველოში.

ლონდონში შესდგა კომიტეტი ქალბატონ **კავენდიშ** და ბატონ **მორისის***) (Mauris) თავმჯდომარეობით, ლიბერალმა ბანკირმა **სკოტტმა** კასირობა იკისრა. მაგრამ ამ მოძრაობის მთავარი ლერძი ჩვენი მეგობარი დაუღალავი ნ. დრაჰორსტი იყო თუ როგორი ენერგიით შეუდგა საქმეს კომიტეტი, იქიდან ჩანს, რომ მან ორ კვირაში 4,000-ზე მეტს ინგლისელ ქალს პროტესტებზე ხელი მოაწერია და პოლიტიკაში და ლიტერატურაში ცნობილ ქალთა დელეგაციამ ეს პროტესტი პრემიერს კამბელ-ბანერმანს და სერ ედვარდ გრეეს წარუდგინა. ამბობენ, პროტესტმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მინი-

*) ძლიერ საინტერესოა ისიც ვიცოდეთ დაწვრილებით თუ როგორ მთავრობა სდევნიდა ჯაბადარს ამ ცნობების გამოქვეყნებისათვის.

**) განსაკუთრებით გულსმოღვინებით მუშაობდნენ ა. დიასამიძისა, დეჟურია, გედევანიშვილისა, ნაკაშიძისა, ლამბაშიძისა და სხ.

*) ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის და ქრისტიან-სოციალისტის ვაჟი. მორისი ცნობილია როგორც საღამოს კურსების მომწყობი მუშებისათვის.

სტრეზხედ რომ გადასწყვიტეს განუსაზღვრელ დროით გადაედოთ ინგლისის ფლოტის მეგობრულ მანიფესტაცია კრონშტადში. ნიკოლოზ II მთავრობას არაფერად მოეწონა ასეთი გადაწყვეტილება ნამეტურ უკმაყოფილო იყო მით რომ ლექციებზე, სტატიებში და საზოგადოებაში საქართველოზე და მის უფლებებზე ლაპარაკი დაიწყეს.

საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, ჩვენს უფლებებზე—გვქონდა ავტონომიური ეროვნული თვითმმართველობა, ავტოკეთალური ეკლესია, საკუთარი ფული და ეროვნული ჯარიც გვყოლოდა, ყველა ამის შესახებ არა ერთგზის ყოფილა დაწერილი წინეთაც მაგრამ ფართო საზოგადოებამ ძლიერ ცოტა იცოდა საქართველოსა და მის უფლებათა შესახებ. მხოლოდ უკანასკნელ 25—30 წლებში გაჩნდნენ პოპულიარული სტატიები და წიგნები საქართველოს შესახებ და ქართულიდან ინგლისურზე თარგმანები.

აქ ამ გამოცემებზე დაწერილებით ლაპარაკი უადგილოა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ მათი მოკლე აღნუსხვით დაგვამყოფილდეთ. ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოცემად უნდა ჩაითვალოს დღემდისაც **ოლავერ ვარდროპის „Kingdom of Georgia“** (საქართველოს სამეფო).

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ ვანო მაჩაბელმა ამ წიგნს რამოდენიმე ფელეტონი უძღვნა. ვარდროპის წიგნთან ერთსა და იმავე დროს „Times“-ში დაიბეჭდა ჩემი პირველი სტატია ჩვენს ხელშეკრულებაზე და რუსის მთავრობის მიერ გათელილ ჩვენს უფლებებზედ. მე-90-ე წლების პირველ ნახევარში გამოვიდა საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“—სა და „ქართულ ხალხური ზღაპრების“ ძვირფასი გამოცემა ინგლისურად ყველა ეს სთარგმნა დაუვიწყარმა ქ-ბ. **მარყოი ვარფროპმა**, ამ შეუდარებელმა სიმშვენიერემ შრომასა და პირად დამოკიდებულებაში. მუდამ აღსავსემ ადამიანობითა და ბუნებრივი უბრალოებითა.—ამავე დროს (1895) საუკეთესო ინგლისურ ჟურნალში Nineteenth Century (მეცხრამეტე საუკუნე) დაიბეჭდა ჩემი დიდი სტატია, ბ. ვარდროპის თარგმანი საქართველოს ხელშეკრულება რუსეთთან“; თან დართული ჰქონდა მოკლე მიმოხილვა თუ რა როლი მიუძღოდა საქართველოს ქრისტიანობის დაცვასა და გავრცელებაში ძველად და რუსეთის სარეგოლიუციო მოძრაობაში დღეს. დაახლოვებით ამავე დროს გამოსცა ოქსფორდის უნივერსიტეტმა „ცხოვრებაჲ წმ. ნინოსი, ქართველთა განმანათლებელისაჲ“ ქ-ბ. მ. ვარდროპის თარგმანი. 1912 წ. პალესტინის არხიდიაკონმა დაულინგმა (Dawling) გამოსცა საქართველოს ისტორიის შემოკლებული ისტორია, რომელსაც დართული ჰქონდა

ჩვენი სამღვდლოების მიმართვა ყველა საქრისტიანო ეკლესიების მეთაურებისადმი ავტოკეფალიის საკითხის გამო.

ყველა ამ წიგნებს, თარგმანებს და სტატიებს თავისი მკითხველები ჰყავდა და ინგლისის განათლებულ საზოგადოებაში ბევრი თანაგრძნობით ეპყრობოდა ჩვენს ხალხს. ამიტომ როდესაც პრესაში გაისმა ხმა რუსის სიმხეცეზე და ძალმომრეობაზე, როდესაც გაიგეს ქართველ ქალთა მოწოდება ნამდვილი სახელებით ხელმოწერილი, მაშინ ჩვენი ქვეყნისადმი თანაგრძნობის გამოცხადებამ ჭეშმარიტად გულწრფელი ხასიათი მიიღო. რუსის დესპოტიზმის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტს მისდიოდა არა მარტო ხელისმოწერა განათლებული ქალების მხრივ, არამედ ფულიც დაზარალებულთა სასარგებლოდ. მაშინ გადასწყვიტეს გაეგზავნათ საქართველოში დელეგატი შვედრეველ ფულიანად. ეს მისია დააკისრეს ქ. ბ-ნს **დრაიჰორსტს** და 1906 წ. ნოემბერში ჩვენ მეუღლითურთ სიხარულით შევეცემეთ ძველს მეგობარს ტფილისში. ამავე დროს ჩამოვიდა პეტერბურგ-მოსკოვისა და დარიალის გზით მეორე ჩვენი ძველი მეგობარი ბ. **ნევენსონი**, ინგლისში და შეერთებულ შტატებში კარგად ცნობილი მწერალი და რადიკალი ჟურნალისტი.

ქ.-ბატონმა **დრაიჰორსტმა** რევოლუციონურ საქართველოს ჩამოუტანა ინგლისის ქალების მხრივ მოკითხვა და თანაგრძნობა და ამასთანავე პირველი ათასი მანეთი რუსის მიერ დარბეულ მსხვერპლთა სასარგებლოდ გურიასა და იმერეთში. ბ-ნი **ნევენსონი** მოვიდა პეტერბურგიდან, სადაც მან პირველი სათათბიროს წევრებს მიუტანა თანაგრძნობის ადრესი პარლამენტის წევრებისა, მეცნიერებისა და ლიტერატორებისა. თუ **დრაიჰორსტი** თანაგრძნობისა და დახმარების სასიხარულო ამბავის განსახიერება იყო, **ნევენსონი** იყო თავმდები იმისა რომ რუსის მთავრობის ბარბაროსობაზე საქართველოში ის მწერალი დაილაპარაკებდა, რომლის სიმართლესა და კეთილშობილებას დიდხანსა რაც კრიტიკამ შესაფერი ჯილდო მიუძღვნა ნამეტურ ერთი მისი ფრიად საშიში ექსპედიციის შემდეგ პორტუგალიის კოლონიაში (წმ. თომას კუნძულზე) რომ გამოემყდნენებია ნეგროთა მონობა, ხელახლა აღდგენილი კონტრაქტების სახით უკანასკნელ კოროლის დროს.

იმ დროს ტფილისსა და მთელს საქართველოში საალყო წესები იყო გამოცხადებული. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო კრებებისა და ერთმანეთთან შეხვედრის დროს. ჯაბადარისა და მისი მეგობრების ფედერალისტების დახმარებით ჩვენ შევძელით რამოდენიმე კრების

გამართვა, რომლებზედაც ჩვენი სტუმრები გაეცნენ ჩვენებურებს ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალსენაკში, სიღნაღში და თელავში. — რასაკვირველია ჩვენი კრებები მცირერიცხოვანი იყო ხოლმე — არასოდეს 15-20 კაცზე მეტი. მაგრამ ამ შეხვედრა-მიღების საზოგადო ხასიათმა ჩვენს სტუმრებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. ნამეტურ გაუკვირდათ ჩვენების გადაწყვეტილება ამის მეტად ფულით დახმარება აღარ სთხოვონ ინგლისის კომიტეტს.

„ჩვენ გთხოვეთ და კვლავ გთხოვეთ პოლიტიკურსა“ და ზნეობრივს დახმარებას“, ეუბნებოდნენ შეკრებილნი. „დიდის მადლობით ვღებულობთ თქვენ მიერ მოტანილს ფულის, მაგრამ მომავალში ფულის შეკრებით თქვენ აღარ შეგაწუხებთ. რაც უნდა ღარიბი ვიყვნეთ, ჩვენ შევიძლებთ ერთმანეთის დახმარებას. თქვენ კი დაგვეხმარეთ ჩვენი გათელილი უფლების დაცვაში“.

მე ესლაც ვხედავ დრაიპორსტისა და ნევენსონის პირი-სახეზე სიამოვნებით განცვიფრებას. — მოგვილოცავს, მითხრა უკანასკნელმა, თქვენ თანამემამულენი ვერ დაუქნიებია და ვერც ზნეობრივად დაუხაზიჩრებია პოლიტიკურ მონობას“. — ასე ფიქრობთ? — შევეკითხე მე.

— წარმოიდგინეთ მხოლოდ, სთქვა დრაიპორსტმა, აქ თქვენები უარს ამბობენ მომავალში მათ სასარგებლოდ ფული რომ ვაგროვოთ და იქვე, ლონდონში, ჩემთან მოვიდნენ მეორე ეროვნების წარმომადგენლები და მოითხოვდნენ რომ შეგროვილ ფულის ნახევარი მათ გადასცემოდათ, რადგანაც-ამბობდნენ ისინი — გურიასა და იმერეთში მარტო ქართველები ხომ არა ცხოვრობენო... დიახ, თქვენი თანამემამულენი მოქალაქენი არიან, მხნე ხალხის ღირსების, გრძობით დაჯილდოვებულნი... მე არ მიკვირს რომ რუსის დესპოტიზმი ნამეტურ თქვენი ხალხის წინააღმდეგ ამხედრდა...“

მე წინადაც შენიშნული მქონდა რომ ჩვენი სამშობლოს სიღამაზე, ჩვენი ხალხის შეგუება სხვა ხალხებთან და სხვადასხვა ენათა და სარწმუნოებათა მოთმენა კარგს შთაბეჭდილებას ახდენდნენ ქ.-ბ. **დრაიპორსტსა** და ბ. **ნევენსონზედ**, მაგრამ ამ კრების შემდეგ ისინი ისეთივე შეგობრებად გახდნენ ჩვენი ხალხისა, როგორც **ოლივერ ვარდროპი** და მისი დაუვიწყარი და. ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ისტორია განუწყვეტელ ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი არქიტექტურა მისი. მტკიცე ხაზებითა და პროპორციონლობით, ჩვენი ეროვნული ტანისამოსი, ჩვენი გლახების თავზიანობა ქალისადმი — ყველა ეს იმათ შეამჩნიეს და ყველაფერმა ამან მათი თანაგრძობა ჩვენი ხალხისადმი განამტკიცა, ნამეტურ მას შემდეგ რაც მათ ჩვენი პროვინციები ინახულეს.

ქუთაისის სილამაზემ, იქაურ ინტელიგენციის გულითაღმა შეხედრამ **ზღანღიჩის** მეთაურობით, სამღვდელობის სითამამემ დაზარალებულ გლეხთა დაცვის საქმეში და ავტოკეფალიის საკითხში (ჩვენ ვინახულეთ ეპისკოპოზი, აწ მიტროპოლიტი **ლეონიდი** და განსვენებული დეკანოზი **დ. ლამბაშიძე** ხესტაფონში), ისტორიულმა ძეგლებმა გელათში, ნამეტურ XII—XIII საუკუნოების ფრესკებმა, რომლებმაც ისინი ალტაცებაში მოიყვანეს, — ყველა ამან კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრული განწყობილება ჩვენი ქვეყნისადმი.

ქუთაისში მე გამოვეთხოვე ქ.-ბ. **დრაიჰორსტს**, რომელსაც გურიის უნდა გაეგლო და ბათუმიდან ინგლისში დაბრუნებულიყო. ბათუმში მისი გააცილა აწ განსვენებულმა **პ. ყიფიანმა**. გამოთხოვებისას მე ვებასე დრაიჰორსტს იმის შესახებ, რომ საჭიროა ევროპაში აღიძრას საკითხი საქართველოსა და რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულებაზე და ჩვენ უფლებებზე რომლებიც რუსის მთავრობამ ვერაგულად გასთელა,

— მე მზადა ვარ ვემსახურო თქვენს სტუმართმოყვარესა და მამაცს თანამემამულეებს, მიპასუხა ქ.-ბ. დრაიჰორსტმა. — მაგრამ როგორ ფიქრობთ თქვენ ამ საქმის დაწყებას?

— თუ ჩვენი ინგლისელი მეგობრები და თქვენი კომიტეტი მხარს დაგვიჭრენ, მე წინადადებას მივსცემ ჩემს მეგობრებს ეროვნული პეტიცია წარუდგინონ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მომავალი წლის ზაფხულს უნდა შეიკრიბოს ჰაავაში.

— ძლიერ კარგი, სთქვა მან. ჩვენი კომიტეტი იკისრებს მაგ საქმეს. საზღვარგარედ საჭირო ხარჯებზე ნუ შესწუხდებით, ჩვენ გვექნება ფული ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. მიწერ-მოწერი-სათვის კი ყველა ჩვენი მეგობრების მისამართით შეგიძლიანთ ისარგებლოთ.

ამ სიტყვებით მე და ქ.-ბ. **დრაიჰორსტი** ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. მე ტფილისს დავბრუნდი და ბ. **ნეეინსონს** შევეუთანხმდი მოგვეგლო კიდევ კახეთი და გურია და გადამწვარ და დანგრეულ ადგილების სურათები გადავგელო. მართლაც 1906 წ. ნოემბრის ბოლოს ჩვენ შემოვიარეთ კახეთი და შემდეგ გურია. ამ მოგზაურობამ საბოლოოდ მიხიბლა თავდაჭერილი და ჩუმი **ნეეინსონი**.

რამოდენიმე წლის შემდეგ ლონდონში მას არა ერთჯერის მოუგონებია ეს მოგზაურობა და უთქვამს: „ერთხელ კიდევ უნდა შემოვიარო თქვენი საუცხოვო სამშობლო და თქვენს შეუდარებელ გლეხებს ვესტუმროთო“. ამ მოგზაურობან არა ნაკლებ მოგვიხიბლა მე და ჩემი მეუღლეც.

ჩვენ სიღნაღს მივედით ღამით, სარეკომენდაციო წერილი გვქოდა ექიმ **ჯანდიერთან**, რომელიც მხოლოდ ათ საათზედ მოენახეთ. როგორც დაღლილები ჩვენ მხოლოდ დაწოლაზე ვფიქრობდით. როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როდესაც ჩვენ ვახშამზე მიგვიწვიეს და ჩვენთან ერთად მაგიდას უსხდნენ, განათლებულიდა კარგად ნაკითხი ადგილობრივი ინტელიგენტები. ბაასი გაგრძელდა დიდ ხანს ნაშუაღამევს. სპენსერის, მილის, მარქსის და ენგელსის, კრაპოტკინისა და რეკლიუს სახელებმა, რომლებიც ხშირად ისმოდა ბაასის დროს ვაკვირვებს ნევენსონი. „ყველაფერი ეს ხდება აზიის საზღვარზე, ყრუსა და მივარდნილ პატარა ქალაქში!“ წაილაპარაკა მან. მეორე დღეს ალაზნის ქალის შეუდარებელმა და დიდებულმა სანახაობამ და სპეტაკ თოვლით დაფარულმა მწვერვალებმა, რომლებიც გამსჭვირვალე ჰაერის ლურჯ ბურუსში თანდათან იკარგებოდა, პირდაპირ მოგვხიბლა. „არაკითარი ამის მსგავსი არ მინახავს არც ჰიმალეზე, არც შვეიცარიაში და არც ბალკანეთზე! და რა მომხიბლველი სიტბოა!“ კიდევ აღმოხდა **ნევენსონს**. და მართლაც სიღამაზითა სიდიადითა და სივრცით ვერც ერთი ქალა ვერ შეედრება ალაზნისას.

ჩვენ ჩავედით სოფელ საქობოს, სადაც ნაცნობების დახმარებით ჩვენ ვინახულეთ უუღარიბესი, საშუალო შეძლებისა და მდიდარი გლეხების ოჯახები. მე მინდოდა რომ ინგლისელ მეგობარს ჩვენი გლეხობის ცხოვრება მის ჩვეულებრივ საყოველღეო მდგომარეობაში ენახა. ყველგან თავაზიანად გვხვდებოდნენ და საკუთარის პურ-ღვინით გვიმასპინძლებოდნენ. მდიდარი გლეხის ღვინო ისეთი სქელი, სუბუქი და სასიამოვნო გემოსი აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ, ოლიმპზე ღმერთნი ნექტარის სახელით სწორედ საქობოს გლეხის ამ ღვინოს გულისხმობდნენ—მეთქი. —„განა გლეხები აყენებენ ასეთ შესანიშნავ ღვინოს! ეს მაღალი კულტურაა!“ შენიშნა ნევენსონმა.

დაბოლოს, როდესაც თავი დავაღწიეთ თავაზიან და გულუხვ მასპინძლებს, ჩვენ ახალი სოფლის სკოლასთან გავლა მოგვიხდა. დაკეტილი იყო. „რისთვისაა დაკეტილი?“ ვიკითხეთ ჩვენ. —„ჩვენის ხარჯით ავაშენეთ, ბატონო, და ვითხოვეთ ქართველი მასწავლებელი გამოეგზავნათ, იმათ კი რუსი გამოგვიგზავნეს. ჩვენ ამიტომ დავადგინეთ, არ გავაღოთ ის“. აქ საქობოში გამარუსებელი ძალადობის წყალობით სკოლაა დახურული და მთის მწვერვალზეც მოსჩანს ბოდბის მონასტერი, უძველესი წმიდათა წმიდა მორწმუნეთათვის, წმინნოს განსასვენებელი, აგრეთვე გამარუსებელთაგან ძალადობით წა-

რტაცებული და რუს მონაზონთა, მოხელეთა და პოლიციის რუსული გარყვნილების ქვაბად ქცეული. საქართველოს შეგინებულ წმიდათა წმიდას გვერდი აუარეთ.

მეორე დღეს თელავს წავედით გზაში ჩვენ შევეყარეთ ორს გლეხურ ქორწილს, ერთს შუადლისას, მეორეს საღამოს. მექორწინებებს სამი კაცი უძღოდა წინ, ერთი ღვინიანი ღოჭით, მეორე შემწვარი ხორციტ და მესამე პურიტ. ყოველ გამვლელს აჩერებდნენ. შესთავაზებდნენ, დაჯინებით სთხოვდნენ ახლად დაქორწინებულთა სადღეგრძელო დაელიათ. თან მღეროდნენ და ცეკვავდნენ. და თქვენ გნებავთ ჩემი მკითხველები დაარწმუნოთ, რომ ეს თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და გულწრფელი მხიარულება ხდება სამხედრო წესზე გამოცხადებულ ქვეყანაში? ცხადია არავინ არ დანიჯერებს, ამბობდა **ნევისონი**. მაგრამ მალე გზაზე გამოჩნდა სრულად შეიარაღებული ცხენოსანი დრაგუნის სალდათი. ის ნაბიჯით მოდიოდა და გამვლელ-გამოვლელს გაფაციცებით აჩერებოდა.—აი, ესეც სამხედრო წესის წარმომადგენელი, ვთქვი მე.

ნევისონმა უცბად გადახატა დრაგუნი. 1907 წ. Harper's Magazine-ში საქართველოს შესახებ მოთავსებულ მის სტატიების ილიუსტრაციათა შორის სამხედრო წესის ეს ემბლემაკაა მოთავსებული.

ჩვენ მალე თელავს მივედით და ღამე გავათიეთ ვ-ს ოჯახში, სადაც ძველ ქართულს წესებს ახალ დროის მოდერნიზმი შერთოდა.—„მე მოდერნიზმს ბევრად მირჩევნია თავაზიანობა და სიკობტავე თქვენი საკუთარი ჩვეულებისა, ამბობდა **ნევისონი**. ერთი შეხედვით მოხუც დედას, ნამდვილი დედოფალია, სიკეთითა და მოფერებით აღსავსე თქვენი მეუღლისადმი.—მეორე დღეს მან ფოტოგრაფიით გადაიღო მოხუცი დედა შვილიშვილებითურთ ეროვნულ ტანსაცმელში. „ნამდვილი დედოფალია“, იმეორებდა ის. ეს დედოფალი შვილიშვილებითურთ აგრეთვე მოთავსებულია ზემო დასახელებულ სტატიების ილიუსტრაციათა შორის.

ღილით ჩვენ ვაპირებდით წამოსვლას, მაგრამ ჩვენ გვთხოვეს სადილად დარჩენა ექიმ ახვლედიანისას, სადაც, როგორც სიღნაღში, თავი მოიყარეს ადგილობრივმა მოწინავე პირებმა და **ნევისონზე** ისეთივე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ნაკითხობა, დემოკრატიზმი, ცოდნა და გატაცება სოციალური საკითხებითა და ქალთა მოძრაობით განსაკუთრებით აკვირვებდნენ ჩემს მეგობარს. ესევე საკითხები აწუხებდათ მაშინ ინგლისის, საფრანგეთის და ევროპის სხვა ქვეყნების საუკეთესო შვილთ.

მაგრამ გურიაში ნახულმა და გაგონილმა ყველა ზემოდ ნათქვამს გადააჭარბა. ნამეტურ ჩვენს ხსოვნაში აღიბეჭდა ის ღამე, რომელიც გავატარეთ რუსების მიერ გადამწვარ ნაგომარის გლეხებისას. დღისით ჩვენ დავათვალიერეთ და გადავხატეთ სოფლის გადამწვარი და დანგრეული შენობანი, ვინახულეთ კარვებში საზამთროდ თავშეფარებული ოჯახები, რუსის ბარბაროსობის მსხვერპლნი. თავდატეხილობა, მშვიდი გულმაგრობა ძალადობის მსხვერპლებისა მართლაც რომ გასაოცარი იყო. არ გავვიგონია არც ტირილი, არც კვნესა, არც ჩივილი. თითქოს ჩვენ ვიდექით იმ ჯარის წინ, რომელმაც ესესაა სასტიკი ომი გადაიხადა და მხნედ ემზადება ახალი შეტაკებისათვის. ისე ღირსეულად ეჭირა თავი ყველას კაცსა თუ ქალს. ბავშვებიც კი სერიოზულად გვიგდებდნენ ყურს.

შემდეგ ვინახულეთ სუფსის მეორე ნაპირზე სოფელი აკეთი, სადაც რუსის დამსჯელ რაზმებს აგრეთვე ენავარდნათ, ხოლო არა ისე როგორც ნაგომარში და სალამოთი ისევ უკანასკნელ სოფელში დავბრუნდით. ერთს ნახევრად დანგრეულ სახლში მოგვიმზადეს ვახშამი და ბინა. ვახშამდ ჩვენთან იყო სამი გლეხი. მე ვსთხოვე მათ ეამზნათ ინგლისელი სტუმრისათვის უკანასკნელი ორი წლის ამბები. რადგანაც, აუფხსენი მე, მას სურს გურიის ამბავი ინგლისელებსა და ამერიკელებს გააცნობს-მეთქი. ჩენი საუბარი ნელის ნაბიჯით მიდიოდა: მე თითოეულ ამბავს ცალკე ვუთარგმნიდი **ნევენსონს. 1904—5** წლების ამბები, გლეხთა რესპუბლიკა, კრებები, გასამართლება მთელი ყრილობის წინაშე... ყველა ეს ძლიერ აინტერესებდა ჩემს მეგობარს. მე ვატყობდი თუ როგორი ყურადღებით ათვალიერებდა ის მოსაუბრე გლეხებს ცოტა არ იყოს შეეფიქრიანდი, ხომ არ დაიწუნა რამ ჩენი გლეხებისა-მეთქი. მაგრამ როდესაც ჩვენმა მასპინძლებმა ხელი ჩამოგვართვეს და ღამე ნებისა გვისურვეს, ნევენსონმა წამოიძახა: „პირადად რომ არ მენახა, არაფრისათვის არ დავიჯერებდი. რომ ეს ზრდილნი მოსაუბრენი უბრალო გლეხები არიან. ისენი სჭამდნენ, სვამდნენ, მოგვითხრობდნენ ტრაგედიას რომელიც ეს ესაა თავს, გადანდათ და ყველა ამას ჩადიოდნენ როგორც უმაღლესად და უფაქიხესად აღზრდილი ხალხი. ეს გასაოცარია იმის შემდეგაც კი, რაც ტფილისსა, ქუთაისსა და კახეთში ვნახე. რისთვის თქვენ, ჩერქეზიშვილო, ასე ცოტას გველაპარაკებოდით ხოლმე ლონდონში თქვენი მშვენიერი ქვეყნისა და თქვენი ესოდენ სიმპატიური ხალხის ჩვეულებათა შესახებ?

—ადვილი გასაგებია თუ რატომ არა, ვუპასუხე მე. მე რომ ჩემ სამშობლოზე ისეთი აღტაცებით დამეწყო ლაპარაკი, როგორც ეხლა თქვენ ლაპარაკობთ, ჩემს მიუდგომელობაში ეჭვი შეგეპარებოდათ.

— შეიძლება მართლაც... ღიმილით მიპასუხა. რა უბედურება არის, რომ ბედმა თქვენ რუსის დესპოტიზმს დაგაკავშიროთ.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში მოვიხსნით ამ უღელს. საუკეთესო ადამიანები, როგორც თქვენ თითონ ნახეთ მზად არიან დაიცვან ჩვენი უფლებები ჩვენ აზრად გვაქვს გამოვსცეთ საგანგებო ჟურნალი *) საქართველოს უფლებათა დასაცავად და შემდეგ პეტიციასაც წარუდგენთ მომავალ საერთაშორისო კონფერენციას ჰააგაში. ჩემს მეგობრებს იმედი აქვთ რომ საკმაოდ ხელის მომწერლებს იშოვიან. ქ. ბ. **დრაიჰორსტმა** მოიწონა ჩვენი გეგმა და ინგლისის კომიტეტის დახმარებას შეგეპირდა. იმედი მაქვს არც თქვენ გვეტყვიოთ უარს დახმარებაში.

— დაწმუნებული ბრძანდებოდეთ რაც კი შემიძლია არ დავიშურებ თქვენი მომხიბლავი სამშობლოსათვის... და მართლაც შეასრულათავისი სიტყვა: ეს მან ბ. **ნევენსონმა** წაიღო ლონდონიდან ჰააგაში დაბეჭდილი ტექსტი ჩვენი პეტიციისა და ისე მოახერხა, რომ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს თითოეული მათგანის სახელის ზედწარწერით ჩააბარა პაკეტები.

ჩვენი თანაგრობი და ხელის შემწყობი ბევრი იყო, მაგრამ პეტიციის დასაბეჭდად მუშაობა და ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერა სწარმოებდა ქ.—ბ. **დრაიჰორსტის** სახლში თვითონ დიასახლისის მუდმივი მონაწილეობით, აგრეთვე ბ. **მორისისა** (კომიტეტის თავმჯდომარე) და ბ. **ნევენსონისა**.

II.

პეტიციის ტექსტი და მისი წარდგენის მნიშვნელობა.

პეტიციის წარდგენა და ხელის მოწერის შეკრება საბოლოოდ გადასწყდა მხოლოდ 1907 წ. მარტის გასულს. მე ვშიშობდი, ვაი თუ საკმარისი ხელის-მოწერა არ შეიკრიბოს-მეთქი, რადგან დრო ძლიერ ცოტა-ლა იყო: მაისის პირველ რიცხვებში პეტიცია უკვე საზღვარ გარედ უნდა წავგველო. მაგრამ სულ მოკლე დროში პეტიციის ქართული ტექსტი დაითარა ხელის მოწერით. ხელს აწერდნენ ჩვენი ქვე-

*) 1907 წ. მარტში გ. გვაზავამ, მ. წყნეთელმა და მე გამოვეციოთ პირველი ნომერი „საქართველს აზრისა“ (Грузинской Мысли) ხელშეკრულობის ტექსტით, ჟურნალი მაშინვე აღკრძალეს და რედაქციას გადასახლებით დაემუქრენ.



ყნის ყოველი კუთხიდან მუშები, გლეხები, თავად-აზნაურები, სასულიერონი და მოხელენი, როდესაც გავცანი ხელისმომწერთა სახელებს, მათ პროფესიასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მე უნებლიედ გავოცდი მათი მოქალაქობრივი სიმამაცით: თითქმის ორათასამდის კაცი და ქალი არ შეუშინდა შესაძლო საფრთხეს გასამართლებისა და ციმბირში გაგზავნის. რუსის მთავრობას და თუ გინდყალბ ლიბერალებსაც ეს სია რო ხელთ ჩავარდნოდათ, ხელისმომწერლებს სასტიკ დევნას დაუწყებდნენ. ეს სითამამე ინგლისელებმაც დაათასეს.

პეტიციაში მოყვანილი იყო 1793 წლის ხელშეკრულობისა და პაფლე I-ის 1801 წ. 18 იანვრის მანიფესტის ძირითადი პარაგრაფების ტექსტი. ირაკლი II-ის ხელშეკრულება გულისხმობდა საქართველოზე რუსეთის პროტექტორატს მხოლოდ, გიორგი მე-XII-ის სათხოვარი მუხლები კი მართალია საქართველოს უერთებდნენ რუსეთს, მაგრამ სრული ავტონომიის საფუძველზე. საქართველოს უნდა ჰქონოდა თავისი ფული, სასამართლო, თავისი სისტემა სამხედრო ბეგარისა ეროვნული შეიარაღების სახით (Nation armée) და ავტოკეფალური ეკლესია... ყველა ამის თავმდებად იყო მანიფესტი „ჩვენის იმპერატორებითი სიტყვით“. პეტიცია ამტკიცებდა თუ როგორ თანდათანობით რუსის მთავრობამ დაარღვია ხელშეკრულობის ყველა მუხლები: გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია, ჩამოართვა მას ქონება, გამოდევნა ქართული ენა ეკლესიიდან, ძალით შემოიღო რუსის ფული, მიითვისა ერის მიწები, ტყეები და მინერალური სიმდიდრენი, მოსპო სასამართლო ქართულ ენაზე. გამოდევნა დედა-ენა სახალხო სკოლებიდანაც კი და ბოლოს შემოიღო სავალდებულო სამხედრო ბეგარა და ჩვენი ახალგაზრდობა ჩრდილოეთში გარეკა, სადაც ღიდი ნაწილი ამ ახალგაზრდობისა სასტიკი ჰავის გამო იღუპებოდა. პეტიცია თავდებოდა მოკლე მიმოხილვით თუ რაოდენი სასტიკე და ძალმომრეობა ეხმარა რუსის მთავრობას ჩვენს ეკონომიურად განადგურებულსა და უფლება აყრილ ხალხზედ.

მე პეტიციის ტექსტი მიმქონდა ფრანგულ ენაზედ, ხელმოუწერელი. თუ მე დიმიტერდნენ, ხელის მომწერლებს მაინც არაფერი დაუშავდებოდათ. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად წავიდა: არც მე შემთხვევია რამე და არც ხელმოწერილი ფურცელი დაკარგულა. — დღესაც ლონდონში ინახება.

სანამ პეტიციას ინგლისურ-ქართულ კომიტეტს გადავსცემდი, მე ვსთხოვე ჩემს ძველ მეგობარს და ერის უუდიდეს ავტორიტეტს.

საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ტრიბუნალის წევრსა და ბრუსელის უნივერსიტეტის პროფესორს ერნესტ ნისს (Nys) ტექსტისათვის საბოლოო რედაქცია გაეკეთებინა, რაც მან სიამოვნებითა და დიდის ყურადღებით შეასრულა. ამ რიგად დამზადებული ტექსტი ლონდონის კომიტეტმა დაბეჭდა ფრანგულად და ინგლისურად, შეუკვეთა იტალური თარგმანიც, მაგრამ აღარ დაბეჭდილა, რადგანაც იტალიის პრესა ფრანგული ტექსტით დაკმაყოფილდა.

ინგლისის კომიტეტის საგანგებო წერილთან ერთად, რომელიც ხელმოწერილი იყო თავმჯდომარის მორისის მიერ, პეტიცია გაეგზავნათ ცალ-ცალკე ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლებს. ბატონმა ნევენსონმა პეტიცია ჰაავას წაიღო და ჰოლანდიის ფოსტაში მისცა კონფერენციის გახსნის წინა დღეს. აღმინისტრაციამ კონვენტები ჩამოარიგა წარმომადგენლების ადგილების მიხედვით და როდესაც შემოვიდნენ თითოეულმა თვისი კონვენტი გახსნა. ამნაირად კონფერენციის პირველი აქტი ეს იყო ნიკოლოზ II-ის მთავრობისადმი სილა მთელი განათლებული ქვეყნიერობის წინაშე.

განზრახული კი იყო რუსეთის მეფის ვითომდა ჰუმანიზმისა და ლიბერალიზმის შესხმა-დიდება და მისი ცრუ კონსტიტუციონალური მთავრობის, რომელსაც სტოლიპინი ხელმძღვანელობდა, შექება. კონფერენციის თავმჯდომარე ნელიუდოვი (რუსეთის ელჩი პარიზში) მეფის საქებ-სადიდებლად დამზადებული სიტყვის მაგიერ დარცხვენილი მიესალმა დელეგატებს და კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა. ჩვენი პეტიცია კონფერენციის ოქმებში იქნა შეტანილი, მაგრამ იმაზე მსჯელობა და რაიმე რეზოლიუციის გამოტანა კონფერენციამ ვერ მოახერხა, რადგანაც სხდომათა წესრიგი და ის საკითხები, რომლებიც ექ უნდა გაერჩიათ, რამდენიმე თვის წინად იყო შემუშავებული სახელმწიფოთა შორის ერთმანეთში შეთანხმებით. მაგრამ შთაბეჭდილება დიდი მოახდინა ჩვენმა პეტიციამ, ნამეტურ როდესაც პროფესორი მარტენსი რუსეთის დელეგატი, მეცნიერი, იძულებული იყო აღეარებინა, რომ საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების ხელშეკრულება აქვს.

მთელი საუკუნოს განმავლობაში თითქმის პირველად იყო რომ ქვეყნიერობამ საქართველოზე დაილაპარაკა. ფრანგულად პეტიციის სრული ტექსტი დაიბეჭდა L'Independance Belge-ში, სხვა გაზეთებმა შენიშვნები და დეპეშები მოათავსეს. თვით კონფერენციის გახსნის დღეს სრული ტექსტი პეტიციისა დაიბეჭდა Chicago Daily News-ში ჩიკაგოში ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებში. ამ გაზეთის

წარმომადგენელმა ლონდონში, ჩემმა მეგობარმა ედვარდ ბელმა კაბელით გადასცა სიტყუასიტყუით მთელი პეტიციის ტექსტი და ამისათვის გადაიხადა 400 დოლარი (800 მან.). ამ გაზეთიდან ცნობა გადაიღო შეერთებული შტატების თიქმის მთელმა პრესამ. ასე მოიქცა ინგლისის პრესაც ისპანიის პრესაც კი გამოეხმაურა პეტიციას. დიახ, განათლებულმა კაცობრიობამ ჩვენ შესახებ ლაპარაკი დაიწყო. სდუმდა მხოლოდ რუსეთი ..

პეტიციის წარდგენის შემდეგ „დამონებულ ერთა“ საერთაშორისო კონგრესებზე ევროპაში პირველად გაჩნდნენ საქართველოს წარმომადგენლები. ორ კონგრესს (1910 და 1913) დაესწრნენ საქართველოს წარმომადგენლები და ამ კონგრესთა ანგარიშებში ჩვენი წარმომადგენლების მოხსენებანი და სიტყვებიცაა დაბეჭდილი. რუსის მთავრობას რასაკვირველია ყველაფერი ეს არ იამებოდა: ახლა ფინეთთან ერთად საქართველოც ამჟღავნებდა რუსეთის ვერაგობასა და მის მიერ ხელშეკრულობის დარღვევას. აქ, სასახლეში, არა ერთხელ უთქვამთ ქართველებისათვის: „თქვენ ჩვენზე საჩივრელად მუდამ ევროპაში დარბიხართო“. მთავრობა ჯავრობდა, მაგრამ პეტიციის გამო რომ ქართველებისათვის დევნა დაეწყო მაინც ვერ ბედავდა ევროპის ხათრის გამო.

მაშინ სტოლიპინმა განიზრახა საქართველოსა და ქართველებისათვის სახელი გაეტეხა ევროპაში. იმან შვეიცარიას მოსთხოვა ორი ძმა კერესელიძის გაცემა როგორც სისხლის სამართლის წინაშე დამნაშავეებისა. იმათ ბრალდებოდან სახედრო ხაზინის გატაცება დუშეთში. შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეები გადასცა ფედერალურ სასამართლოს. იმათმა ვეჭილმა **ლაშენალმა** მიმართა საერთაშორისო სამართლის საუკეთესო მცოდნესა და ავტორიტეტს პროფ. ერნესტ ნისს (Nys) იმის გამოსარკვევად თუ როგორია კერესელიძეების საქმე, სისხლის სამართველისი თუ პოლიტიკური ხასიათისა. პროფესორმა უპასუხა-პასუხი დაბეჭდილი იყო—„საქართველო, რომლის ხელშეკრულობა რუსეთმა დარღვია, ცხადსა და კანონიერ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთთან, ამის მოპირდაპირის სამხედრო ფონდების სეკვესტრი არის პოლიტიკური აქტიო. ვეჭილმა სასამართლოს წარუდგინა ეს აზრი პროფესორისა და შვეიცარიის რესპუბლიკის ფედერალურმა სასამართლომ კერესელიძეები ვამართლა.

მეჯანიერებამ იცნო საქართველოს უფლება ხელშეკრულობის ძალით დამოუკიდებელ არსებობაზედ, დემოკრატიულმა რესპუბლიკის ფედერალურმა სასამართლომაც დაამტკიცა ეს უფლება, როდესაც ჩვე-

ნი თანამემამულენა გაამართლა და ჩვენში კი ჩვენდა სამარცხვინოდ აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც უარყოფდნენ ამ უფლებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას... როგორს გონებრივ და ზნეობრივ დაკნინებადის მიიყვანა ბევრი ჩვენგანი ასი წლის მონობამ რუსეთის უღლის ქვეშ.

სხვა შედეგებიც მოჰყვა ჩვენს პეტიციას, მაგალითად, განთავისუფლება ჩვენი კათალიკოზისა, მაშინ ეპისკოპოს კირიონისა. ჩვენს გაზეთებში თუმცა იყო ამის შესახებ ცნობები, მაგრამ აიო საფესებით სწორი ცნობები. საქმე გაცილებით უფრო რთული იყო. ჩემი თხოვნით დავით ღამბაშიძემ სთარგმნა ქართული გაზეთებიდან ინგლისურად აღმაშფოთებელი ცნობები თუ როგორ ეპყრობოდნენ ავტოკეფალური ეკლესიის ეპისკოპოსს მხოლოდ იმისთვის რომ მან და ეპისკოპოსმა, აწ მიტროპოლიტმა ლეონიდემ გაბედეს და რუსის მთავრობას მოაგონეს საქართველოს ეკლესიის უფლებანი. ღამბაშიძის თარგმანი მე გადავეცი **ნევენსონს**, მან კიდევ გიბრალტარის ანგლიკან ეპისკოპოზს და სთხოვა მას ეცნობებინა ეს ამბავი ინგლისის სამღვდელოებისათვის. საბედნიეროდ გიბრალტარის ეპისკოპოზი ქ.-ბ. **ვარდროპს** იცნობდა და მან უამბო ეპისკოპოზს საქართველოს ეკლესიის როლის შესახებ პალესტინაში, საქართველოს ხელშეკრულობაზე და ჰააგის კონფერენციისადმი წარდგენილ პეტიციაზედ. ეპისკოპოზი ფრიად განცვიფრებულყო ნაამბობით. იმან მისწერა ნევენსონს, რომ ეცდება საქმეს უშველოს რამე. ეს წერილი ლონდონში ინახება. ამავე დროს ჩვენ მივმართეთ ინგლისურ-ქართულ კომიტეტის თავმჯდომარეს **მორისს** და ვაცნობეთ გიბრალტარის ეპისკოპოზის წერილი. თურმე მორისის ერთი ნათესავთაგანი ძლიერ დაახლოვებული ყოფილიყო ანგლიკან ეკლესიის პრიმასთან კენტსრბურის არქიეპისკოპოზთან. როგორ და რას ესაუბრნენ ჩვენი მეგობრები არქიეპისკოპოზს დანაძღვილებით არ შემიძლია მისი თქმა, მაგრამ საქართველოს ხელშეკრულობა, ავტოკეფალური ეკლესიის უფლება და ჩვენი პეტიცია იყო საუბრის უმთავრეს საგნად—ეს ცხადია. მორისმა მითხრა, რომ კირიონის შესახებ რუსეთის სინოდს მისწერნო. მოკლე დროში ჩვენ გავიგეთ რუსულსა და ქართულ გაზეთებიდან რომ ეპ. კირიონი გაენთავისუფლებინათ.


კიდევ მაგალითი ჩვენი პეტიციის გავლენისა. ეს იყო ორი თვის წინად ომამდის. ქართული გაზეთებიდან გავიგეთ რომ რუსის მთავრობას გორის მაზრაში სამხედრო პოლიგონის გამართვა გადაეწყვიტა და ამის გულისათვის ბევრი ქართული სოფელი უნდა აეყარათ წინააღ-

მდეგ ამ სოფლებების სურვილისა. ჩვენ გლახთა გოდება და ჩივილი გადავთარგმნეთ ქართულ გაზეთებიდან და ამ თარგმანით და ჩვენი პეტიციის ტექსტით მე წავედი ჩემს ძველს ნაცნობთან და მეგობართან **ელისე რეკლიუ ხისუ**-სთან, ინგლისის სამშვიდობო საზოგადოების მდივანთან. მე ვთხოვე მას მოესხნებინა მათი საზოგადოების კონგრესისათვის, რომელიც ლივერპულში უნდა შეკრებილიყო პოლიგონის საქმე და ცდილიყო კონგრესს გამოეტანა საპროტესტო რეზოლიუცია. **ხისი** შემპირდა და კიდევ შეასრულა თვისი სიტყვა: კონგრესმა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია მიიღო*): „ეთხოვოს ინგლისის მეფის მთავრობას აცნობოს პეტერბურგის მინისტრთა კაბინეტს, რომ სამხედრო პოლიგონის გაშროთვა გორის მაზრაში არღვევს საქართველოს უფლებას, რომელიც მას აქვს ხელშეკრულობის ძალით. ეთხოვოს სერ **ედვარდ გრეის** (საგარეო საქმეთა მინისტრს) აცნობოს ამის შესახებ აგრეთვე კავკასიაში მეფისმოადგილეს“.

იმ დროიდან პოლიგონზე ლაპარაკიც კი შეწყდა.

მე ლონდონში მაქვს ერთი საკვირველი წერილი ივერ. მ-ძის მიერ მოწერილი. მას ერთ რუს აღმირალთან ერთად, რომელსაც საქართველო ჰყვარებია, გემით უმოგზავრნია. აღმირალი არწმუნებდა თურმე, მეფემ აუღიენციის ღროს მითხრაო: „ვიცი რომ ჩვენ, რუსები, საქართველოში უცხოელები ვართო“.

თვით ნიკოლოზ მეორემაც კი აღიარა, რომ რუსები სრულ უფლები ანიბატონები არ ბრძანდებოდნენ ჩვენში. აღიარებენ თუ არა ამასვე დამსხვრეული და შერცხვენილი რუსეთის დღევანდელი მმართველნი? საეჭვოა. სანამ ჩვენ თითონ არ გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას, უუფლებობისა და ტანჯვის უღელს არავინ მოხსნის ჩვენს ხალხს კისრიდან.



*) ზეპირად მომყავს. სიტყვა-სიტყვით სთარგმნა ქართულად მაშინ-ვე და დასტამბა ჩვენმა მეგობარმა თედო სახოკიამ.

ს ა რ ჩ ე გ ი .

1. აკაკი პაპავა. „სოლეილდორ“. (გაგრძელება)	გვერდი	3—30
2. ი. გრიშაშვილი. ღია!	„	31—32
3. კ. ჭიჭინაძე. ნარზანის სამეფოში	„	—33
4. სიმ. წეველი. თალიკო.	„	—34
5. ვ. ბარნოვი. ამქრის მშენება. (გაგრძელება)	„	35—54
6. კოწია გამსახურდია. ორი სონეტი:		
ა) გრაფ ცეკელინს, ბ) ემილ ვერჰარენს.	„	55—56
7. გ. ახვლედიანი. დასაბამი ნივთთა.	„	57—59
8. ექვთიმე თაყაიშვილი. ოყურუმის ეკლესია და მას- ში დაცული ნივთები	„	60—68
9. დ. უზნაძე. ორგანიული მსოფლმხედველობა (ვლ. სოლოვიოვი)	„	69—80
10 ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოს პეტიცია პაავის კონფერენციისადმი 1907 წ. (თარგ. ი. ყიფშიძისა)	„	81—95

სარედაქციო კოლეგია

კოწია გამსახურდია
აკაკი პაპავა
მაქსიმე ბერძნიშვილი
პავლე ინგოროყვა

გამომცემელი ისიდორე სტურუა.



უშთავრეს შეცდომათა გასწორება.

1. ი. გრიშაშვილის ლექსში—„ლია!“ გვ. 32. ზევ. სტრიქ. 9 და 10 დაბეჭდილია: „ე მინდა“, უნდა იყოს: „მე მინდა“.
 2. ვ. ბარნოვის მოთხრობაში, გვ. 45, ზევ. სტრიქ. 18 სწერია: „ჯავრი გადაჰხარა“, უნდა იყოს: „ჯვარი გადასახა“.
 3. კოწია გამსახურდიას ლექსში: „გრაფ ცეპელინს“, გვ. 55, ბოლოდან მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: „მზეს გავექცევით“, უნდა იყოს: „მზეს დავეწევით“.
 4. გ. ახვლედიანის „რიგ-ვედას“ თარგმანში, ტაეპი ვ, ბოლო სტრიქ. სწერია „წარმოიშვი“, უნდა იყოს: „წარმოიშვა“; ტაეპი დ, პირველ სტრიქონში სწერია: „განჩდა“, უნდა იყოს: „გაჩნდა“.
 5. წერილები შეცდომით იმ რიგით არ დაიბეჭდა, როგორც შინაარსია შედგენილი.
-

ი. 20/3



სტამბა „სახალხო საქმე“.

სტამბის გამგე
გამმართველი
ასოთ ამწყობი

დ. მგალობლიშვილი
ილ. ხოსროშვილი
ვალ. კალმახელიძე

შახი 4 მანეთი

თბილისი



341

112